ევროკავშირი საქართველოსთვის

unicef for every child

ბავშვთა დაცვის სისტემების და მომსახურებების გაძლიერება საქართველოში

STRENGTHENING SYSTEMS AND SERVICES FOR CHILD PROTECTION IN GEORGIA

# მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვა

## სარეკომენდაციო სახელმძღვანელო



*პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან ავტორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გაეროს ბავშვთა ფონდის შეხედულებებს.*

## შინაარსი

შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4

**ნაწილი I.** ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5

**ნაწილი II.** ბავშვზე და ბავშვიან ოჯახზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 31

**ნაწილი II.I.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევების მქონე ბავშვების და მათი ოჯახების მხარდამჭერი მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავება. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .45

**ნაწილი III.** მუნიციპალური სოციალური პროგრამების/ქვეპროგრამების ბიუჯეტირება . . . . . .62

**ნაწილი IV.** მუნიციპალური პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. . . . . . . . . . . . . . . . . . . 71

**დანართი №1.** საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის დებულება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 81

**დანართი №2.** საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის პირველადი აღრიცხვის ფორმა (2.1.) და შემაჯამებელი ფორმა (2.2.). . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 87

**დანართი №3.1**. საჭიროებათა კვლევის კითხვარი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .89

**დანართი №3.2** კითხვარის მონაცემთა გაერთიანება. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 101

**დანართი №4.** საჭიროებათა კვლევის პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების ინსტრუქცია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 112

**დანართი №5**. ქვეპროგრამების მონიტორინგის მატრიცა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 122

**დანართი №6**. ფოკუს-ჯგუფური დისკუსიის გზამკვლევი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 123

**დანართი №7** მცირე ინსტრუქცია რაოდენობრივი კვლევის ინტერვიუერებისთვის და თანხმობის ფორმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .130

**დანართი №8** ოჯახის მხარდამჭერი პრევენციული პროგრამების განვითარება . . . . . . . . . 135

## შესავალი

*მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით, თვითმმართველი ერთეულები ყოველწლიურად შეიმუშავებენ და ახორციელებენ სოციალურ და ჯანდაცვის მუნიციპალურ პროგრამებს. 2020 წლამდე აღნიშნული პროგრამების დაგეგმვა და შესრულება ძირითადად ხდებოდა მუნიციპალიტეტის ინიციატივით, ნებაყოფლობით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში. 2018-2020 წლებში „ბავშვის უფლებათა კოდექსის", „სოციალური მუშაობის შესახებ" და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონების თანახმად, გაიზარდა მუნიციპალიტეტის, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლების, ფუნქცია და როლი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი სოციალური პოლიტიკის ერთიან ეროვნულ სისტემაში.*

*წინამდებარე სახელმძღვანელოში აღწერილია მუნიციპალური სოციალური პროგრამირების სამი მნიშვნელოვანი ეტაპი: საჭიროებების კვლევა – საჭიროებების ასახვა პროგრამაში/ქვეპროგრამებში – პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების მონიტორინგი და შეფასება.*



ნაწილი I

# ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევა



მუნიციპალური პროგრამების სწორად დაგეგმვისთვის აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტი ფლობდეს სრულ, სანდო და გარკვეული პერიოდულობით განახლებად ინფორმაციას ადგილობრივი მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებათა შესახებ. ასეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა **საჭიროებათა კვლევა**. კვლევის შედეგების სიზუსტეს განაპირობებს მიზნობრივი ჯგუფების ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალური ჩართულობა კვლევის პროცესში.

***მნიშვნელოვანია:*** *ადგილობრივი მოსახლეობის, სამიზნე ჯგუფებისა და სოციალურ სფეროში მომუშავე არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით განხორციელებული და მათ საჭიროებებზე მორგებული დაგეგმვა უზრუნველყოფს რელევანტური და ეფექტიანი სერვისების მიწოდებას, ფინანსური რესურსების რაციონალურ, შედეგიან და გამჭვირვალე ხარჯვას.*

საჭიროებათა კვლევა არის მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის ნაწილი, რომლის მიზანია მოწყვლადი ჯგუფებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებათა გამოვლენა და იგი წარმოადგენს მტკიცებულებაზე დამყარებული სოციალური პოლიტიკის საფუძველს. საჭიროებათა კვლევის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **სამიზნე/მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება** და კვლევის პროცესში **მათი ჩართულობის უზრუნველყოფა**.

წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენებით შესაძლებელია ჩატარდეს როგორც **ძირითადი კვლევა**, ასევე **დამატებითი კვლევა**.

**ძირითადი კვლევა** გულისხმობს ამ მეთოდოლოგიაში ჩამოთვლილი ძირითადი სამიზნე ჯგუფების (ასევე, საჭიროების შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის მიერ დამატებით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფების) საჭიროებათა ჩაღრმავებულ შესწავლას, მინიმუმ, ხუთი შერჩეული სამიზნე ჯგუფისთვის. ძირითადი კვლევა ტარდება ამ მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ინსტრუმენტების გამოყენებით, შემდეგი მოდელის მიხედვით: **1) მონაცემების მოძიება და ანალიზი, 2) ლიტერატურის კვლევა, 3) სოციოლოგიური კვლევა (ონლაინ-კითხვარი, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა), 4) დაკვირვება და შემთხვევათა ანალიზი.**

*ძირითადი კვლევის დანიშნულება არის სამიზნე ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირება და დასაგეგმი მუნიციპალური სოციალური პროგრამებისთვის პრიორიტეტების გამოკვეთა.*

**დამატებითი კვლევა** შესაძლებელია ჩატარდეს ახლაღმოჩენილ გარემოებებთან დაკავშირებულ საჭიროებათა შესასწავლად ან ახალი სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე ინფორმაციის მიღების მიზნით. დამატებითი კვლევისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს გამარტივებული მიდგომა, რაც გულისხმობს კვლევის ინსტრუმენტების მხოლოდ ნაწილის, მაგალითად, **მონაცემების ანალიზისა და სოციოლოგიური კვლევის (ონლაინ-კითხვარი, ინტერვიუ, შეხვედრა ფოკუს-ჯგუფთან)** გამოყენებას.

*დამატებითი კვლევის დანიშნულებაა, საჭიროების შემთხვევაში, შეავსოს ან დააზუსტოს ძირითადი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია.*

***მნიშვნელოვანია:*** *საჭიროებათა კვლევის პროცესში დაცული უნდა იყოს კვლევის ეთიკური პრინციპები, მათ შორის: კვლევაში მონაწილეობის ნებაყოფილობითობა, კონფიდენციალურობა, ინფორმირებული თანხმობა, აზრის გამოხატვის თავისუფლება, კვლევის მონაწილეებისთვის მათი უფლებების გაცნობა, გენდერული ბალანსი და ეთნიკური უმცირესობების თანაბარი მონაწილეობა. ბავშვებთან კომუნიკაციის პროცესი უნდა იყოს დაფუძნებული ბავშვის პატივისცემასა და აზრის თავისუფალ გამოხატვაზე. ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ბავშვისთვის გასაგებად, მისი ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.*

## წარმატებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები:

- საჭიროებათა კვლევის ჩატარების პერიოდულობა ძირითადი კვლევისთვის, სასურველია, განისაზღვროს 4 წლით – ეს ხელს შეუწყობს სოციალური პროგრამების თანმიმდევრულ და საშუალოვადიან დაგეგმვას, დაზოგავს დროს და კვლევის რესურსს. დამატებითი კვლევა ტარდება საჭიროების შესაბამისად;
- საჭიროებათა კვლევის ამოცანის ჩამოყალიბება და მასზე დაყრდნობით კვლევის მოცულობის (ძირითადი ან დამატებითი კვლევა) განსაზღვრა უზრუნველყოფს კვლევის ფოკუსირებას კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე და კვლევის მაქსიმალურ ინფორმატიულობას;
- კვლევის მოცულობის განსაზღვრისას სასურველია შესაბამის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს მოლოდინების რეალურობას და ამოცანათა დაძლევადობას;
- კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის შექმნა – საჭიროებათა კვლევა უნდა წარმართოს მერიის სოციალურმა სამსახურმა, ამავე დროს, აუცილებელია ბავშვის უფლებების დაცვის სტრუქტურული ერთეულის და რელევანტური სამსახურების (იურიდიული, ადმინისტრაციული, ფინანსური სამსახური) წარმომადგენლების ჩართულობა, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების მონაწილეობა ინფორმაციის შეგროვების პროცესში;
- მნიშვნელოვანია, შემუშავდეს საჭიროებათა კვლევის (მ.შ. საველე სამუშაოების) კონკრეტული გეგმა-გრაფიკი;
- საყურადღებოა კვლევის ტექნიკისა და ინსტრუმენტების სწორი და თანმიმდევრული გამოყენება.

## კვლევის ტექნიკა და ინსტრუმენტები

კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინირებით მუნიციპალიტეტებში საჭიროებათა კვლევის ჩასატარებლად შერჩეული ინსტრუმენტები, ერთი მხრივ, მაქსიმალურად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული წყაროებიდან ინფორმაციის მიღებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ინსტრუმენტების გამოყენება დაძლევადია მუნიციპალიტეტებისთვის. საჭიროებათა კვლევის ჩასატარებლად ვიყენებთ შემდეგ ინსტრუმენტებს: **მონაცემების მოძიება და ანალიზი, ბიბლიოგრაფიული კვლევა, სოციოლოგიური კვლევა, დაკვირვება და შემთხვევათა ანალიზი**.

საჭიროებათა კვლევის ინსტრუმენტების ზოგადი აღწერა:

1. **მონაცემების მოძიება და ანალიზი** – სამიზნე ჯგუფების შესახებ სახელმწიფო, მუნიციპალურ, არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორში ხელმისაწვდომი მონაცემების მოძიება, არსებული პროგრამებისა და მიმართვიანობის სტატისტიკის ანალიზი; მონაცემების მოგროვება მიზნობრივი ჯგუფის რაოდენობის და შემადგენლობის შესახებ (*შენიშვნა*: ინფორმაცია მიიღება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს და მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურიდან და სხვა რელევანტური სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურებიდან, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მეშვეობით. ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება იყოს არასამთავრობო სექტორი).
2. **ლიტერატურის კვლევა** – საკუთარი თუ დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების გაცნობა; სოციალური დაცვის სფეროში ცენტრალური ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის ანგარიშების გაცნობა (წყარო: ინტერნეტი, გამოქვეყნებული მასალები); ნორმატიული ბაზის შესწავლა.
3. **სოციოლოგიური კვლევა** – მიზნობრივი ჯგუფის და ადგილობრივი თემის გამოკითხვა მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებების და თემის სოციალური მახასიათებლების დასადგენად. სოციალური დაცვის, ბავშვთა დაცვის და სიღარიბის შემცირებაზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების, მათ შორის მშობელთა და ბავშვთა ორგანიზაციების წარმომადგენლების, ექსპერტების გამოკითხვა – ეს მოიცავს: ღია კითხვარით მოსაზრებათა დადგენას, სატელეფონო ინტერვიუს, ფოკუს ჯგუფს (*წყარო*: სამიზნე ჯგუფები და ადგილობრივი თემი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები. მიზნობრივი ჯგუფის ანკეტური გამოკითხვის რეპრეზენტაბელურობის ზღვარი შეადგენს 1:10).
4. **დაკვირვება და შემთხვევათა ანალიზი** – სამუშაო შეხვედრები მუნიციპალიტეტის თანამშრომლების და სოციალური სერვისების მიმწოდებლებთან. გაწეული სერვისის სახეობათა, არსებულ და პერსპექტიულ სერვისებზე მოთხოვნის და მიწოდების შესაძლებლობების დადგენისთვის არსებული დოკუმენტებისა და პრაქტიკის შესწავლა. *წყარო*: სერვისის მიმწოდებლები, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, სკოლამდელი განათლების და ზოგადი განათლების სისტემის წარმომადგენლები (სერვისის მიმწოდებელთა მხრიდან მიღებულ მონაცემთა ანალიზისას გასათვალისწინებელია ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობა).

ზემოაღწერილი ინსტრუმენტების გამოყენების თანმიმდევრობა ემთხვევა მათ რიგითობას – იწყება მონაცემთა შეგროვებით და მთავრდება შემთხვევათა ანალიზით.

აღნიშნული ოთხი ინსტრუმენტის გამოყენებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება მოხდება **მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის მეთოდით**, გამოიყოფა **საერთო** (რომელიც თანაბრად ეხება მიზნობრივ ჯგუფს) და **განსაკუთრებული/კონკრეტული** (რომელიც მხოლოდ ჯგუფის შემადგენელ ცალკეულ სეგმენტებს ეხება) საჭიროებები. გაანალიზდება სოციალური, ინსტიტუციური, საზოგადოებრივი კონტექსტი და ჩამოყალიბდება დასკვნა შემდეგი სახით: **ა)** მიზნობრივი ჯგუფის საერთო საჭიროებანი და **ბ)** მიზნობრივი ჯგუფის შემადგენელი სეგმენტების განსაკუთრებული საჭიროებანი.

საჭიროებათა კვლევას წარმართავს მუნიციპალიტეტის **სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი** (ეს, შესაძლებელია, იყოს: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, სოციალური სამსახურის უფროსი, ბავშვის დაცვის განყოფილების უფროსი), რომელიც ადგენს სამუშაოთა გეგმა-გრაფიკს, ანაწილებს ფუნქციებს, აძლევს დავალებებს სამუშაო ჯგუფის წევრებს და ზედამხედველობს მათ შესრულებას.

დღესდღეობით, უმრავლეს შემთხვევაში, მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვა ეფუძნება გამოხატულ საჭიროებებს – მიმართვიანობას. ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს საჭიროებათა ფართო სპექტრის მოცვას. საჭიროებების კვლევის პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, საჭიროების კვლევისას რეკომენდებულია ფოკუსირება მოხდეს სამი ძირითადი სახის საჭიროებაზე. ესენია:

***გაცნობიერებული საჭიროება (percieved/felt need) –***
***ინფორმაციის წყარო: მიზნობრივი ჯგუფი, თემი, სერვისის მიმწოდებელი.***

***გამოთქმული/გამოხატული საჭიროება (expressed need) –***
***ინფორმაციის წყარო: მიზნობრივი ჯგუფი, სერვისის მიმწოდებელი, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, სოციალურ საკითხებზე მომუშავე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაცია.***

***ნორმატიული საჭიროება (normative need) – ინფორმაციის წყარო:***
***სოციალური მომსახურების სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.***

**საჭიროებათა კვლევის ინიციირების** საფუძველი გახლავთ მერიის სოციალური სამსახურის უფროსის წერილობითი მიმართვა მერისთვის, მომავალი საბიუჯეტო წლის სოციალური პროგრამების სწორად დაგეგმვის მიზნით საჭიროებათა კვლევის ჩატარებას აუცილებლობაზე. მერისთვის მიმართვამდე სოციალური სამსახურის უფროსი ატარებს ფოკუს-ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მერიის სოციალური სამსახურის, ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილების, ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მასწავლებლები, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანია სავარაუდო საკვლევი საკითხების და სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება. ამ შეხვედრის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სოციალური სამსახურის უფროსი ამზადებს საკვლევი საკითხების და სამიზნე ჯგუფების ჩამონათვალს, კვლევის საჭიროების არგუმენტაციას და მიმართავს მერს. სოციალური სამსახურის უფროსის მიმართვის საფუძველზე მერი გამოსცემს ბრძანებას, რითაც განისაზღვრება: **ა) კვლევის მიზანი; ბ) მოცულობა და სამიზნე ჯგუფები; გ) სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და საქმიანობის წესი; გ) კვლევის ჩატარების ვადები და კალენდარი; დ) კვლევის მეთოდოლოგია.**



**ფოკუს-ჯგუფი** საკვლევი საკითხების და სავარაუდო სამიზნე **ჯგუფების გამოსავლენად.**
სოციალური სამსახურის უფროსის წერილობითი **მიმართვა** მერს, საჭიროებათა კვლევის ჩატარების თხოვნით
**მერის ბრძანება**, კვლევის მიზნის, მოცულობის, კვლევის ჩატარების პერიოდის და ვადების შესახებ.
სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა და **საქმიანობის წესის** შემუშავება
**საინფორმაციო კამპანია**
სამუშაო ჯგუფის მიერ საჭიროებათა კვლევის **გეგმა-გრაფიკის** მომზადება
სამიზნე ჯგუფების შესახებ სტატისტიკური **მონაცემების მოძიება** და ანალიზი
სამიზნე ჯგუფების **წარმომადგენლების დადგენა** დასახლების დონეზე მერის წარმომადგენლის მიერ
**დაინტერესებული მხარეების** იდენტიფიკაცია
სამიზნე ჯგუფების წევრთა **რაოდენობის ანალიზი** და **რესპონდენტთა რაოდენობის** განსაზღვრა
სამუშაო ჯგუფის მიერ პირველადი **კითხვარის განხილვა** ფოკუს-ჯგუფთან
ლიტერატურის კვლევა (**ანგარიშები, საკანონმდებლო ბაზა**)
**სოციოლოგიური კვლევა:**
***მერის წარმომადგენელი:***
რესპონდენტებთან, **შეხვედრა/გამოკითხვა**
***სამუშაო ჯგუფი:;***
დაინტერესებული მხარეების ფოკუს-ჯგუფი/ინტერვიუ **საჭიროებების გამოვლენის მიზნით**
საველე სამუშაოების **მონაცემთა გაერთიანება**
მონაცემებზე **დაკვირვება** და შემთხვევათა **ანალიზი**
გამოკვეთილი საჭიროებების **პრიორიტეტების ვალიდაცია** ფოკუს-ჯგუფით
საჭიროებათა კვლევის **პირველადი ნარატიული ანგარიში**
პირველადი ანგარიშის **საჯარო განხილვა** დაინტერესებული მხარეების დონეზე
პირველადი ანგარიშის **საჯარო განხილვა** სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დონეზე
**საბოლოო ანგარიში**
საჭიროებათა კვლევის ანგარიშის **მერისთვის წარდგენა**
საჭიროებათა კვლევის ანგარიშის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე **გამოქვეყნება**

სამუშაო ჯგუფი მოქმედებს კვლევის კალენდრის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია კვლევის მომზადების, ჩატარების, მონაცემთა ანალიზის, საჯარო განხილვისა და საბოლოო ანგარიშგებისას გასატარებელი ყველა ღონისძიება და ვადები.

***მნიშვნელოვანია:*** *საჭიროებათა კვლევის კალენდარი უნდა დაიგეგმოს იმდაგვარად, რომ კვლევის ჩატარება და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვა წინ უსწრებდეს მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებას.*

**საჭიროებათა კვლევის ეტაპების კალენდარი (ნიმუში)**

| საქმიანობის ეტაპი | ხანგრძლივობა | ვადა |
|---|---|---|
| **საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა, ფუნქციების განაწილება** | | 14 მარტამდე |
| **საინფორმაციო კამპანია** | პერიოდულად | 15 მარტი – 15 ივნისი |
| **საჭიროებათა კვლევა (სრული ციკლი)** მათ შორის: | 16 კვირა | 15 მარტი – 1 ივლისი |
| **1. მონაცემთა მოძიება და ანალიზი** | 7 კვირა | 15 მარტი – 1 მაისი |
| 1.1. სტატისტიკური მონაცემების მოძიება და ანალიზი | | 15 მარტი – 1 მაისი |
| 1.2. სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების გამოვლენა/იდენტიფიკაცია საჭიროებათა კვლევაში მათი ჩართვის მიზნით; დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია | | 15 მარტი – 1 მაისი |
| **2. ლიტერატურის კვლევა** | 4 კვირა | 15 მარტი – 15 აპრილი |
| **3. სოციოლოგიური კვლევა** | 4 კვირა | 15 აპრილი – 15 მაისი |
| 3.1. სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან (რესპონდენტებთან) ინტერვიუ, შეხვედრა, ფოკუს-ჯგუფი | | 15 აპრილი – 15 მაისი |
| 3.2. საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი | | 15 აპრილი – 15 მაისი |
| **4. დაკვირვება და შემთხვევათა ანალიზი** | 2 კვირა | 1 მაისი – 15 მაისი |
| **5. საჭიროებათა კვლევისას მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი** | 3 კვირა | 15 მაისი – 7 ივნისი |
| **6. კვლევის მიგნებების საფუძველზე პრიორიტეტების გამოვლენა ფოკუს-ჯგუფის საშუალებით** | 1 კვირა | 7 ივნისი – 15 ივნისი |
| **7. საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიშის საჯარო განხილვა** | 1 კვირა | 15 ივნისი – 25 ივნისი |
| **8. საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიში** | 1 კვირა | 20 ივნისი – 1 ივლისი |

კვლევის დაწყებამდე მოსამზადებელი ეტაპის მნიშვნელოვანი ნაწილია წინასწარი საინფორმაციო კამპანია საჭიროებათა კვლევის შესახებ. ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია: მუნიციპალიტეტში არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სოციალური ქსელის, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

საჭიროებათა კვლევას ატარებს **სამუშაო ჯგუფი**, რომლის შემადგენლობა, საქმიანობის წესი, ვადები (კალენდარი) და ანგარიშვალდებულება დამტკიცებულია მერის ბრძანებით. სა-

მუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული პირი (ეს, შეიძლება, იყოს: მერის მოადგილე, სოციალური სამსახურის უფროსი ან ბავშვის დაცვის სტრუქტურული ერთეულის უფროსი). სამუშაო ჯგუფი კომპლექტდება მერიის სოციალური სამსახურის, ბავშვის უფლებათა დაცვის სტრუქტურული ერთეულის, იურიდიული და სხვა რელევანტური სამსახურის წარმომადგენლებისგან. რეკომენდებულია, ჯგუფის მუშაობაში ჩაერთონ სოციალურ საკითხებზე მომუშავე დამოუკიდებელი ექსპერტები და ბავშვთა უფლებების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორიდან მოწვეული სპეციალისტები. სამუშაო ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, საჭიროების მიხედვით, მაგრამ **არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ**.

***რეკომენდაცია:*** *რეკომენდებულია, რომ სამუშაო ჯგუფის საქმიანობის კოორდინაციისა და შესრულების კონტროლის მიზნით, ჯგუფის ხელმძღვანელმა შეიმუშაოს ჯგუფის მუშაობის გრაფიკი, რომელშიც გაწერილი იქნება ჯგუფის პერიოდული შეხვედრები, სამუშაოს კონკრეტული ეტაპები, უშუალო შემსრულებლები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.*

**საჭიროებათა კვლევის ჩატარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამიზნე ჯგუფების და დაინტერესებული მხარეების ზუსტად დადგენას**. საკვლევი სამიზნე ჯგუფების რაოდენობა და ჩამონათვალი განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ხოლო დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას ახდენს კვლევის სამუშაო ჯგუფი.

***რეკომენდაცია:*** *კვლევის სამიზნე ჯგუფები, სასურველია, შეირჩეს შემდეგი ჩამონათვალიდან (შეგახსენებთ, რომ ძირითადი კვლევა უნდა ჩატარდეს ჩამონათვალში მოცემული მინიმუმ 5 სამიზნე ჯგუფის საჭიროებების შესასწავლად):*

**1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, მათ შორის:**
- 1.1 შშმ სტატუსის მქონე;
- 1.2 არ მიუმართავს სტატუსის მისაღებად, მაგრამ სავარაუდოდ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;
- 1.3 განვითარების სირთულის მქონე ბავშვი;

**2. მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, მათ შორის:**
- 2.1 ობოლი ბავშვი;
- 2.2 მარჩენალდაკარგული ბავშვი;
- 2.3 მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი;

**3. მიუსაფარი ბავშვი, მათ შორის:**
- 3.1 ქუჩაში მცხოვრები ბავშვი;
- 3.2 ქუჩაში მომუშავე ბავშვი;

**4. სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი;**

**5. ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;**

**6. ღარიბი ბავშვიანი ოჯახი, მ.შ.:**
- 6.1 სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი;
- 6.2 სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, მაგრამ ღარიბი ოჯახის ბავშვი;
- 6.3 ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი;

**7. ტერიტორიული მოწყვეტილობის გამო განათლების და ჯანდაცვის სერვისებზე შეზღუდული წვდომის მქონე ბავშვი;**

**8. ძალადობის მსხვერპლი ბავშვი**

შენიშვნა: ჩამონათვალში მოცემულია სარეკომენდაციო სამიზნე ჯგუფები და მათი შემადგენელი ქვეჯგუფები. მუნიციპალიტეტს შეუძლია, არ შემოიფარგლოს აღნიშნული ჩამონათვალით და კვლევაში დამატებით შეიტანოს ახალი ჯგუფი/ქვეჯგუფი, რომლის შესწავლა მუნიციპალიტეტის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

**საჭიროებების შესახებ ინფორმაციის წყაროების ჩამონათვალი სამიზნე ჯგუფების მიხედვით:**

- სამიზნე ჯგუფი **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე), აგრეთვე განვითარების სირთულის მქონე ბავშვი“** – ინფორმაციის წყარო: **ა)** შეზღუდული შესაძლებლობის ან განვითარების სირთულის მქონე 6 -17 წლის ასაკის ბავშვი; **ბ)** შეზღუდული შესაძლებლობის ან განვითარების სირთულის მქონე ბავშვის მშობელი/მეურვე; **გ)** შშმ ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
- სამიზნე ჯგუფი **„მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი (მათ შორის: ობოლი ან მარჩენალდაკარგული ბავშვი, მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი)“** – ინფორმაციის წყარო: **ა)** მშობლის მზრუნველობას მოკლებული 6 -17 წლის ასაკის ბავშვი; **ბ)** მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვის მშობელი/მეურვე; **გ)** ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
- სამიზნე ჯგუფი **„მიუსაფარი ბავშვი“** – ინფორმაციის წყარო: **ა)** ქუჩაში მცხოვრები ან ქუჩაში მომუშავე 6 -17 წლის ასაკის ბავშვი; **ბ)** ქუჩაში მომუშავე ან ქუჩაში მცხოვრები ბავშვის მშობელი/მეურვე; **გ)** ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
- სამიზნე ჯგუფი **„სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი“** – ინფორმაციის წყარო: **ა)** სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული 6-17 წლის ბავშვი; **ბ)** სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვის მშობელი/მეურვე; **გ)** სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო; დ) ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
- სამიზნე ჯგუფი **„ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“** – ინფორმაციის წყარო: **ა)** 6-17 წლის ბავშვი, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; **ბ)** ასეთი ბავშვის მშობელი/მეურვე; **გ)** ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
- სამიზნე ჯგუფი **„ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი“** – ინფორმაციის წყარო: **ა)** 6-17 წლის ბავშვი ღარიბი (სოციალურ-ეკონომიკურად მოწყვლადი, მათ შორის, მრავალშვილიანი) ოჯახიდან; **ბ)** ასეთი ბავშვის მშობელი/მეურვე; **გ)** ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
- სამიზნე ჯგუფი **„ტერიტორიული მოწყვეტილობის გამო განათლების და ჯანდაცვის სერვისებზე შეზღუდული წვდომის მქონე ბავშვი“** – ინფორმაციის წყარო: **ა)** სერვისებზე შეზღუდული წვდომის მქონე 6-17 წლის ბავშვები; **ბ)** ასეთი ბავშვების მშობელი/მეურვე; **გ)** ადგილობრივი თემის წარმომადგენლები; **დ)** საგანმანათლებლო რესურსცენტრი; **ე)** ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
- სამიზნე ჯგუფი **„ძალადობის მსხვერპლი ბავშვი“** – ინფორმაციის წყარო: **ა)** სახელ-

მწიფო ზრუნვის სააგენტო; **ბ)** მერიის სოციალური სამსახური/ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილება; **გ)** ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვისა და რეაბილიტაციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

სამიზნე ჯგუფების განსაზღვრის შემდეგ, სამუშაო ჯგუფი ადგენს საკვლევ საკითხებზე დაინტერესებულ მხარეებს და ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებს – **სერვისების მიმწოდებლები, ექსპერტები, არასამთავრობო სექტორი, საჯარო სექტორი; სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლების სისტემის წარმომადგენლები და სხვა** – ყველა ის დაწესებულება, საიდანაც შესაძლებელია საკვლევ საკითხებზე რელევანტური მონაცემების ან ინფორმაციის მიღება.

სამუშაო ჯგუფი, სამიზნე ჯგუფების სტრუქტურის და რეპრეზენტაბელურობის გათვალისწინებით, იწყებს გამოკითხვის რესპონდენტების შერჩევას და ადგენს სამიზნე ჯგუფის წევრთა სავარაუდო რაოდენობას.

კვლევისთვის მონაცემების შეგროვება იწყება ერთდროულად ორი მიმართულებით:

ა) **სამუშაო ჯგუფის წევრები** საჯარო დაწესებულებებიდან გამოითხოვენ სტატისტიკურ (რაოდენობრივ) ინფორმაციას საკვლევი სამიზნე ჯგუფის და მისი სეგმენტების (ქვეჯგუფის) შესახებ.

ბ) ადმინისტრაციულ ერთეულში **მერის წარმომადგენელი** თავის სამოქმედო ტერიტორიაზე იწყებს საკვლევი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების აღრიცხვას. იგი, ერთი მხრივ, ადგენს სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებს, მათი სოციოლოგიურ გამოკითხვაში ჩართვის მიზნით, ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობს, გამოავლინოს პირები და ოჯახები, რომლებიც არ ფლობენ შესაბამის სტატუსს, თუმცა, სავარაუდოდ, შეიძლება აკმაყოფილებდნენ სტატუსის მიღების კრიტერიუმებს. მერის წარმომადგენლის მიერ სამიზნე ჯგუფის წევრების მოძიებისას ივსება პირველადი აღრიცხვის ფორმა (თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის ცალკე), რომელშიც პირის თანხმობით მიეთითება პირის პერსონალური მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია და მიზნობრივი ჯგუფი. შევსებული აღრიცხვის ფორმა წარედგინება კვლევის სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილ წევრს, რომელიც ახარისხებს და აჯამებს მიღებულ ინფორმაციას და რაოდენობრივი მონაცემი შეაქვს აღრიცხვის შემაჯამებელ ფორმაში.

***მნიშვნელოვანია:*** ***სტატუსის არმქონე პირების და ოჯახების გამოვლენის შემდეგ, მერის წარმომადგენელი მათ უწევს კონსულტაციას და დახმარებას, შესაბამისი სტატუსის მინიჭების პროცედურების დასაწყებად.***

სამიზნე ჯგუფების აღწერის და სტატისტიკური მონაცემების მოძიების შემდეგ სამუშაო ჯგუფი იწყებს საჭიროებათა კვლევის შემდეგ ეტაპს – **ლიტერატურის კვლევას**, რომლის დროსაც ხდება საჯარო დაწესებულებებიდან და არასამთავრობო სექტორიდან გამოთხოვილი ანგარიშების, კვლევების გაცნობა, ყურადსაღები გარემოებებისა და მიგნებების გამოკვეთა. სამართლებრივი ბაზის ანალიზის დროს სამუშაო ჯგუფის წევრები ეცნობიან და აანალიზებენ სამართლებრივ აქტებს, აღნუსხავენ სამიზნე ჯგუფის უფლებებსა და ამ უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული მუნიციპალური სერვისების ჩამონათვალს, ნორმატივებსა და სტანდარტებს (**შენიშვნა**: ინფორმაციის წყაროა: სოციალური მომსახურების სფეროში არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, ნორმატივები და სტანდარტები; დემოგრაფიული და სოციალური ტენდენციის ანალიზი).

## სოციოლოგიური კვლევის პროცესში სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების ინტერვიუირება

სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება სამიზნე ჯგუფის წევრების ანკეტური გამოკითხვის გზით, წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციისა და ანკეტის მეშვეობით.

სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლების რაოდენობრივი მონაცემებისა და კვლევის რეპრეზენტაბელურობის ზღვრის გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს თითოეული სამიზნე ჯგუფის (მათ შორის, თითოეული ქვეჯგუფის) ფარგლებში რესპონდენტთა რაოდენობა. ანკეტური გამოკითხვისას რეპრეზენტაბელურობის ზღვარი სამიზნე ჯგუფის რესპონდენტებისთვის არის 1:10. კვლევის რესპონდენტები უნდა შეირჩნენ იმდაგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს: გენდერული ბალანსი, ეთნიკური უმცირესობების თანაბარი მონაწილეობა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი. კვლევამ პროპორციულად უნდა მოიცვას: სამიზნე ჯგუფის ყველა ქვეჯგუფი და ადმინისტრაციული ერთეულის ყველა დასახლება (სადაც შესაძლებელია).

ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში გამოსაკითხი რესპონდენტების რაოდენობის შესახებ, ასევე შესავსები ანკეტის ფორმები და შევსების ინსტრუქცია გადაეცემა მერის წარმომადგენელს და განესაზღვრება ვადა ინტერვიუების ჩასატარებლად. სამუშაო ჯგუფში განისაზღვრება პირი, რომელიც ზოგად კოორდინაციას უწევს მერის წარმომადგენლების მიერ ინტერვიუების ჩატარების პროცესს, საჭიროების შემთხვევაში უწევს მათ კონსულტაციას და იბარებს შევსებულ ანკეტებს.

მნიშვნელოვანია: ანკეტების შედგენისას, რესპონდენტთან კომუნიკაციისა და მონაცემების შეგროვებისას დაცული უნდა იყოს კვლევის ეთიკური პრინციპები, მათ შორის: კვლევაში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა და ინფორმირებული თანხმობა, კონფიდენციალურობა, რესპონდენტებისათვის მათი უფლებების გაცნობა, აზრის გამოხატვის თავისუფლება, გენდერული ბალანსი და ეთნიკური უმცირესობების თანაბარი მონაწილეობა. ბავშვებთან კომუნიკაციის პროცესი უნდა იყოს დაფუძნებული ბავშვის პატივისცემასა და აზრის თავისუფალ გამოხატვაზე. ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ბავშვისთვის გასაგებად, მისი ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

რესპონდენტების გამოკითხვა ტარდება წინასწარ შედგენილი ანკეტის საფუძველზე, თითოეული სამიზნე ჯგუფის წევრის **გაცნობიერებული** და **გამოხატული/გამოთქმული საჭიროებების** დასადგენად. მერის წარმომადგენლის მიერ შევსებული შევსებული ანკეტები ეგზავნება სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს.

***მნიშვნელოვანია:*** ***გამოკითხვის პროცესში დაცული უნდა იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, გათვალისწინებული იყოს კვლევის ჩატარების ეთიკური პრინციპები და კვლევაში ბავშვების მონაწილეობის თავისებურებები.***

მერის წარმომადგენლების მიერ სამიზნე ჯგუფის წევრთა გამოკითხვის პარალელურად, **სამუშაო ჯგუფის წევრები** იძიებენ და სწავლობენ ალტერნატიულ ინფორმაციას; ა) მიმწოდებლებისგან გამოითხოვენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს სამიზნე ჯგუფების საჭიროების შესახებ; ბ) შეისწავლიან მუნიციპალიტეტისთვის მიმართვის სტატისტიკას, საჯარო და არასამთავრობო სექტორიდან მიღებულ ინფორმაციას ბენეფიციარებისთვის მიწოდე-

ბული სერვისის შესახებ. მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზი – კვლევითი სამუშაოების ამ ეტაპზე ხდება: საველე სამუშაოებისას რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციის გაერთიანება, სისტემატიზაცია, დახარისხება და შეჯამება, მოწყვლადი ჯგუფებისა და საჭიროებათა სახეების მიხედვით. ანკეტური გამოკითხვის შედეგები შეიტანება საერთო ცხრილში, დაჯგუფდება და ანალიზდება; ასევე, აღიწერება თითოეული საჭიროება, მათი გამომწვევი მიზეზები და შემუშავდება რეკომენდაციები ამ საჭიროებებზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის შექმნისთვის. მონაცემების გაერთიანებისა და დახარისხების შემდეგ, **საჭიროებათა პრიორიტეტების მიხედვით დალაგების მიზნით ტარდება ფოკუს-ჯგუფი დაინტერესებული მხარეებისა და სამიზნე ჯგუფების მონაწილეობით**. ფოკუს-ჯგუფის შეხვედრისას მონაწილეები ეცნობიან კვლევის მიგნებებს და გამოკვეთენ პრიორიტეტულ მიმართულებებს. პრიორიტეტული საჭიროებები აისახება პირველად ანგარიშში.

პირველადი ანგარიშის შედგენის შემდეგ მნიშვნელოვანია კვლევის **შედეგების განხილვა სამიზნე ჯგუფების, სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოსთან**. საჯარო განხილვის პროცესში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიშს განიხილავს სამუშაო ჯგუფი შემაჯამებელ სხდომაზე და იღებს დოკუმენტს საოქმო ჩანაწერის საფუძველზე. მიღებული დოკუმენტი და სამუშაო ჯგუფის დასკვნითი სხდომის ოქმი წარედგინება მერს. საჭიროებათა კვლევის ანგარიში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. კვლევის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, **კვლევის მიგნებები გათვალისწინებული უნდა იყოს მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამების დაგეგმვისას**.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების / ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებების კვლევა, მონაცემების ანალიზი და პრიორიტეტების განსაზღვრა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან ფუნქციონირების[1] დარღვევის მქონე ბავშვებისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების, მათ შორის სოციალურ მომსახურებების შემუშავებას წინ უძღვის როგორც კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და ბავშვების საჭიროებების გამოვლენა, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული ბარიერების და რესურსების ანალიზი. წინამდებარე გაიდლაინი დაეხმარება მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის თანამშრომლებს საჭიროებათა კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დახარისხებასა და ანალიზში.

გაიდლაინი ასევე მიმოიხილავს საკითხებს (მაგ.: სტატისტიკური მონაცემების მოპოვება), რომლებიც ხელს უწყობს როგორც საჭიროებათა სწორად იდენტიფიცირებას, ასევე მუნიციპალური სოციალური პროგრამების სწორად დაგეგმვას.

შშმ ბავშვებისა საჭიროებების სრულფასოვანი ანალიზი წარმოადგენს სწორად შექმნილი პროგრამების მყარ საფუძველს. ათეას მიერ შემუშავებული კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, საჭიროებების კვლევა ხორციელდება ბავშვების, მათ შორის შშმ ბავშვების

1 ფუნქციონირება მოიცავს შემდეგ სფეროებს: თვითმოვლა (კვება, ჩაცმა, ჰიგიენური პროცედურები), სიარული, კომუნიკაცია, მხედველობა, ქცევა, ახალ გარემოში ადაპტირება და სხვა.

და მათი ოჯახების გამოკითხვის და მუნიციპალიტეტში არსებული მეორადი მონაცემების ანალიზის მეშვეობით. მონაცემების მოგროვების შემდეგ დგება მიღებული ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის ეტაპი. მონაცემების ანალიზისას შედეგად უნდა გამოიკვეთოს ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1. იდენტიფიცირდეს ბავშვების ჯგუფები, ვისაც ესაჭიროება სოციალური პროგრამები; 2. გამოიკვეთოს და დახარისხდეს საჭიროებები, რომლებიც ამ ბავშვებს აქვთ.

## შშმ ბავშვების და ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების სტატისტიკა

მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სტატისტიკა (წლების და თვეების მიხედვით) მოცემულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge, „სტატისტიკა", „სოციალური მომსახურების პაკეტი").

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომლის ფარგლებში შესწავლილი იქნა მოსახლეობის ფუნქციონირების დარღვევები (გადაადგილება, სმენა, მხედველობა, ყურადღების კონცენტრირება, მეხსიერება, კომუნიკაცია, თვითმოვლა) რეგიონების მიხედვით, თუმცა გამოქვეყნებულ მონაცემებში ბავშვების ჯგუფი ცალკე გამოყოფილი არ არის (http://census.ge/ge/results/census1/health; „განაწილება თვითმმართველი ერთეულების და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მიხედვით"). მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვის მონაცემები შეიძლება დაეხმაროს მუნიციპალიტეტს შშმ ბავშვების და სრულწლოვანი პირების საერთო სურათის აღქმაში – რა სახის დარღვევები აქვთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებს.

***მნიშვნელოვანია:*** *გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2018 წელს ჩატარდა მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, რომლის ფარგლებში გამოყენებული იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატისტიკის ვაშინგტონის ჯგუფის (WG) მიერ შემუშავებული კითხვები ფუნქციონირების დარღვევებთან დაკავშირებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს შეადგენდნენ 2-17 წლის ასაკის ბავშვები და 18-49 წლის სრულწლოვანი პირები. გამოქვეყნებული მონაცემები დიფერენცირებულია რეგიონების მიხედვით*

შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევების მქონე ბავშვების სტატისტიკის ცოდნა ადგილობრივ თვითმმართველობას ეხმარება სამიზნე ჯგუფების და პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრაში. თუმცა, მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემები ვერ შექმნის შშმ ბავშვების/დარღვევების მქონე ბავშვების საჭიროებების და მდგომარეობის სრულ სურათს. საჭიროებების შესახებ ინფორმაციის ძირითადი ნაწილი გროვდება საჭიროებათა კვლევის კითხვარის, ასევე, შესაბამის სამიზნე ჯგუფთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის მეშვეობით.

## შშმ ბავშვების და ფუნქციონირების დარღვევების მქონე ბავშვების საჭიროებების შესახებ მონაცემების მოპოვება და დამუშავება

კვლევის კითხვარის 5.1. ნაწილი მოიცავს შეკითხვებს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ოფიციალური სტატუსის მქონე ბავშვების (შშმ ბავშვი), ასევე ფუნქციონირების დარღვევების მქონე ბავშვების საჭიროებების შესახებ: დამხმარე საშუალებები, სოციალური მომსახურებები, სამედიცინო მომსახურებები, მედიკამენტები და სხვა. გარდა ამისა, შშმ

ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების ისეთი საჭიროებების იდენტიფიცირება, როგორიც არის მისაწვდომობა სრულფასოვან კვებაზე, ჰიგიენურ საშუალებებზე, განათლებაზე, სეზონურ ტანსაცმელზე/ფეხსაცმელზე, სასკოლო ინვენტარზე, ხდება კითხვარის სხვა ნაწილების მიერ (თვითმმართველობის თანამშრომელს არ ევალება პროფესიონალურ დონეზე შეაფასოს ფუნქციონირების დარღვევა; ამ შემთხვევაში მისაღები ხდება ინფორმაცია, როცა მშობელი/სხვა კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ბავშვს აქვს სირთულეები ფუნქციონირების რომელიმე კონკრეტულ სფეროში: სიარული, სმენა, მხედველობა, კომუნიკაცია, მეხსიერება, ყურადღების კონცენტრაცია, დასწავლა, ქცევა, ახალ გარემოში ადაპტირება და სხვა).

**მეორადი მონაცემების ანალიზი მოიცავს მუნიციპალიტეტის სამსახურებში (სოციალური დაცვის, განათლების, ჯანდაცვის და სხვა სამსახურები) შშმ ბავშვების საკითხებზე ოჯახების მომართვების შესწავლას**. კერძოდ, რა სახის დახმარებაზე მიმართავენ შშმ ბავშვების მშობლები მუნიციპალიტეტის სამსახურებს, განსაკუთრებით კი – სოციალურ, ჯანდაცვის და განათლების სამსახურებს. ზოგიერთ მუნიციპალიტეტს აქვს მომართვიანობის აღრიცხვის ელექტრონული ბაზა (მაგალითად, ახალციხის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სამსახური ელექტრონულად აღრიცხავს მომართვებს), რომლის ანალიზის საფუძველზე მუნიციპალიტეტი იღებს ინფორმაციას კონკრეტული საჭიროებების შესახებ. ასეთი ბაზების არსებობის შემთხვევაში, რეკომენდებულია, რომ მსგავს მონაცემთა ბაზაში დაემატოს ახალი ცვლადი "შშმ ბავშვი" და "ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვი", რათა მომართვიანობის დიფერენცირება გაუმჯობესდეს. თუ თვითმმართველობას არ აქვს მომართვიანობის აღრიცხვის ელექტრონული ბაზა, მაშინ მნიშვნელოვანია ასეთი ბაზა შეიქმნას ყველა პროგრამის ფარგლებში.

თვითმმართველობამ შშმ ბავშვების საჭიროებების და მათ წინაშე არსებული ბარიერების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიიღოს **შშმ ბავშვების მშობელთა ორგანიზაციებიდან, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებიდან, განათლების დაწესებულებებიდან (სკოლამდელი განათლების საკითხებს კურირებას უწევს თავად მუნიციპალიტეტი), მათ შორის განათლების რესურს-ცენტრიდან**; კერძოდ, შესაძლებელია ფოკუს-ჯგუფების ჩატარება ბარიერების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად.

საჭიროებების გამოვლენის შემდეგ მნიშვნელოვანია **საჭიროებების პრიორიტეტებად დიფერენცირება ასაკობრივი ჯგუფების და დარღვევების მიხედვით**. კერძოდ, უნდა გამოიყოს ის საჭიროებები, რომლებიც უფრო მეტ ბავშვს აქვს. ასევე აუცილებელია იმ საჭიროებების განსაზღვრაც, რომლებიც **რაოდენობრივად მნიშვნელოვანი არ არის, თუმცა მათი უგულებელყოფა ბავშვის სიცოცხლეს ზიანს მიაყენებს**. ეს უკანასკნელი ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეიძლება განახორციელოს შესაბამის სამსახურებთან, შშმ ბავშვების მშობლების ორგანიზაციებთან, შშმ პირთა ორგანიზაციებთან და უფლებადამცველებთან, შშმ პირთა საბჭოს, განათლების დაწესებულებებთან და მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან ფოკუს-ჯგუფების ან მათთან კონსულტირების საფუძველზე.

წინამდებარე გაიდლაინი შეიცავს ცხრილებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს მონაცემების დახარისხებისას, ახალი სოციალური პროგრამების შექმნისას ან არსებული პროგრამების გაუმჯობესებისას.

პირველი ცხრილი იძლევა იმის საშუალებას, რომ განისაზღვროს, თუ **რა სახის ფულადი გასაცემელი (ფინანსური დახმარება) ან არაფულადი დახმარება (მაგალითად, საკვები,**

**ჰიგიენური საფენები, მედიკამენტები, დამხმარე საშუალებები და სხვა) ესაჭიროებათ შშმ ბავშვებს/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებს**; ხოლო მეორე ცხრილის შემთხვევაში იკვეთება, **თუ რა სახის დარღვევები და სირთულეები აქვთ ბავშვებს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით**. მეორე ცხრილი თვითმმართველობას დაეხმარება ასაკის და დარღვევების მიხედვით განსაზღვროს პრიორიტეტები სოციალური მომსახურებების შექმნის/გაფართოების კუთხით.

შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში სამიზნე ჯგუფის დაყოფა შეზღუდული შესაძლებლობის/ფუნქციონირების დარღვევის სახეების და ასაკის მიხედვით უფრო დააკონკრეტებს სოციალური პროგრამების მიზნებს და ღონისძიებებს.

***რეკომენდებულია, რომ მოხდეს ბავშვთა შემდეგი ასაკობრივი ჯგუფების გამოვლენა:***

- *0-2 (ადრეული ბავშვობა საბავშვო ბაღის ასაკამდე);*
- *3 – 6 (ადრეული ბავშვობა, საბავშვო ბაღის ასაკი);*
- *7 – 12 (შუა ბავშვობა, სკოლის ადრეული ეტაპი);*
- *12 წლიდან 18 წლამდე (მოზარდობა).*

თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს აქვს ასაკთან დაკავშირებული საჭიროებები **ფუნქციონირების/განვითარების, განათლების მიღების და სოციალური ინკლუზიის კუთხით**; ხოლო, შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევაში, აღნიშნულ საჭიროებების უზრუნველყოფაზე დიდ გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობა/დარღვევა და გარემო ბარიერები.

***გარდა ასაკობრივი ჯგუფებისა, რეკომენდებულია, რომ დარღვევების დაყოფა მოხდეს შემდეგი ჯგუფების მიხედვით:***

- *შეზღუდული მობილობის (სიარულის სირთულეების) მქონე ბავშვები*
- *შეზღუდული სენსორული შესაძლებლობის (სმენის და მხედველობის დარღვევების) მქონე ბავშვები*
- *შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის (გონებრივი განვითარების შეფერხების) მქონე ბავშვები*
- *ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მქონე ბავშვები*
- *ქცევითი დარღვევების მქონე ბავშვები*

აღსანიშნავია, რომ კვლევა სრულად ვერ მოიცავს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა შშმ ბავშვს/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვს, თუმცა მიღებული შედეგები განზოგადების შესაძლებლობას იძლევა.

კვლევის მონაცემების დამუშავებით შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი ცხრილების შევსება. თუ რომელიმე კონკრეტული მონაცემის მიღების შესაძლებლობა არ არსებობს, ეს არ უნდა გახდეს მონაცემების ანალიზის და სოციალური პროგრამების დაგეგმვის შეფერხების საფუძველი. ასეთი მონაცემები შეიძლება დაზუსტდეს სხვა წყაროებიდან (ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები; სხვა კვლევების შედეგები) ან ფოკუს-ჯგუფებით (საჭიროებების შესახებ უფრო კონკრეტული ინფორმაცია).

**ცხრილების მონაცემები ეხება მხოლოდ და მხოლოდ შშმ ბავშვებს ან ფუნქციონირე-**

**ბის სირთულეების მქონე ბავშვებს. ცხრილის სვეტში, სადაც არ არის დაკონკრეტებული ტერმინი "შშმ ბავშვი", მოიაზრება როგორც სტატუსის მქონე, ასევე სტატუსის არმქონე, ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვი.**

ცხრილები თვითმმართველობას დაეხმარება როგორც საჭიროებების დახარისხების, ასევე პროგრამების დაგეგმვის პროცესში.

ცხრილების შედეგად მიღებული ანალიზით მუნიციპალიტეტი იღებს სრულ სურათს:

- **რა საჭიროებები აქვთ შშმ ბავშვებს/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებს სოციალური პროგრამების კუთხით – ფულადი და არაფულადი დახმარება და სოციალური მომსახურებები;**
- **რომელი საჭიროებების უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფო პროგრამებით;**
- **რომელი საჭიროებების უზრუნველყოფა ხდება მუნიციპალიტეტის მიერ;**
- **იკვეთება ფულადი და არაფულადი დახმარებების საჭიროებები და ოდენობა;**
- **მუნიციპალიტეტში არსებული რესურსები სოციალური პროგრამების, განსაკუთრებით, სოციალური მომსახურებების კუთხით.**

ცხრილების საფუძველზე მუნიციპალიტეტი კარგად განსაზღვრავს სამიზნე ჯგუფებს, მათ საჭიროებებს და საჭირო დახმარების სახეებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების რაოდენობას, ასევე პრობლემის სიმწვავეს.



**ცხრილი №1:** შშმ ბავშვებისთვის/ფუნქციონირების დარღვევების მქონე ბავშვებისთვის ფულადი შემწეობის და არაფულადი დახმარების განსაზღვრის საფუძველი (ინფორმაცია მიღებულია კვლევის საფუძველზე)

| საჭიროებები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც არ აქვთ ხელოვნური, სპეციალური ან სრულფასოვანი საკვები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც არ აქვთ ჰიგიენური საშუალებები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც არ აქვთ საჭირო რეგულარული მედიკამენტები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც არ აქვთ სეზონური ტანსაცმელი/ფეხსაცმელი | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც არ აქვთ დამხმარე საშუალებები (ეტლი, ყავარჯენი, სათვალე, სმენის აპარატი და სხვა | ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ ადაპტირებული ტრანსპორტის საჭიროება (საბავშვო ბაღში, სკოლაში, პროფესიულ კოლეჯში, მომსახურებების ცენტრში და სხვა) | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც სჭირდებათ სახლის გარემოს ადაპტირება, რათა ასაკის შესაბამისად შეძლონ სახლის გარემოს დამოუკიდებლად გამოყენება | ბავშვების რაოდენობა, რომელთა ოჯახებსაც უჭირთ კომუნალური გადასახადების გადახდა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | | | | | |
| 3-6 | | | | | | | | |
| 7-12 | | | | | | | | |
| 13-17 | | | | | | | | |

**ცხრილი №2**: ბავშვების რაოდენობა, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის დარღვევები (კვლევის შედეგები და მეორადი მონაცემები); შშმ ბავშვების რაოდენობა – სოციალური მომსახურების სააგენტო – www.ssa.gov.ge)

| დარღვევები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | გადაადგილების (სიარულის) სირთულე | სმენის დარღვევა | მხედველობის დარღვევა | მეტყველების სირთულე | გონებრივი განვითარების დარღვევა | ქცევითი დარღვევები | ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეები | შშმ ბავშვის სტატუსი მქონე ბავშვების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | | | | | |
| 3-6 | | | | | | | | |
| 7-12 | | | | | | | | |
| 13-17 | | | | | | | | |

**ცხრილი №3**: კვების საჭიროების მქონე შშმ ბავშვებისთვის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დახმარების განსაზღვრა

| სრულფასოვან კვებასთან დაკავშირებული საჭიროებები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების რაოდენობა, რომელთა ოჯახები აღნიშნავენ, რომ ვერ უზრუნველყოფენ მათ ხელოვნურ, სპეციალურ ან სრულფასოვან კვებას | ბავშვების რაოდენობა (პირველ სვეტში მითითებული რაოდენობიდან), რომლებიც იღებენ სახელმწიფო პროგრამით კვების, მათ შორის ცელიაკიის/ფენილ-კეტონურის შემთხვევებში სპეციალიზებული საკვების თანხას, მაგრამ მაინც აქვთ სრულფასოვანი საკვების დეფიციტი | ბავშვების რაოდენობა (პირველ სვეტში მითითებული რაოდენობიდან), რომელთა ოჯახებიც იღებენ ბავშვების 150 ლარიან დახმარებას და მაინც ვერ უზრუნველყოფენ შვილებს სრულფასოვანი საკვებით | ბავშვების კვების უზრუნველყოფის სხვა წყარო – მუნიციპალიტეტის დამატებითი რესურსი, არასამთავრობო ორგანიზაცია და სხვა | დამატებითი ინფორმაცია საკვების სახეობის შესახებ – რა სახის საკვებზე და ოდენობაზეა საუბარი |
|---|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | | |
| 3-6 | | | | | |
| 7-12 | | | | | |
| 13-17 | | | | | |

**ცხრილი №4:** სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების საჭიროების მქონე შშმ ბავშვებისთვის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დახმარების განსაზღვრა

| სამედიცინო მომსახურებები და მედიკამენტები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები ბავშვების რაოდენობა, რომელთა ოჯახები ვერ უზრუნველყოფენ მათ სამედიცინო მომსახურებას | ბავშვების რაოდენობა, რომელთა ოჯახები ვერ უზრუნველყოფენ მათთვის მედიკამენტების შესყიდვას | შშმ ბავშვებისთვის საჭირო სამედიცინო ინვენტარის* რეგულარული საჭიროება | ძირითადად რა სახის სამედიცინო მომსახურებები და მედიკამენტები ესაჭიროებათ შშმ ბავშვებს | რა სახის მედიკამენტები ფინანსდება სახელმწიფო ან სხვა პროგრამებით | რა სახის სამედიცინო მომსახურებები ფინანსდება სახელმწიფო ან სხვა პროგრამებით |
|---|---|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | | | |
| 3-6 | | | | | | |
| 7-12 | | | | | | |
| 13-17 | | | | | | |

* სამედიცინო ინვენტარი: საინფუზიო გადასასხმელი ხსნარები, ანტიკონვულსანტები, პოლივიტამინები, ანტისეპტიკური საშუალებები, გადასხმის სისტემები, შპრიცები-ნემსები, შესახვევი მასალა, ხელთათმანი, ნიღაბი, საკვები ზონდი, ნაზოგასტრალური ზონდი, შარდის ბუშტის კათეტერი, ასპირაციული ამომქაჩი კათეტერი და სხვა (აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სამსახურიდან, მუნიციპალიტეტში მოქმედი სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლისგან ან შინმოვლის მომსახურების მიმწოდებლისგან).

**ცხრილი №5:** ჰიგიენური საშუალებების საჭიროების მქონე შშმ ბავშვებისთვის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დახმარების განსაზღვრა

| ჰიგიენური საშუალებები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების რაოდენობა, რომელთა ოჯახები მათ ვერ უზრუნველყოფენ ჰიგიენური საფენებით | ჰიგიენური საშუალებების საჭიროება თვის განმავლობაში | ბავშვების რაოდენობა, რომლებიც უკვე იღებენ ჰიგიენურ საშუალებებს მუნიციპალიტეტის პროგრამიდან, თუმცა არ ჰყოფნით აღნიშნული საშუალებები | სხვა ჰიგიენური საშუალებების საჭიროება – ჩამონათვალი |
|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | |
| 3-6 | | | | |
| 7-12 | | | | |
| 13-17 | | | | |

**ცხრილი №6**: ტრანსპორტირების საჭიროების მქონე შშმ ბავშვებისთვის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დახმარების განსაზღვრა

| ტრანსპორტირების საჭიროება / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ ადაპტირებული ტრანსპორტი განათლების დაწესებულებაში, მომსახურებაში და სხვა მნიშვნელოვან ადგილებში | ბავშვების რაოდენობა, რომელთა ოჯახები აღნიშნავენ, რომ ვერ უზრუნველყოფენ მათ ინდივიდუალური ტრანსპორტით | ბავშვის ინდივიდუალურად ტრანსპორტირების საშუალო ღირებულება ერთი თვის განმავლობაში |
|---|---|---|---|
| 3-6 | | | |
| 7-12 | | | |
| 13-17 | | | |

**ცხრილი №7:** ადაპტირებული სახლის გარემოს საჭიროების მქონე შშმ ბავშვებისთვის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დახმარების განსაზღვრა

| სახლის გარემოს ადაპტირების საჭიროება / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ ადაპტირებული გარემო სახლში (შესასვლელი/გამოსასვლელის, აბაზანის და საპირფარეშოს, ადაპტირება) | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ ადაპტირებული გარემო სახლში (შესასვლელი/გამოსასვლელის, აბაზანის და საპირფარეშოს, ადაპტირება ) და მათი ოჯახები ვერ უზრუნველყოფენ აღნიშნულს ფინანსური რესურსების გამო | ადაპტირების საშუალო ღირებულება ერთი ბავშვის შემთხვევაში |
|---|---|---|---|
| 6-17 | | | |

**<u>ცხრილი №8</u>**: სოციალურად დაუცველი შშმ ბავშვების ოჯახების კომუნალური გადასახადების პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დახმარების განსაზღვრა

| სახლის გარემოს ადაპტირების საჭიროება / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | შშმ ბავშვების ოჯახების რაოდენობა, რომელთაც აქვთ სირთულეები კომუნალური გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით | შშმ ბავშვების ოჯახების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ კომუნალური გადასახადების შეღავათებით | შშმ ბავშვების ოჯახების კომუნალური გადასახადების საშუალო ხარჯი ზაფხულში | შშმ ბავშვების ოჯახების კომუნალური გადასახადების საშუალო ხარჯი ზამთარში | კომუნალური გადასახადების შეღავათების ოდენობა (ვაუჩერი, წლიურად ერთჯერადად გადახდილი თანხა და ა.შ.) |
|---|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | | |
| 3-6 | | | | | |
| 7-12 | | | | | |
| 13-17 | | | | | |

მოცემული ცხრილების მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს საჭიროებების კლასიფიკაციას შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

**<u>1. ბაზისური საჭიროებები:</u>**

- **ჩვილისთვის ხელოვნური კვების საჭიროება და სპეციფიკური კვება**
- **სრულფასოვანი საკვების დანაკლისი ბავშვებისთვის**
- **რეგულარული სამედიცინო მომსახურებები**
- **რეგულარული მედიკამენტების საჭიროება**
- **ჰიგიენური ნივთების საჭიროება**
- **სეზონური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი**
- **საცხოვრებელი გარემო, რომელიც შეესაბამება ბავშვის საბაზისო საჭიროებებს – წყალი, ელექტროენერგია, გათბობა, გაზი და სხვა.**

აღნიშნული ცხრილების საშუალებით საჭიროებების დახარისხება მუნიციპალიტეტს ასევე ეხმარება დაინახოს უკვე არსებული ფულადი დახმარების ეფექტიანობაც, მაგალითად, თუ ოჯახი იღებს საკვების ფულს და ბავშვი კვლავ მოკლებულია სრულფასოვან საკვებს, მაშინ ასეთ შემთხვევაში უნდა გაანალიზდეს თავად დახმარება რამდენად საკმარისია ან რამდენად იყენებს ოჯახი აღნიშნულ დახმარებას ეფექტიანად და ხომ არ არის ბავშვის უგულებელყოფის რისკი; როგორ ჯობია დახმარების გაცემა – ფულადი თუ არაფულადი ფორმით; მაგალითად, ხომ არ ჯობია, ტრანსპორტის თანხის ნაცვლად მუნიციპალიტეტმა თავად უზრუნველყოს ტრანსპორტი, თუ მშობელს ბავშვი არ დაჰყავს თერაპიაზე და ამ თანხას მიზნობრივად არ იყენებს.

სოციალური პროგრამების შემუშავებამდე ბავშვების საჭიროებების რაოდენობრივი ანალიზის გარდა, მნიშვნელოვანია კვლევის შედეგად მოპოვებული საჭიროებების შესა-

ხებ თვისებრივი ინფორმაციის გაანალიზება. მაგალითად, რომელ მედიკამენტებზე ან სამედიცინო მომსახურებაზე არის დიდი მოთხოვნა/მომართვიანობა, რასაც არ აფინანსებს სახელმწიფო პროგრამები ან რაში ესაჭიროებათ ტრანსპორტირება და რა ინტენსივობით. აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია საყოველთაო მუნიციპალურ პროგრამებში გასათვალისწინებლად და ასევე ფულადი დახმარების ოდენობის განსაზღვრისას. ასეთი კონკრეტული ინფორმაცია ადგილობრივ თვითმმართველობას შეიძლება ჰქონდეს მომართვიანობის ბაზის ანალიზის შედეგადაც.

## 2. ფუნქციონირებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებები:

არსებული სოციალური მომსახურებების გაუმჯობესებისთვის, ახალი მომსახურებების შექმნისთვის და ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფინანსებული მომსახურებების/დამხმარე საშუალებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მნიშვნელოვანია ბავშვების საჭიროებების ცოდნა ასაკის და სფეროების მიხედვით.

- **გადაადგილების (სიარულთან დაკავშირებული) სირთულეები:** გადაადგილების დამხმარე საშუალებები და ტრენინგი, თერაპიების საჭიროება (ფიზიკური თერაპია, ოკუპაციური თერაპია), ადაპტირებული სახლის გარემო, ადაპტირებული ფიზიკური გარემო და ტრანსპორტი;
- **სმენის სირთულეები:** სმენის აპარატი და სმენის თერაპია, კოხლეარული იმპლანტი, ჟესტური ენის თარჯიმანი;
- **მხედველობის სირთულეები:** ორიენტაცია-მობილობის სპეციალისტის მომსახურება სახლის გარემოს და გარე სივრცეში ადაპტირებისთვის, თეთრი ხელჯოხი;
- **მეტყველების სირთულეები:** მეტყველების თერაპია;
- **ქცევის სირთულეები:** ქცევითი თერაპიები – გამოყენებითი ქცევითი თერაპია, ფლორთაიმი და სხვ.
- **ინტელექტუალური განვითარების სირთულეები/ გონებრივი განვითარების შეფერხება:** სხვადასხვა სახის თერაპიები ორიენტირებული ფუნქციონირების და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე, რაც მიმართულია შემდეგ სფეროებზე – თვითმოვლა, კომუნიკაცია, მეხსიერება, ყურადღების კონცენტრირება და სხვ.
- **ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეები** – ფსიქოთერაპია და ფუნქციონირების გაუმჯობესება სხვადასხვა თერაპიების მეშვეობით.

## 3. დამოუკიდებელ ცხოვრებასთან და სოციალურ ინკლუზიასთან დაკავშირებული საჭიროებები:

შშმ ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრება საჭიროებს ისეთი პროგრამების შექმნას, რომლებიც შშმ ბავშვებს/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებს საშუალებას მისცემენ, შეიძინონ ახალ გარემოში ადაპტირების უნარები და გამოცდილება, დაამყარონ ურთიერთობა თავის თანატოლებთან, მონაწილეობა მიიღონ სპორტულ-გასართობ ღონისძიებებში და სხვ.

ფუნქციონირებასთან, განვითარებასთან და სოციალურ ინკლუზიასთან დაკავშირებული საჭიროებების შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობა იღებს კვლევის შედეგად. მიღებული მონაცემების დაზუსტების და გაღრმავების მიზნით შესაძლებელია ფოკუს-ჯგუფების ჩატარებაც შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების მშობლებთან, შშმ პირთა ორგანიზაციებთან, არსებული სოციალური მომსახურებების სპეციალისტებთან და ინკლუზიური განათლების გუნდის წარმომადგენლებთან.

## სოციალური მომსახურებების საჭიროებების და არსებული რესურსების ანალიზი

(მომდევნო ცხრილები აანალიზებს ფუნქციონირების სირთულეების, მათ შორის ოფიციალური შშმ ბავშვის სტატუსის მქონე ბავშვების საჭიროებებს და მათთვის მისაწვდომ რესურსებს)



**ცხრილი №9**: სმენის სირთულეების მქონე ბავშვებისთვის სოციალური მომსახურებების საჭიროების განსაზღვრა (რესურსების შესახებ ინფორმაცია ივსება ნარატიულად)

| საჭიროებები და რესურსები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ სმენის აპარატი, კოხლეარული იმპლანტი | ბავშვების რაოდენობა, რომლებიც იყენებენ სმენის აპარატს ან კოხლეარულ იმპლანტს | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ ჟესტური ენის შესწავლა და ჟესტური ენის თარჯიმანი | მუნიციპალიტეტის ფარგლებში (მეზობელ მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული ჟესტური ენის შესწავლის კურსები; ჟესტური ენის თარჯიმანი | მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული მომსახურებები – ჟესტური ენის შესწავლის კურსები; ჟესტური ენის თარჯიმანი, სმენის თერაპია და სხვა | ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჟესტური ენის შესწავლას და ჟესტური ენის თარგმანს ან სმენის თერაპიას მუნიციპალიტეტში და საქართველოს ფარგლებში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | | | |
| 3-6 | | | | | | |
| 7-12 | | | | | | |
| 13-17 | | | | | | |

**ცხრილი №10:** მხედველობის სირთულეების მქონე ბავშვებისთვის სოციალური მომსახურებების საჭიროების განსაზღვრა (რესურსების შესახებ ინფორმაცია ივსება ნარატიულად)

| საჭიროებები და რესურსები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ სათვალე | ბავშვების რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებულ სათვალეს იყენებენ | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ თეთრი ხელჯოხი | ბავშვების რაოდენობა, რომლებიც იყენებენ თეთრ ხელჯოხს | მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო პროგრამით ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული მომსახურებები მხედველობის სირთულეების მქონე ბავშვებისთვის | ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორიენტაცია-მობილობის მომსახურებას მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ფარგლებში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | | | |
| 3-6 | | | | | | |
| 7-12 | | | | | | |
| 13-17 | | | | | | |

**ცხრილი №11:** მეტყველების სირთულეების მქონე ბავშვებისთვის სოციალური მომსახურებების საჭიროების განსაზღვრა (რესურსების შესახებ ინფორმაცია ივსება ნარატიულად)

| საჭიროებები და რესურსები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ მეტყველების თერაპია | ბავშვების რაოდენობა, რომლებიც იღებენ მეტყველების თერაპიას | სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული პროგრამები, რომლებშიც შედის მეტყველების თერაპია (გაითვალისწინება ასაკის მიხედვით განსაზღვრული პროგრამებიც) | მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო პროგრამით ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული პროგრამები, რომლებშიც შედის მეტყველების თერაპია (გაითვალისწინება ასაკის მიხედვით განსაზღვრული პროგრამებიც) | ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეტყველების თერაპიას ან მომსახურებას, რომლის ნაწილიც არის მეტყველების თერაპია მუნიციპალიტეტში და საქართველოს ფარგლებში |
|---|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | | |
| 3-6 | | | | | |
| 7-12 | | | | | |
| 13-17 | | | | | |

**ცხრილი №12**: ქცევის სირთულეების მქონე ბავშვებისთვის სოციალური მომსახურებების საჭიროების განსაზღვრა (რესურსების შესახებ ინფორმაცია ივსება ნარატიულად)

| საჭიროებები და რესურსები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ ქცევითი თერაპია | ბავშვების რაოდენობა, რომლებიც იღებენ მეტყველების თერაპიას | სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული პროგრამები, რომლებშიც შედის ქცევითი თერაპია (გაითვალისწინება ასაკის მიხედვით განსაზღვრული პროგრამებიც) | მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო პროგრამით ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული პროგრამები, რომლებშიც შედის ქცევით თერაპია (გაითვალისწინება ასაკის მიხედვით განსაზღვრული პროგრამებიც) | ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქცევით თერაპიას ან მომსახურებას, რომლის ნაწილიც არის ქცევითი თერაპია მუნიციპალიტეტში და საქართველოს ფარგლებში |
|---|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | | |
| 3-6 | | | | | |
| 7-12 | | | | | |
| 13-17 | | | | | |

**ცხრილი №13**: გონებრივი განვითარების (ინტელექტუალური განვითარების) და ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მქონე ბავშვებისთვის სოციალური მომსახურებების საჭიროების განსაზღვრა (რესურსების შესახებ ინფორმაცია ივსება ნარატიულად)

| საჭიროებები და რესურსები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ მხარდაჭერა თვითმოვლის უნარების განვითარებისთვის | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ მხარდაჭერა კოგნიტიური უნარების გაუმჯობესებაში (სიახლის დასწავლა, მეხსიერება, ყურადღების კონცენტრირება და სხვა) | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ ფსიქოთერაპია | სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული მომსახურებები, რომლებშიც შედის საჭირო თერაპიები და მხარდამჭერი აქტივობები | მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული საჭირო თერაპიები და მხარდამჭერი აქტივობები | ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო თერაპიებს მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ფარგლებში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | | | |
| 3-6 | | | | | | |
| 7-12 | | | | | | |
| 13-17 | | | | | | |

**ცხრილი №14:** მოვლის საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სოციალური მომსახურებების განსაზღვრა (რესურსების შესახებ ინფორმაცია ივსება ნარატიულად)

| საჭიროებები და რესურსები / ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ შინმოვლა/საექთნო მოვლა (მოვლა მოიცავს დახმარებას კვების, დაბანის, ტუალეტის გამოყენების და სხვა ჰიგიენური პროცედურების დროს, ნაწოლების დამუშავების, სტომის გასუფთავების და სხვა პროცედურების დროს) | სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული პროგრამები, რომლებშიც შედის შინმოვლა | მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოქმედი შინმოვლის პროგრამა | ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ შინმოვლას |
|---|---|---|---|---|
| 0-2 | | | | |
| 3-6 | | | | |
| 7-12 | | | | |
| 13-17 | | | | |

**თუ ზემოთ მოყვანილი ცხრილების შევსების შესაძლებლობა არ აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას, მაშინ მომსახურებებს განსაზღვრავს კვლევის შედეგად მიღე-ბული ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე (კითხვარი – 1.5.3.):**

| | მომსახურებები | ბავშვების ასაკობრივი ჯგუფები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 0-2 | 3-6 | 7-12 | 13-17 |
| 1 | ადრეული განვითარება/ ადრეული ჩარევა (0-6 წლის ასაკის ბავშვები) | | | | |
| 2 | დღის ცენტრი (6-18 წლის ასა-კის ბავშვები) | | | | |
| 3 | ბინაზე მოვლა/შინმოვლა (7-18 წლის ასაკის ბავშვები) | | | | |
| 4 | რეაბილიტაცია/აბილიტაციის მომსახურება (0-17 წლის ასა-კის ბავშვები) | | | | |
| 5 | ქცევითი თერაპია | | | | |
| 6 | პერსონალური ასისტენტის სერვისი | | | | |
| 7 | დამხმარე საშუალებები | | | | |
| 8 | ფულადი დახმარება | | | | |
| 9 | მედიკამენტები/სამედიცინო მომსახურების თანადაფინა-ნსება | | | | |
| | სხვა (კონკრეტული მომსახუ-რება/კონკრეტული დახმა-რება) | | | | |

ნაწილი II

# ბავშვზე და ბავშვიან ოჯახზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვა



სოციალური პროგრამების შემუშავების პროცესის უშუალო აღწერამდე მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ ის ძირითადი პრინციპები და მიდგომები, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ბავშვზე მორგებული პროგრამების შექმნა:

- *მტკიცებულებაზე დაფუძნებული და საჭიროებაზე მორგებული დაგეგმვა*
- *ამოსავალი პრიორიტეტი – ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება*
- *ჰარმონიზაცია პრიორიტეტებთან და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტებთან*
- *პროცესის გამჭვირვალობა და კონსულტაცია დაინტერესებულ მხარეებთან*
- *ინკლუზიურობა*
- *დისკრიმინაციის დაუშვებლობა*
- *ცხოვრების ყველა ეტაპზე არსებული საჭიროებების (Life cycle approach) გათვალისწინება*
- *პროგრამების დუბლირების თავიდან აცილება*
- *რაციონალური დაგეგმვა*

გასათვალისწინებელია: სოციალური პროგრამების ეფექტურობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბენეფიციართა საჭიროებების სრულფასოვანი კვლევა, საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი წარმომქმნელი ფაქტორების ანალიზი, მუნიციპალიტეტის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების შეფასება, მისაღწევი მიზნების სწორად დასახვა, ამ მიზნების მისაღწევად ღონისძიებების და მათი მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა, დაგეგმილი შედეგების მიღწევის სწორი ინდიკატორები და შესრულების მონიტორინგი. ეს არის რთული და კომპლექსური პროცესი, რომელიც შესაძლებელია დაიყოს რამდენიმე ეტაპად:

**მოსამზადებელი ეტაპი**

მუნიციპალიტეტის მიერ საჭიროებათა კვლევაზე მუშაობის დასრულების შემდგომ, იწყება ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, რომლის ფარგლებშიც თვითმმართველმა ერთეულმა უნდა შეძლოს, უპასუხოს მის წინაშე მდგარ ამოცანებსა და გამოწვევებს, შეაფასოს რამდენად შეესაბამება მისი სოციალური პროგრამები კვლევით იდენტიფიცირებულ გამოწვევებს, საჭიროა თუ არა არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება, ახალი პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავება და არსებობს თუ არა ამის რესურსი (როგორც ფინანსური, ასევე მატერიალურ-ტექნიკური).

მოსამზადებელი ეტაპის მიზანს წარმოადგენს, განხორციელდეს საჭიროებათა კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის სრულფასოვანი ანალიზი და დახარისხება. მნიშვნელოვანია, რომ კვლევისას გამოვლენილი საჭიროებების ანალიზისას მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

**ა) განეკუთვნება თუ არა საჭიროებათა კვლევით იდენტიფიცირებული საკითხის მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას?**

პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ ვის კომპეტენციაში შედის საჭიროებათა კვლევის დოკუმენტით იდენტიფიცირებულ პრობლემებზე რეაგირება. თუ საკითხი თვითმმართველობის უფლებამოსილებას განეკუთ-

ვნება, სასურველია, განისაზღვროს, თუ რომელი ტიპის უფლებამოსილებასთან გვაქვს საქმე – საკუთართან თუ დელეგირებულთან, რათა ღონისძიებების დაგეგმვისას არ მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებების აღრევა. საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში ღონისძიებებს/ქვეპროგრამებს/პროგრამებს მუნიციპალიტეტი გეგმავს და ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსებით, ხოლო დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის ადგილობრივ თვითმმართველობას განესაზღვრება როგორც ფუნქციათა კონკრეტული ჩამონათვალი, ასევე ამ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის მიზნობრივი ტრანსფერის სახით გამოყოფილი ფინანსური და მატერიალური რესურსი.

**ბ) არის თუ არა გათვალისწინებული საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოვლენილი კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამებით?**

საჭიროებათა კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული კონკრეტული საჭიროებები უნდა დახარისხდეს იმის მიხედვით, თუ რომელი უწყების ვალდებულებაში შედის მათზე რეაგირება. მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს, რა ხვდება სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში და რა საჭიროებები რჩება რეაგირებისთვის ადგილობრივ დონეზე.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, უკვე ხომ არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა (ცენტრალურ დონეზე), რომელიც ითვალისწინებს საჭიროებათა კვლევით იდენტიფიცირებულ ბენეფიციართათვის კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით მომსახურების დაფინანსებას ან ფულად გასაცემელებს. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რათა არ მოხდეს უკვე არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების დუბლირება. მაგ. დუბლირებას ექნება ადგილი, თუ მუნიციპალიტეტი გადაწყვეტს დააფინანსოს იგივე სერვისი ამავე ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციართათვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, გარკვეული სარეიტინგო ქულით. დუბლირების შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვევა – პროგრამით განსაზღვრული მიზანი, ბენეფიციართა კატეგორია და პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები. აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ მუნიციპალიტეტს შეუძლია, გაზარდოს პროგრამის დაფინანსება, დაფარვის არეალი და გასცდეს სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალს ან ბენეფიციართა კატეგორიას. ამ შემთხვევაში პროგრამის დუბლირებასთან აღარ გვექნება საქმე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზანი და აქტივობები შეიძლება ანალოგიური იყოს.

**გ) არის თუ არა გათვალისწინებული საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოვლენილი კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით უკვე დაფინანსებული (უკვე არსებული) პროგრამებით?**

მნიშვნელოვანია გაკეთდეს 06 00 პრიორიტეტის ფარგლებში არსებული სოციალური პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების ანალიზი. თუ აღმოჩნდება, რომ კონკრეტული საჭიროება ასახულია მუნიციპალური ან ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში/ქვეპროგრამებში, მაგრამ ამ საჭიროებას მაინც აიდენტიფიცირებს კვლევა, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს აღნიშნულის მიზეზი.

შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სახელმწიფოსა თუ მუნიციპალიტეტის ინტერვენციის მიუხედავად, საჭიროება კვლავ აქტუალური იყოს მოწყვლადი ჯგუფებისათვის. შესაბამისად,

ძალზედ მნიშვნელოვანია სიღრმისეულად გაანალიზდეს, რა შედეგს იძლევა არსებული პროგრამები და რა ბარიერები არსებობს პროგრამებით დასახული მიზნების მიღწევაში. შეიძლება გამოვლინდეს, რომ ადგილი ჰქონდა მიზნის არასწორ ფორმულირებას, ღონისძიებების არასწორ დაგეგმვას ან შესრულების ინდიკატორების არასწორად ჩამოყალიბებას, შეიძლება პრობლემა გამოწვეული იყოს გამოყოფილი რესურსის ნაკლებობით და პროგრამა საჭიროებდეს გაფართოებას ან გარკვეულ ცვლილებას იმისათვის, რომ ბენეფიციართა საჭიროების უკეთ დაკმაყოფილება მოხდეს.

**არსებული პროგრამების ანალიზში დაგეხმარებათ შემდეგი კითხვები:**

ა) რამდენად შეესაბამება პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს?

ბ) რამდენად პასუხობს არსებული პროგრამა/ქვეპროგრამა დასახულ მიზანს?

გ) რამდენად სწორად არის განსაზღვრული პროგრამით/ქვეპროგრამით მოსარგებლეთა წრე? თუ არა, მაშინ როგორ შეიძლება სამიზნე ჯგუფის შეცვლა?

დ) რამდენად სწორად არის შერჩეული პროგრამის ქვეპროგრამები და ღონისძიებები? შესრულების ინდიკატორები?

ე) რამდენად არის შედეგზე ორიენტირებული თითოეული პროგრამა/ქვეპროგრამა და რა გავლენა აქვს ამ პროგრამებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე?

ვ) არსებობის შემთხვევაში, როგორ უნდა გამოსწორდეს პროგრამის/ქვეპროგრამის ხარვეზი?

ზ) უნდა გაგრძელდეს თუ არა მომავალში პროგრამა/ქვეპროგრამა? საჭიროებს თუ არა ცვლილებას და რა ფორმით?

საბოლოო ჯამში, მოსამზადებელი ეტაპის დროს სამიზნე ჯგუფის საჭიროებები უნდა გაანალიზდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი დახარისხება **სამ კატეგორიად:**

1. **საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება/ან ნაწილობრივი დაკმაყოფილება გათვალისწინებულია სახელმწიფო პროგრამებით;**
2. **საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება/ან ნაწილობრივი დაკმაყოფილება გათვალისწინებულია უკვე არსებული ადგილობრივი პროგრამებით;**
3. **საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება არ ხდება უკვე არსებული ადგილობრივი პროგრამებით.**

მუნიციპალურ სოციალური პროგრამები უნდა დაიგეგმოს მეორე და მესამე კატეგორიის საჭიროებებზე საპასუხოდ.

## დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ჩართვა დაგეგმვის პროცესში

მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს საჭიროებათა კვლევის მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებს შორის რომელი საკითხის მოწესრიგება განეკუთვნება მის კომპეტენციას და, ასევე, დარწმუნდება, რომ უკვე არ არსებობს ანალოგიური პროგრამა ადგილობრივ ან ცენტრალურ დონეზე, ან არსებობს, მაგრამ საჭიროა გარკვეული ცვლილებების განხორციელება მასში, უნდა გადავიდეთ **დაინტერესებული მხარეების** იდენტიფიცირების ეტაპზე.

### ვინ არიან დაინტერესებული მხარეები?

დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე სარგებელს იღებს ან კარგავს პროგრამის განხორციელების შედეგად, ან რაიმე სხვა ფორმით ზემოქმედებს იმ სოციალურ პრობლემაზე, რომლის გადაწყვეტაც მოწოდებულია აღნიშნული პროგრამით. დაინტერესებული მხარეები, შეგვიძლია, პირობითად დავყოთ **სამ კატეგორიად**:

**ძირითადი აქტორები**

**ძირითადი აქტორები**

ადამიანები, მოსახლეობის ჯგუფები ან ინსტიტუციები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა (დადებითი ან უარყოფითი) მოახდინონ პროცესზე, ან აქვთ განსაკუთრებული როლი პროგრამის წარმატებით განხორციელების პროცესში

**პირდაპირი ბენეფიციარები**

**პირდაპირი ბენეფიციარები**

ადამიანები ან მოსახლეობის ჯგუფები, რომლებზეც პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს პროგრამა

**არაპირდაპირი ბენეფიციარები**

**არაპირდაპირი ბენეფიციარები**

ყველა სხვა მოქალაქე ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე ინტერესი პროგრამის მიმართ ან არიან პროგრამის არაპირდაპირი ზეგავლენის ქვეშ

### რატომ არის მნიშვნელოვანი, მოვახდინოთ დაინტერესებული მხარეების ანალიზი?

- დასაწყისშივე მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, ვინ იქნება ამ პროცესის მხარდამჭერი და პოტენციური მოწინააღმდეგე;
- მნიშვნელოვანია, თავიდანვე მოვახდინოთ პროგრამის/ქვეპროგრამის განხორციელებისათვის შესაძლო დაბრკოლებების იდენტიფიცირება;
- როდესაც ვახდენთ დაინტერესებულ პირთა დაჯგუფებას მათი ინტერესებისა და გავლენების საფუძველზე, გვაქვს უკეთესი წარმოდგენა მათი მოტივაციის, ასევე მათი შესაძლო ჩართულობის შესახებ;
- ამ ეტაპზევე ვაცნობიერებთ, როგორ შეგვიძლია აღნიშნული ჯგუფების ჩართვა და მათი კუთვნილების განცდის გაძლიერება შემუშავებულ პროგრამასთან მიმართებით.

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია. იმისათვის, რომ არავინ გამოგვრჩეს მხედველობიდან. შესაძლებელია, გამოვიყენოთ დამხმარე ანალიტიკური მოდელი PESTLE[2], რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავფიქრდეთ იმ ყველა შესაძლო სექტორზე, რომელიც მნიშვნელოვანია და გარკვეული ინტერესის ან გავლენის მქონე შეიძლება აღმოჩნდეს:

2 https://www.thegrassrootscollective.org/_files/ugd/37a394_cd059eeb3f7e4d758adedc5679bc5ab4.pdf

**პოლიტიკური** – მაგ.: შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები, სამოქალაქო აქტივისტები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ა.შ.

**ეკონომიკური** – მაგ.: პროგრამის დაფინანსებაზე პასუხისმგებელი უწყებები, პოტენციური დონორები ან სააგენტოები, ადგილობრივი ბიზნესი დ ა.შ.

**სოციალურ/კულტურული** – მაგ.: ეთნიკური ჯგუფები, გენდერული ჯგუფები და ა.შ

**ტექნოლოგიური** – მაგ. თუ პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა სპეციფიკური ტექნიკური მხარდაჭერა – შესაბამისი ორგანიზაციები, პირები, და ა.შ.

**სამართლებრივი** – მაგ. თუ საჭიროა გარკვეულ სტრუქტურებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა პროგრამის განხორციელების პროცესში და სხვა.

**გარემო** – აღნიშნული სეგმენტის გათვალისწინება ყველა პროგრამისთვის რელევანტური არ არის, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ თავად გარემო იქნას განხილული, როგორც დაინტერესებული პირი, თუ რომელიმე აქტივობა მასზე გავლენას ახდენს.

დაინტერესებული მხარეები უნდა დავყოთ **სამ ძირითად ჯგუფად – ძირითად აქტორებად, პირდაპირ ბენეფიციარებად და არაპირდაპირ ბენეფიციარებად.**

შემდეგ ეტაპზე სასურველია მოხდეს იდენტიფიცირებული და დაჯგუფებული დაინტერესებული პირების გავლენებისა და ინტერესების გაანალიზება. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რამდენად დიდია მათი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ პროგრამის განხორციელებაზე და ასევე დავფიქრდეთ, რა დოზით ახდენს მათზე ზეგავლენას პროგრამა/ქვეპროგრამა. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი სქემა:



1. *პირველ გრაფაში ხვდებიან დაინტერესებული მხარეები, რომელთაც აქვთ დიდი გავლენა, მაგრამ მცირე მნიშვნელობის მატარებლები არიან.*
2. *მეორე გრაფაში ხვდებიან ის პირები, რომელთაც აქვთ მცირე გავლენა და მცირე მნიშვნელობა.*
3. *მესამე ჯგუფს წარმოადგენენ პირები დიდი გავლენითა და დიდი მნიშვნელობით.*
4. *მეოთხე ჯგუფში შედიან პირები, რომელთაც აქვთ დიდი მნიშვნელობა, მაგრამ მცირე გავლენა პროგრამის განხორციელებაზე.*

***ცხრილის ზედა მარჯვენა ნაწილში მოხვედრილი დაინტერესებული პირები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან აქტორებს და შესაბამისად, მათთან კარგი კომუნიკაციის დამყარება და პროგრამების/ქვეპროგრამების სწორად დაგეგმვის მიზნით მათთან კონსულტაცია ძალზედ მნიშვნელოვანია.***

**დაინტერესებულ მხარეებს შორის, გვინდა, განსაკუთრებით გამოვყოთ სერვისის მიმწოდებლები/პროვაიდერები და ცოტა მეტი ყურადღება დავუთმოთ სერვისის მომწოდებელთა და მათი შესაძლებლობების იდენტიფიცირების საკითხების მიმოხილვას.**

სოციალური პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია, სწორად შეფასდეს დასაგეგმი სერვისის მიწოდების საკითხი, ამისთვის კი აუცილებელია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შესაბამისი სერვისის მომწოდებლების/პროვაიდერების შესაძლებლობების ანალიზი.

სერვისის მომწოდებლის/პროვაიდერის ადგილზე არსებობა ან არარსებობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იმას, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს პასუხი ბენეფიციართა საჭიროებაზე. თუ აღმოჩნდება, რომ ადგილზე არსებობს საჭირო სერვისის მომწოდებელი, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს მისი შესაძლებლობები და რესურსები, დავფიქრდეთ სერვისის მიწოდების ხარისხის შეფასების მექანიზმებზე. სერვისის მიმწოდებლებთან კომუნიკაციისას გასათვალისწინებელია ინტერესთა **კონფლიქტის ფაქტორი** – სერვისის მიმწოდებელი შეიძლება არ იყოს ობიექტური, როგორც საკუთარი რესურსების შეფასების, ასევე გასაწევი მომსახურების კომპონენტების დაგეგმვის კუთხით მოსაზრების გამოთქმისას, ამიტომ მნიშვნელოვანია, მისგან მიღებული ინფორმაცია (რესურსების, შესაძლებლობების, გასატარებელი ღონისძიებების შესახებ) გამყარებული იყოს მტკიცებულებებით (მაგალითად, კონკრეტულად ამ სერვისის მიწოდების მიზნით დასაქმებული პერსონალის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ა.შ. შესახებ). ობიექტური შეფასებისთვის ასევე სასარგებლოა აღნიშნული საკითხების განხილვა არადაინტერესებული მხარის/დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართულობით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ ფაქტობრივი მოცემულობა ამის საშუალებას იძლევა, პროვაიდერის შერჩევა უნდა მოხდეს კონკურსის გზით (სერვისის განფასებისა და შესყიდვის საკითხები განხილულია „ბავშვის უფლებებზე ფოკუსირებული ადგილობრივი ბიუჯეტის სოციალური ქვეპროგრამის ხარჯების დათვლის მეთოდოლოგიაში"), ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სერვისის მიმწოდებლებისთვის ეს მიდგომა იყოს ცხადი მათთან კომუნიკაციის დაწყებისთანავე.

თუ სერვისის მომწოდებლების შესაძლებლობების ანალიზისას გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში საჭირო სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია არ ფუნქციონირებს, ასეთ შემთხვევაში საკითხის გადაჭრის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი არსებობს:

- მაგალითად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, თავად დაეფუძნებინა საჭირო სერვისის მიმწოდებელი არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირი და ამ გზით გადაეჭრა სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებით არსებული პრო-

ბლემა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შექმნილია ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“, რომლის საქმიანობის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ზრდა-განვითარების ხელშეწყობა, მათი იზოლაციიდან გამოყვანა და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციით გარანტირებული განათლების უფლების უზრუნველყოფა.

- თუ საჭირო სერვისის მომწოდებელი არ არის რეგისტრირებული კონკრეტულ მუნიციპალიტეტში, მაგრამ ეს სერვისი არსებობს ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტში, შესაძლებელია, ვიფიქროთ სერვისის და, ასევე, მასთან დაკავშირებული ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსებაზეც. მაგალითად, ბევრი მუნიციპალიტეტი აფინანსებს ან აფინანსებდა ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირებას, რადგან მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე მიეღოთ შესაბამისი სერვისი.

**შენიშვნა**: საქართველოში მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის სფეროში სხვადასხვა კარგი პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის (Best Practice Program) პორტალზე: https://bestpractice.nala.ge/**

## პროგრამის/ქვეპროგრამის შინაარსზე მუშაობა

ამ ეტაპზე ჩვენ უკვე გამოკვეთილი გვაქვს საჭიროებები, რომელთა საპასუხოდ უნდა დაიგეგმოს მუნიციპალური სოციალური პროგრამები/ქვეპროგრამები, იდენტიფიცირებული გვაქვს დაინტერესებული მხარეები, შეფასებულია მათი შესაძლო გავლენა პროცესზე, ისევე როგორც პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი გავლენა ბენეფიციარებზე, შესწავლილია სერვისის მიმწოდებლების/პროვაიდერების შესაძლებლობები.

ზემოაღნიშნული საკითხების ანალიზის შემდეგ მუნიციპალიტეტი გადადის მომდევნო ეტაპზე, რომლის ფარგლებშიც უნდა შემუშავდეს გამოკვეთილ საჭიროებებზე საპასუხო ახალი პროგრამები/ქვეპროგრამები, დაიგეგმოს ღონისძიებები ან შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს არსებულ პროგრამებში/ქვეპროგრამებში.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, **პროგრამა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დასახული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.** პროგრამის განხორციელებაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს. მუნიციპალიტეტის სამსახურები (მათ შორის, მუნიციპალური სსიპ, ააიპ) შესაძლებელია იყოს როგორც ერთი, ასევე რამდენიმე პროგრამის განმახორციელებელი. პროგრამების გამოკვეთის შემდეგ შესაძლებელია (უმეტეს შემთხვევაში ესეც ხდება) მისი კვლავ დაყოფა ძირითად მიმართულებებად ანუ ქვეპროგრამებად. **ქვეპროგრამა თავის მხრივ წარმოადგენს კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელი ღონისძიებების ერთობლიობას. ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, მისი განხორციელების შემდეგ უნდა მიღწეულ იქნეს კონკრეტული მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას**. ქვეპროგრამა ძირითადად უნდა გაიწეროს დასაგეგმი წლის ვადით, მას უნდა ჰქონდეს კონკრეტული გაზომვადი შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე.

**მნიშვნელოვანია: პროგრამის შექმნისას უნდა ჩამოვაყალიბოთ პროგრამის შინაარსი, მიზანი, მისაღწევი შედეგი, შეფასების ინდიკატორები.**

თითოეულ პროგრამას/ქვეპროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი, რომლის მისაღწევადაც იგეგმება ქვეპროგრამები და მათი ღონისძიებები, რომლებიც გათვლილია კონკრეტული შედეგის მიღწევაზე, ხოლო შედეგი იზომება შესრულების ინდიკატორებით. ზოგადად, პროგრამების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს **პროგრამების მიზნებისა და შესრულების ინდიკატორების სწორად ჩამოყალიბებაზე**. საჭიროების დაკმაყოფილება ფორმულირებული უნდა იყოს პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანში, ხოლო პრობლემის დაძლევა უნდა იკითხებოდეს პროგრამის **შესრულების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებში**.

შენიშვნა: პროგრამული ბიუჯეტის სახელმძღვანელოს თანახმად, თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
- პროგრამის დასახელება;
- პროგრამის განმახორციელებელი;
- პროგრამის აღწერა;
- პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების მითითებით (პროგრამების და ქვეპროგრამების ბიუჯეტირების საკითხის დეტალური განხილვა იხილეთ „ბავშვზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების და ქვეპროგრამების ხარჯების დათვლის მეთოდოლოგიაში“)

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები ჰარმონიზებული იყოს სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკასთან, პრიორიტეტებთან, საერთაშორისო და სახელმწიფო სტანდარტებთან და კარგ პრაქტიკასთან, ეფუძნებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, გენდერული თანასწორობის, ინკლუზიურობის პრინციპებს. მუნიციპალური სოციალური პროგრამა უნდა იყოს სისტემატური და არა – ერთჯერადი და სპორადული, უნდა პასუხობდეს ადგილობრივ საჭიროებას და იყოს ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებული, მაგრამ არ უნდა ითვალისწინებდეს პრობლემის ისეთ გადაწყვეტას, რომელიც წინააღმდეგობაშია ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებსა და სტანდარტებთან ან სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულ პოლიტიკასთან[3].

3 მაგალითად, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვის სრულყოფილი და ჰარმონიული განვითარებისთვის იგი უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, რომელშიც ბედნიერების, სიყვარულისა და გაგების ატმოსფერო სუფევს. კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვი, საკუთარი ნების წინააღმდეგ ან სიღარიბის გამო, არ იქნას მშობლებისგან განცალკევებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კომპეტენტური უწყებების გადაწყვეტილებით, შესაბამისი კანონმდებლობისა და პროცედურების გათვალისწინებით, ამგვარი განცალკევება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ბავშვის უფლებათა კოდექსი სახელმწიფოს ავალდებულებს, მიიღოს საჭირო ზომები ოჯახის მიერ ბავშვის მიტოვების ან მისი ოჯახისგან განცალკევების თავიდან ასაცილებლად; ხოლო თუ ბავშვის ოჯახისგან განცალკევება აუცილებელია, ნებისმიერი სახის ალტერნატიული მზრუნველობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან და მასზე მზრუნველობის სტანდარტებთან შესაბამისობაში უნდა იყოს. დეინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს ბავშვზე მზრუნველობის ინსტიტუციური მოდელის ჩანაცვლებას ოჯახსა და თემზე დაფუძნებული მოდელით. აღნიშნული წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს გაცხადებულ პრიორიტეტსაც და მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით. შესაბამისად, არ იქნება მართებული, თუ მუნიციპალიტეტი შექმნის ისეთ პროგრამას, რომელიც მიმართული იქნება დიდი ზომის ინსტიტუციური დაწესებულებების შექმნისკენ, რომელიც შეიძლება, ერთი შეხედვით, ბავშვთა უფლებების დაცვას და ნეგატიური გარემოდან გამოყვანას ემსახურებოდეს. ამის საპირისპიროდ, მუნიციპალიტეტი უნდა ეცადოს, სახელმწიფოს გაცხადებული პოლიტიკის შესაბამისად, შექმნას ოჯახის გაძლიერების, ოჯახისგან განცალკევების პრევენციისა და ინსტიტუციური მზრუნველობიდან გამოსულ ბავშვთა და მათი ოჯახებისა მხარდამჭერი მომსახურებები და სოციალური დაცვის სხვა ზომები.

## პროგრამის მიზნებისა და შედეგების ფორმულირება

მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ პროგრამის მიზნის ფორმულირებას. პროგრამის მიზანი ზოგადი და გლობალურია, ხოლო ქვეპროგრამის – უფრო კონკრეტული და მოკლევადიანი. მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე სწორად განვსაზღვროთ, რა წარმოადგენს **სასურველ შედეგს, რომლის მიღწევაც სურს მუნიციპალიტეტს, ხოლო შემდგომ დავინახოთ კავშირი დაგეგმილ ღონისძიებებსა და მისაღწევ სასურველ მდგომარეობას შორის**. აღნიშნული ლოგიკური კავშირის არსებობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

პროგრამის შინაარსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ასევე საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად იდენტიფიცირება. **შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა.** შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს **ნათლად** და **კონკრეტულად**, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში. შუალედური და საბოლოო შედეგების სწორად და ნათლად ჩამოყალიბება იძლევა შესაძლებლობას, სწორად და მარტივად გაიზომოს მიღწეული შედეგები. პროგრამის საბოლოო შედეგი უმეტეს შემთხვევაში ერთია, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, პროგრამის ფარგლებში რამდენიმე საბოლოო შედეგი იყოს განსაზღვრული, თუმცა პროგრამების მოცულობების და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით (ძირითადად პროგრამები გლობალური ხასიათისაა და საბოლოო შედეგიც, შესაბამისად, გლობალურია) თითოეულ პროგრამაზე მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს არაუმეტეს 3 საბოლოო შედეგისა.

შედეგი არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის პრიორიტეტებზე.

## პროგრამის შესრულების შეფასების ინდიკატორები

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია ფინანსთა მინისტრის 2001 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით) თანახმად, შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია გავიაზროთ, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის. პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს, ხოლო ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღები შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას, როგორიცაა: მიღებული პროდუქტის რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ.

შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 ინდიკატორისა.

შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ინდიკატორები იყოს:

- **კონკრეტული** – ნათელი და ადვილად აღსაქმელი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება;
- **გაზომვადი** – შესაძლებელი იყოს მიღწეული შედეგის შეფასება;
- **მიღწევადი** – შესაძლებელი უნდა იყოს მისი განხორციელება და არ უნდა მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან, პირიქით, ზედმეტად პესიმისტური შეფასება;
- **შესაბამისი** – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური;
- **დროში გაწერილი** – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

ამასთან, პროგრამების შეფასებისას (განსაკუთრებით მომსახურების მიწოდების პროგრამების/ქვეპროგრამების შემთხვევაში) **სასურველია, რაოდენობრივ ინდიკატორთან ერთად მიეთითოს ერთი ხარისხობრივი ინდიკატორი მაინც. თუ კონკრეტული სერვისისთვის დადგენილია სახელმწიფო სტანდარტი, ხარისხობრივი ინდიკატორი უნდა გამომდინარეობდეს სახელმწიფო სტანდარტიდან, ხოლო თუ სახელმწიფო სტანდარტი დადგენილი არ არის, მაშინ ხარისხობრივი ინდიკატორი შესაძლებელია შემუშავდეს სოციალური პოლიტიკის გამტარებელ უწყებასთან, დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციით.**

ზემოთქმულის გათვალისწინებით, „გაზრდა“, „გაუმჯობესება“, „სრულყოფა“ არ წარმოადგენს საჭირო კრიტერიუმებით შერჩეულ შეფასების ინდიკატორებს. მით უფრო, რომ არ შეიცავს არანაირ ზომის ერთეულს და შეუძლებელია მონიტორინგის განხორციელება. მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად ზუსტად ჩამოყალიბდეს რეალისტური და გაზომვადი ინდიკატორები.

**მაგალითი**

| | | |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>06 02 12 | ***დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება*** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **X მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური** | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთათვის განსაზღვრული ერთჯერადი ფულადი გასაცემელი X ლარის ოდენობით, ბავშვების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. | |
| მოსალოდნელი შედეგი (ცუდი მაგალითი) | დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერა<br>**აღნიშნული მაგალითი ბუნდოვანია, არ არის დროში გაწერილი, არ ჩანს პროგრამის მოსარგებლეთა ოდენობა და კონკრეტული მიღწეული შედეგი.* | |
| მოსალოდნელი შედეგი (კარგი მაგალითი) | X რაოდენობის ბენეფიციარის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესებულია.<br>**აღნიშნული მაგალითით თვალსაჩინო ხდება ბენეფიციართა ზუსტი ოდენობა, რა ტიპის დახმარება მიიღეს დროის კონკრეტულ მონაკვეთში.* | |

## პროგრამის/ქვეპროგრამის ბენეფიციართა წრის განსაზღვრა

სოციალურ პროგრამებზე მუშაობის ამ ეტაპისთვის უკვე გამოკვეთილია კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული და პრიორიტეტებად დალაგებული ის საჭიროებები, რომლებზეც რეაგირება შესაძლებელია მუნიციპალური სოციალური პროგრამების ფარგლებში. საერთო გლობალური მიზნების მიხედვით საჭიროებები პირობითად გაერთიანებულია შესაბამისი პროგრამული კოდით უკვე არსებულ ან ახლად შექმნილ პროგრამებში (მაგალითად, ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა, სოციალური დაცვის პროგრამა და ა.შ.). სამუშაოს ამ ეტაპზე საჭიროა იმის განსაზღვრა, თუ რა საერთო საჭიროებები აქვთ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს და როგორ უნდა მოხდეს ბენეფიციართა წრის ფორმირება კონკრეტული ქვეპროგრამებისათვის.

ზოგადად, კარგი პრაქტიკა ითვალისწინებს კომბინირებულ მიდგომას პროგრამების/ქვეპროგრამის დაგეგმვის მიმართ, რაც გულისხმობს, რომ პროგრამები/ქვეპროგრამები სასურველია იყოს ***მეინსტრიმული*** (ღონისძიებები არის საერთო და მაქსიმალურად მოიცავს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ბენეფიციარებს), ხოლო ***სპეციალური*** პროგრამა/ქვეპროგრამა შეიქმნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, სპეციალური, მხოლოდ კონკრეტული სამიზნე ჯგუფისთვის დამახასიათებელ საჭიროებებზე რეაგირებისათვის.

მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული სოციალური ***საჭიროებების კვლევის*** შედეგად, საჭიროებები დახარისხებულია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების მიხედვით, შესაბამისად, თავისუფლად შესაძლებელია საჭიროების გაანალიზება იმ კუთხით, თუ რამდენ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფს აქვს საერთო პრობლემა. ასეთი საერთო საჭიროებებისთვის სასურველია შეიქმნას მეინსტრიმული პროგრამა/ქვეპროგრამა, სადაც ღონისძიებები იქნება საერთო, ხოლო მოსარგებლეთა/ბენეფიციართა ჩამონათვალში შევიტანთ რელევანტური სამიზნე ჯგუფების ბენეფიციარებს.

## დახმარების სახეები და მათი მნიშვნელობა

სოციალური ქვეპროგრამების უმეტესობა ითვალისწინებს ან მომსახურების მიწოდებას ან ბენეფიციართა სუბსიდირებას. თავის მხრივ სუბსიდირება შეიძლება ითვალისწინებდეს პირდაპირ ფინანსურ დახმარებას ან არაპირდაპირ ფინანსურ დახმარებას. პროგრამის შემუშავებისას, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რომელი ტიპის ინტერვენცია როგორი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს.

**პირდაპირი ფინანსური დახმარება** – ადგილობრივი ან ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ბენეფიციარებზე რეგულარულად ან ერთჯერადად გაცემული პირდაპირი ფულადი დახმარებაა.

**არაპირდაპირი ფინანსური დახმარება სუბსიდირების სახით** – ადგილობრივი ან ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოყოფილი თანხა, რომელიც ბენეფიციარებს და მათ ოჯახებს აძლევს საშუალებას შეღავათიანი პირობით ისარგებლონ სხვადასხვა დახმარებით. მოიცავს კომუნალურ, სატრანსპორტო თუ სხვა შეღავათს.

**მომსახურება** – ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მიწოდებული სერვისის სახით გაწეული სხვა დახმარება, რომელიც არ მოიცავს პირდაპირ თუ არაპირდაპირ გაწეულ ფინანსურ დახმარებას.

მსოფლიოში სოციალურ და ჯანდაცვის სფეროში აქტუალურია შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფების მიმართ ფულადი ტრანსფერების გაცემის, იგივე ფინანსური სუბსიდირების

(ინდივიდუალურად ან საოჯახო მეურნეობაზე) პრაქტიკა, რომელიც თავის მხრივ მიმართულია სიღარიბის აღმოფხვრისა და უთანასწორობის შემცირებისკენ, ან შეიძლება, მიზნად ისახავდეს ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პენსიები, დახმარებები ბავშვებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მიხედვით დახმარებები წარმოადგენს ფულადი ტრანსფერების ყველაზე გავრცელებულ სახეებს და შესაძლოა, იყოს უნივერსალურად ხელმისაწვდომი, ან მიზანმიმართული კონკრეტულად ყველაზე მცირე რესურსების მქონე საოჯახო მეურნეობების დასახმარებლად. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკის თანახმად, ზოგიერთი ფულადი ტრანსფერი პირობითია და მოითხოვს მიმღების მიერ გარკვეული ქცევითი მოთხოვნების შესრულებას, რომლებიც დგინდება შესაბამისი თანხების გამანაწილებელი უწყების მიერ.

შენიშვნა: 2016 წელს გამოქვეყნდა კვლევა, რომელიც 15 წლიან პერიოდში (2000-დან 2015 წლამდე) დახმარების გაცემაზე დაკვირვების საფუძველზე აანალიზებს ფულადი დახმარების გავლენას ინდივიდებსა და ოჯახებზე[4]. მხედველობაში უნდა გვქონდეს ადგილობრივი თავისებურებები, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამა თუ იმ ინტერვენციის წარმატებაზე.

*მითითებული კვლევის თანახმად, ფულად ტრანსფერებს სხვადასხვა ცხოვრებისეულ ასპექტებზე შემდეგი გავლენა ჰქონდათ:*

***ფულადი სიღარიბე**: ფულადი დახმარება ამცირებს ფულად სიღარიბეს.*

- ***განათლება**: ფულადი დახმარება ზრდის სკოლებში სიარულის დონეს, თუმცა ყოველთვის არ იწვევს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.*
- ***ჯანდაცვა და კვება**: ფულადი დახმარება ასტიმულირებს ჯანდაცვის მომსახურების გამოყენებას და აუმჯობესებს საკვების მრავალფეროვნებას, თუმცა ნაკლებად დასტურდება ბავშვების სიმაღლესა და წონაზე გავლენა.*
- ***დანაზოგები და ინვესტიციები**: ფულად დახმარებას შეუძლია ბენეფიციარების ეკონომიკური ავტონომიურობის ხელშეწყობა.*
- ***დასაქმება**: ფულადი დახმარება ასოცირდება ბავშვების შრომის შემცირებასთან. კვლევების უმეტესობა აჩვენებს ან არანაირ, ან დადებით გავლენას მოზარდების დასაქმებაზე.*
- ***უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერება**: ფულადი დახმარება ზრდის ქალების მიერ გადაწყვეტილების მიღების ძალასა და არჩევანს.*

## ფულადი დახმარების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია:

- **დახმარების დიზაინის ძირითადი მახასიათებელი**: გასაცემელის უნივერსალურობა, სისტემატურობა და მისი მიღების ხანგრძლივობა ხელს უწყობს დაგეგმილი შედეგების მიღწევას.
- **პირობითობა**: როცა დახმარების გაცემა მოიცავს პირობითობის ელემენტს და დამოკიდებულია პირობის შესრულებაზე/დადგომაზე
- **გადახდის მექანიზმები**: გადახდის სხვადასხვა მექანიზმები სხვადასხვა შედეგებთან არის დაკავშირებული.

4 Cash transfers: what does the evidence say? F. Bastagli, J. Hagen-Zanker, L. Harman, V. Barca, G. Sturge and T. Schmidt, with L. Pellerano https://cdn.odi.org/media/documents/11316.pdf

- **შემავსებელი ინტერვენციები და მომსახურებები**: ფულად გასაცემელთან ერთად სხვა შემავსებელ ინტერვენციებსა და სერვისების მიწოდებას შეუძლია ფულადი დახმარების გავლენის გაძლიერება.

## SWOT ანალიზი

პროგრამის/ქვეპროგრამის დაგეგმვის ეტაპზე მისი სწორი და თანმიმდევრული განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესია, თავიდანვე გავაანალიზოთ ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე გარე ფაქტორებით გამოწვეული შესაძლებლობები და საფრთხეები.

***მუნიციპალიტეტში არსებულმა სამუშაო ჯგუფმა პროგრამების შემუშავებისას უნდა გამოიყენოს ინტერვენციის ის ფორმები, რომლებსაც ყველაზე რელევანტურად მიიჩნევს ადგილზე გამოკვეთილი საჭიროებების ეფექტური საპასუხო მექანიზმის შესაქმნელად.***

ზემოაღნიშნულში ყველაზე მეტად დაგვეხმარება სვოტ ანალიზი – უნივერსალური შეფასების მეთოდი, რომელიც გვეხმარება მთლიანი სურათის უკეთ აღქმაში.

სვოტ ანალიზის შემადგენელი ნაწილებია:

1. **ძლიერი მხარეები** – გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ პროგრამის/ქვეპროგრამის ძლიერი მხარეები, რომელზეც შეგვიძლია ზეგავლენის მოხდენა.
2. **სუსტი მხარეები** – გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ პროგრამის/ქვეპროგრამის სუსტი მხარეები, რომელზეც შეგვიძლია ზეგავლენის მოხდენა
3. **შესაძლებლობები** – გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ პროგრამის/ქვეპროგრამის შესაძლებლობები, რომელზეც არ შეგვიძლია ზეგავლენა, მათზე გავლენას ახდენს გარე ფაქტორები.
4. **საფრთხეები** – გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ პროგრამის/ქვეპროგრამის საფრთხეები, რომელზეც არ შეგვიძლია ზეგავლენა, მათზე გავლენას ახდენს გარე ფაქტორები

**მაგალითი**:

| **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფინანსური დახმარების ქვეპროგრამა<br>SWOT ანალიზი** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის ძლიერი მხარეები:**<br><br>**1. გამოყოფილი ასიგნება მთლიანად მოხმარდება ბენეფიციარს**<br>**2. დაიზოგება ადმინისტრაციული ხარჯი**<br>**3. ბენეფიციართა წრე მარტივად დასადგენია (სტატუსის მქონე შშმ პირები)** | ქვეპროგრამის სუსტი მხარეები:<br><br>1. სტატუსის არმქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ვერ მიიღებენ დახმარებას |
| **ქვეპროგრამის შესაძლებლობები:**<br><br>**1. სტატუსის არმქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომართვიანობის გაზრდა სტატუსის მისაღებად;** | ქვეპროგრამის საფრთხეები:<br><br>1. შესაძლებელია, გაცემული თანხა არ იყოს გამოყენებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. |

ნაწილი II.I

# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევების მქონე ბავშვების და მათი ოჯახების მხარდამჭერი მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავება



## შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვების ან/და ფუნქციონირების[5] დარღვევების მქონე ბავშვების მიმართ მხოლოდ თანაბარი დამოკიდებულება არ განაპირობებს საზოგადოებრივ სიკეთეებზე მათთვის თანაბარ მისაწვდომობას. შშმ ბავშვები/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვები იმ თანატოლებისგან განსხვავებით, რომელთაც არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობა, ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან დამატებით ბარიერებს განვითარების, განათლების მიღების, სოციალურ და რეკრეაციულ აქტივობებში მონაწილეობის და ინფორმაციაზე მისაწვდომობის კუთხით. შესაბამისად, საკუთარი უფლებების რეალიზებისა და თანასწორობისთვის მათ ესაჭიროებათ მეტი მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამდგენი სისტემა კვლავ ეფუძნება სამედიცინო მოდელს, რომლის მიხედვითაც განვითარების გარკვეული დარღვევების მქონე ბავშვებს (მაგალითად, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები და სხვა) არ ენიჭებათ შშმ ბავშვის სტატუსი, თუმცა სჭირდებათ სხვადასხვა სახის მხარდაჭერა; ამიტომ მათი საჭიროებები გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა პროგრამის, განსაკუთრებით სოციალური მომსახურებების ფარგლებში. შესაბამისად, სოციალური პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის ზოგად სამიზნე ჯგუფს უნდა შეადგენდნენ არამხოლოდ შშმ ბავშვის სტატუსის მქონე ბავშვები, არამედ ფუნქციონირების დარღვევების მქონე ბავშვებიც.

შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევების მქონე ბავშვების სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის კუთხით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობას, რადგან მათ აქვს უფრო მეტი ინფორმაცია ბავშვების და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესახებ და შეუძლიათ მუნიციპალიტეტში არსებული რესურსების დროული და ეფექტიანი კოორდინაცია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი და სოციალური მუშაობის შესახებ კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების ფუნქციებს შშმ ბავშვებისთვის მხარდამჭერი მომსახურებების შემუშავების/განხორციელების კუთხით. საკუთარ უფლებამოსილებაში შემავალ პროგრამებს მუნიციპალიტეტი გეგმავს დამოუკიდებლად, ხოლო სხვა მომსახურებები შეიძლება განხორციელდეს, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) მიერ დელეგირებული ვალდებულება.

ბავშვის უფლებათა კოდექსი ხაზს უსვამს შშმ ბავშვის მხარდაჭერის მნიშვნელობას თანასწორობის უზრუნველსაყოფად: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აქვს ისეთივე უფლება ცხოვრების სათანადო სტანდარტზე, როგორიც სხვა ბავშვს. ეს სტანდარტი უნდა ითვალისწინებდეს გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპებს ბავშვის ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობისთვის" (მუხლი 47.4).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია და საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გონივრული მისადაგებას და უნივერსალური დიზაინს გამოყოფენ შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის მნიშვნელოვან წინაპირობად.

**„გონივრული მისადაგება"** – გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცი-

5 ფუნქციონირება მოიცავს სხვადასხვა სფეროს: სიარული, თვითმოვლა, კომუნიკაცია, ყურადღების კონცენტრირება, მეხსიერება, ახალ გარემოში ადაპტირება, ქცევა, თამაში და ა.შ.

ლებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას.

**„უნივერსალური დიზაინი“** – გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანის აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე. „უნივერსალური დიზაინი” არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების გამოყენებას”.

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საჭიროებების და უფლებების უზრუნველყოფა დაეფუძნოს **უნივერსალური დიზაინის** და **გონივრული მისადაგების** პრინციპებს. რაც პროგრამების შექმნის პროცესში გამოიხატება ბავშვებისთვის განკუთვნილ საყოველთაო (მეინსტრიმულ) პროგრამებში მათი საჭიროებების და უფლებების გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საყოველთაო პროგრამები ვერ უზრუნველყოფენ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს სხვადასხვა ბარიერების გამო, მაშინ შემუშავებული უნდა იყოს სპეციალიზებული პროგრამები გონივრული მისადაგების გამოყენებით.

მოცემული მეთოდოლოგია მოიცავს რეკომენდაციებს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს არსებული და შეიქმნას ახალი სოციალური პროგრამები შშმ ბავშვებისთვის/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის. რეკომენდაციები ეხება სოციალური პროგრამების ფართო სპექტრს: ფულადი დახმარება/ფულადი გასაცემელი (პირდაპირ ფინანსურ დახმარებას) და არაფულადი დახმარება (არაპირდაპირ ფინანსურ დახმარებას), გრძელვადიანი სოციალური მომსახურებები (მაგალითად, სხვადასხვა სახის თერაპიები, დღის ცენტრები) და მოკლევადიანი პროგრამები (მაგალითად, შშმ ბავშვებისთვის საკურორტო მომსახურება, საზაფხულო ბანაკები). შშმ ბავშვებისთვის მუნიციპალური სოციალური პროგრამების შექმნის პროცესი შეესაბამება იგივე ეტაპებს, რასაც მოიცავს ყველა ბავშვისთვის განკუთვნილი პროგრამების მომზადება, თუმცა მნიშვნელოვანია თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობით/დარღვევებით და ბარიერებით განპირობებული დამატებითი თავისებურებები. საჭიროებების და ბარიერების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიღება დიდწილად დამოკიდებულია მათი შესწავლის მეთოდებსა და საჭიროებების დიაპაზონზე; რეკომენდებულია, რომ თვითმმართველობის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ბაზისური, ასევე განვითარებასა და სოციალურ ინკლუზიაზე ორიენტირებული საჭიროებები.

## შშმ ბავშვებისთვის განკუთვნილი პროგრამების პრინციპები

შშმ ბავშვებისთვის პროგრამების შემუშავებისას მუნიციპალიტეტი ეყრდნობა საყოველთაო პროგრამების პრინციპებს და დამატებით ითვალისწინებს შემდეგს:

- **განათლების და განვითარების ხელშეწყობა** – პროგრამები უნდა ეხმარებოდნენ ბავშვებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში და ხელს უნდა უწყობდნენ შშმ ბავშვების მიერ განათლების საყოველთაო პროგრამებში ჩართვას;
- **სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა** – პროგრამები ხელს უნდა უწყობდნენ შშმ

ბავშვების მონაწილეობას საზოგადოებრივ აქტივობებში თანატოლების მსგავსად;

- **თანაბარი მისაწვდომობა** – პროგრამა თავისუფალი უნდა იყოს ფიზიკური, დამოკიდებულებითი და სისტემური ბარიერებისგან. პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საჭიროებები; ბაზისურად მნიშვნელოვანი პროგრამები თანაბრად მისაწვდომი უნდა იყოს ყველა მუნიციპალიტეტში.
- **ანტიდისკრიმინაციული პრაქტიკა** - საყოველთაო (მეინსტრიმული) და სპეციალიზებული პროგრამები თავისუფალი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული და სხვა ნიშნით ბავშვების დისკრიმინაციის და განსჯითი მიდგომისგან;
- **მონაწილეობაზე დაფუძნებული პრაქტიკა** – შშმ ბავშვების მშობლები და შშმ მოზარდები ჩართულნი უნდა იყვნენ პროგრამების შემუშავების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- **ინფორმირებული არჩევანის უფლება** – შშმ ბავშვები და მათი ოჯახები უნდა სარგებლობდნენ არჩევანის უფლებით, რათა გადაწყვიტონ, თუ რომელ პროგრამაში ჩაერთონ. შესაბამისად, მათ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია პროგრამების და მათი უფლებების შესახებ, რაც მათ ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობას მისცემს;
- **ინდივიდუალურ საჭიროებებთან და უფლებებთან შესაბამისობა** – პროგრამის და განსაკუთრებით სოციალური მომსახურებების ფორმატი და მიწოდების გზები უნდა იყოს ბავშვის საჭიროებებსა და უფლებებზე მორგებული;
- **აზრის გამოხატვის თავისუფლება** – ბავშვს და მის ოჯახს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ გამოხატონ საკუთარი მოსაზრება პროგრამის ფორმატის (პროგრამის ამოცანები, ღონისძიებები და სხვა) და ხარისხის შესახებ.

## სოციალური პროგრამების შემუშავება: პირდაპირი ბენეფიციარები, არაპირდაპირი ბენეფიციარები და დაინტერესებული მხარეები

ადგილობრივი თვითმმართველობა სოციალური პროგრამების, განსაკუთრებით სოციალური მომსახურებების პრიორიტეტებს, ფორმატს და ღონისძიებებს განსაზღვრავს ორი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით: კვლევის შედეგების და მეორადი მონაცემების ანალიზის საფუძველზე (1) და მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების მშობლების, სოციალური მომსახურებების სპეციალისტების, შშმ პირთა ორგანიზაციების, ასევე საქართველოში არსებული პროფესიული ასოციაციების ან გამოცდილი მომსახურებების წარმომადგენლების და განათლების სპეციალისტების ჩართულობით და მათთან კონსულტირებით.

ადგილობრივი თვითმმართველობა სოციალური პროგრამების შექმნისას გამოყოფს პირდაპირ ბენეფიციარებს, არაპირდაპირ ბენეფიციარებს, და ყველა იმ დაინტერესებულ მხარეს, შშმ პირთა აქტივისტების ჩათვლით, ვისაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შშმ ბავშვებისთვის/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი სოციალური პროგრამების შემუშავებაზე.

ცხადია, რომ **სოციალური პროგრამების პირდაპირი ბენეფიციარები** არიან თავად შშმ

ბავშვები, მათ შორის ის ბავშვები, რომელთაც არ აქვთ შშმ ბავშვის სტატუსი, მაგრამ აქვთ ფუნქციონირების დარღვევები და საჭიროებენ სხვადასხვა სახის მომსახურებას. პირდაპირი ბენეფიციარები არიან შშმ პირების მშობლებიც და ოჯახის წევრებიც ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი (მაგალითად, მეურვე ან მზრუნველი) და წარმომადგენელი (მინდობით აღმზრდელი). სხვადასხვა პროგრამების პირდაპირი ბენეფიციარები შეიძლება განსხვავდებოდნენ ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობის სახეების/ფუნქციონირების დარღვევების მიხედვით. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ალტერნატიულ ზრუნვაში, კერძოდ მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო სახლებში მცხოვრები შშმ ბავშვები ასევე საჭიროებენ მომსახურებებს, რაც მათ ეხმარებათ ფუნქციონირების გაუმჯობესებასა და სოციალურ ინკლუზიაში.

შშმ ბავშვების შემთხვევაში **არაპირდაპირ ბენეფიციარებად** მოიაზრებიან საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი თანამშრომლები, რადგან სოციალური მომსახურება შშმ ბავშვს/სსსმ მოსწავლეს ეხმარება ფუნქციონირების, წინააკადემიური უნარების, კოგნიტიური უნარების დაუფლებასა და გაუმჯობესებაში, საკუთარი რთული ქცევის მართვაში და, ასევე, ბავშვს აძლევს ახალ გარემოში ადაპტაციის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ისეთი მხარდამჭერი მომსახურება, როგორიც არის ადრეული ჩარევა, უშუალოდ ეხმარება სკოლამდელ დაწესებულებებს კონკრეტული რეკომენდაციებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვთან მუშაობა. არაპირდაპირ ბენეფიციარები არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები სპეციალისტებიც, რომლებიც გადამზადების შედეგად იძენენ ახალ სპეციალობას, იმაღლებენ კვალიფიკაციას, რაც ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობას. მუნიციპალიტეტში იქმნება კვალიფიციური კადრის რესურსი, რომელიც არ ტოვებს მუნიციპალიტეტს.

პროგრამების შემუშავებამდე საჭიროა ყველა იმ ძირითადი აქტორის გაანალიზება, რომლებიც გავლენას ახდენენ შშმ ბავშვების კეთილდღეობასა და სოციალურ ინკლუზიაზე; ეს აქტორები შეიძლება იყვნენ:

- **სამედიცინო დაწესებულებები** – ჯანდაცვის სისტემას მნიშვნელოვანი როლი აქვს ბავშვების შეზღუდული შესაძლებლობის/განვითარების დარღვევის ადრეულ იდენტიფიცირებასა და მშობლების სწორად ინფორმირებაში.
- **განათლების სისტემის დაწესებულებები**, რომლებიც სწორი დამოკიდებულებით ხელს უწყობენ ბავშვების ინკლუზიას განათლების სისტემაში, იყენებენ გონივრულ მისადაგებას და ითვალისწინებენ ბავშვების საჭიროებებს; ხოლო სტიგმის და დისკრიმინაციის შემთხვევაში კი მნიშვნელოვან ბარიერებს უქმნიან ბავშვებს და მათ ოჯახებს.
- **სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკები**, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას შშმ ბავშვების საჭიროებების და სახელმწიფო და მუნიციპალური საყოველთაო და სპეციალიზებული პროგრამების შესახებ;
- **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შშმ პირთა უფლებადამცველებს და თემის ლიდერებს** დიდი გავლენა აქვთ შშმ ბავშვების მიმართ საზოგადოების სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე;
- **ადგილობრივ ბიზნესებთან თანამშრომლობით** მონაწილეობით ახალი მომსახურებების და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების შექმნაა შესაძლებელი.

- **პროფესიული ორგანიზაციები და მომსახურებების კოალიციების** როლი მნიშვნელოვანია სოციალური მომსახურებების შექმნის და გაფართოების და კვალიფიციური კადრის მომზადების თვალსაზრისით;
- **მუნიციპალიტეტში ან რეგიონში არსებული უნივერსიტეტი** ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს მომსახურებების განვითარების კუთხით, როგორც მომსახურებების სპეციალისტების მომზადების, ასევე მომსახურებების განვითარების კუთხით;
- **დონორი ორგანიზაციები**, რომლებიც მხარს უჭერენ მომსახურებების განვითარებას.

## სოციალური პროგრამების შემუშავება:

საჭიროებების, ბარიერების და რესურსების ანალიზის საფუძველზე და პარტნიორ მხარეებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტი ადგენს, თუ რა სახის სოციალური პროგრამები უნდა შეიქმნას სხვადასხვა ასაკის და დარღვევის მქონე ბავშვებისთვის; ასევე, როგორ შეიძლება შეიქმნას ისეთი მომსახურებები, რომლებიც უპასუხებენ კომპლექსურ საჭიროებებს. სოციალური პროგრამების შექმნის და გაუმჯობესების პროცესში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შეზღუდული შესაძლებლობის/ფუნქციონირების დარღვევის ადრეულ იდენტიფიცირებას და ბავშვის/ოჯახის დროულ მხარდაჭერას.

შშმ ბავშვების საჭიროებებსა და უფლებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების შემუშავების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ინფორმირება/გადამზადება შშმ ბავშვების უფლებების შესახებ, რომლებიც მინიჭებული აქვთ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის და ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, შშმ ბავშვებისთვის განკუთვნილი პროგრამების და მომსახურებების შესახებ („სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა", რომელსაც ყოველ წელს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა).

მნიშვნელოვანია, პროგრამების შემუშავებამდე ადგილობრივ თვითმმართველობას მომზადებული ჰქონდეს შემდეგი რაოდენობრივი მონაცემები: რამდენი ბავშვი საჭიროებს პირდაპირ და არაპირდაპირ ფინანსურ დახმარებას, სოციალურ მომსახურებებს, მათ შორის სხვადასხვა სახის თერაპიებს, დამხმარე საშუალებებს; ასევე რა სახის მომსახურებები არსებობს მუნიციპალიტეტში ან მეზობელ მუნიციპალიტეტებში; რა სახის მხარდაჭერა არსებობს შშმ ბავშვებისთვის „სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში", როგორ ხდება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების შეფასების და აბილიტაციის/რეაბილიტაციის და უსინათლოთა გამცილებლების პროგრამების უზრუნველყოფა სხვა მუნიციპალიტეტების მიერ; ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაცია ბარიერების, დაინტერესებული მხარეების და პოტენციური მხარდამჭერების შესახებ.

სოციალური პროგრამების შემუშავებამდე თვითმმართველობამ, სასურველია, განახორციელოს ბავშვების შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებების უზრუნველყოფისთვის სტრატეგიების შემდეგი კლასიფიცირება:

- შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების ფულადი და არაფულადი დახმარებების გათვალისწინება მუნიციპალიტეტის საყოველთაო (მეინსტრიმულ) პროგრამებში;

- იმ ფულადი დახმარების ოდენობის განსაზღვრა, რომელსაც ვერ უზრუნველყოფს საყოველთაო პროგრამა შშმ ბავშვებისთვის და მათი ოჯახებისთვის;
- იმ არაფულადი დახმარების სახეობის და ოდენობის განსაზღვრა, რომელსაც ვერ უზრუნველყოფს საყოველთაო პროგრამა შშმ ბავშვებისთვის და მათი ოჯახებისთვის;
- შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებების გათვალისწინება საყოველთაო (მეინსტრიმულ) სოციალურ მომსახურებებში;
- შშმ ბავშვებისთვის/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის არსებული სპეციალიზებული მომსახურებების გაფართოება მოთხოვნის მიხედვით;
- შშმ ბავშვებისთვის/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ახალი სპეციალიზებული სოციალური მომსახურებების შემუშავება;
- შშმ ბავშვებისთვის/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების და სოციალური ინკლუზიის ხელშემწყობი, სპორტულ-გასართობი და საკურორტო პროგრამების შემუშავება;
- მშობლების და ოჯახის წევრების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება – პოზიტიური მშობლობის პროგრამა და „რესპაიტის“ მომსახურება (მზრუნველისთვის/მომვლელისთვის "შვების მომტანი" მომსახურება)

შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის არსებულ მომსახურებებზე მისაწვდომობის გაუმჯობესება შეუძლებელია ბარიერების აღმოფხვრაზე ორიენტირებული პროგრამების გარეშე. შესაბამისად, ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხებიც:

- გარემოში არსებული ფიზიკური ბარიერების შემცირება ინფრასტრუქტურული პროექტებით;
- მოკლევადიანი პროგრამების მეშვეობით დამოკიდებულებითი ბარიერების შემცირება სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების და ინფორმირების გზით;
- ინფორმაციაზე მისაწვდომობის გაძლიერება არსებულ საყოველთაო პროგრამების და სოციალური მუშაობის მეშვეობით

სოციალური პროგრამების შემუშავების პროცესში თვითმმართველობამ უნდა გაითვალისწინოს ყველა ასაკობრივი ჯგუფი, ყველა სახის დარღვევის მქონე ბავშვი და გოგონებთან დაკავშირებული გენდერული თავისებურებები. თუ მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობები, რომელთაც არ იციან სახელმწიფო ენა, მაშინ თვითმმართველობა, მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ითვალისწინებს მათ საჭიროებებს, როგორც ინფორმაციაზე მისაწვდომობის, ასევე სოციალური მომსახურებების უზრუნველყოფის პროცესში.

## ფულადი დახმარება/ფულადი გასაცემელი (პირდაპირი ფინანსური დახმარება) და არაფულადი დახმარება (არაპირდაპირი ფინანსური დახმარება)

მნიშვნელოვანია, რომ შშმ ბავშვების მხარდაჭერის კომპლექსურობა გააზრებული იქნას ფულადი და არაფულადი დახმარების პროგრამების შემუშავებისას. თვითმმართველობამ შეიძლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როგორ უზრუნველყოს შშმ ბავშვების ბაზისური საჭიროებები – ფულადი გასაცემელის თუ არაფულადი დახმარების გზით. ეს გადაწყვეტილება დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის გამოცდილებასა და პროგრამების ადმი-

ნისტრირების შესაძლებლობებზე. მთავარია, რომ მუნიციპალიტეტმა სწორად განსაზღვროს სამიზნე ჯგუფი, დახმარების მიზანი და პერიოდულობა. შესაძლებელია, რომ ფულადი და არაფულადი დახმარების დროს სამიზნე ჯგუფი შემოისაზღვროს იმ ბავშვებით, რომელთაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ოფიციალური სტატუსი, რადგან ისინი უფრო მეტ მხარდაჭერას საჭიროებენ; ხოლო ბავშვები, რომლებსაც აქვთ ფუნქციონირების დარღვევა და არ აქვთ სტატუსი, სოციალური მოწყვლადობის შემთხვევაში მიიღებენ დახმარებას საყოველთაო პროგრამებიდან.

თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის ფულად გასაცემელს/დახმარებას და არაპირდაპირ ფინანსურ დახმარებას იღებენ შშმ ბავშვები და მათი ოჯახები სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით; ეს შეიძლება იყოს ბავშვის სოციალური პაკეტი, თუ მას აქვს შშმ ბავშვის სტატუსი, ასევე სოციალური შემწეობა, თუ მისი ოჯახი (შინამეურნეობა) სოციალურად დაუცველია; ასევე შეიძლება ბავშვი იღებდეს კვების ვაუჩერს „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამიდან“ (სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა); თუმცა კვების ვაუჩერის ოდენობა არ აღემატება თვეში 150 ლარს. მუნიციპალური პროგრამები შეიძლება ასევე მოიცავდეს შშმ ბავშვების ოჯახებისთვის  ფინანსური დახმარების გაცემას წელიწადში რამდენჯერმე და/ან არაპირდაპირი ფინანსური დახმარების პროგრამებს; მაგალითად, ჰიგიენური საფენების შესაძენი თანხა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით «უფასო მგზავრობის პროგრამა», კომუნალური გადასახადების ვაუჩერი, კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის პროგრამა, მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (საყოველთაო და სპეციალიზებული) და ა.შ.

კვლევის პირველადი და მეორადი მონაცემების ანალიზისას მუნიციპალიტეტი იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი  ფულადი და არაფულადი (პირდაპირი და არაპირდაპირი ფინანსური) დახმარების ფორმები მუშაობს ეფექტიანად; მაგალითად, შეიძლება ოჯახისთვის თანხის გადაცემისას  ნაკლებად ხდებოდეს დახმარების მიზნობრივად გამოყენების მონიტორინგი და უკეთესი იყოს ვაუჩერის გაცემა; ასევე ერთჯერადად გადაცემული თანხა არანაირ გავლენას არ ახდენდეს ბავშვის ბაზისური საჭიროებების უზრუნველყოფის მდგრადობაზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს როგორც ახალ ფორმებს, ასევე ახდენს არსებული ფულადი და არაფულადი დახმარების (პირდაპირი და არაპირდაპირი ფინანსური დახმარება) გაუმჯობესებას. კვლევის შედეგების ანალიზისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ შშმ ბავშვების ოჯახებს არ აქვთ ინფორმაცია ქვეყანაში არსებული სოციალური დახმარების პროგრამების შესახებ და საჭიროა მათი გადამისამართება და მხარდაჭერა შესაბამის პროგრამებში ჩასართავად.

ფულადი და არაფულადი დახმარებების პროგრამების შემუშავებისას მუნიციპალიტეტი პირველ რიგში განიხილავს საყოველთაო პროგრამებს – როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალურ საყოველთაო პროგრამებს, რომლებიც შეეხება სოციალურად დაუცველი და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერას და მათი მეშვეობით არსებულ საჭიროებებზე რეაგირებას (ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების მიხედვით). შემდგომში მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს, თუ რომელი საჭიროებების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს ცენტრალური პროგრამების და, შემდეგ, მუნიციპალიტეტის საყოველთაო პროგრამების მიერ. ასევე, რამდენად არის საჭირო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირების გაუმჯობესება არსებული სახელმწიფო დახმარების, მათ შორის, სოციალური მომსახურებების და დამხმარე საშუალებების პროგრამების შესახებ, რაც შეიძლება, უზრუნველყოფილი იქნას მუნიციპალიტე-

ტის და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკების მეშვეობით.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მუნიციპალიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საყოველთაო პროგრამებში შშმ ბავშვების და მათი ოჯახების საჭიროებების უკეთესად გათვალისწინების კუთხით. ასევე, კვლევის შედეგად აღმოჩნდეს, რომ მუნიციპალიტეტი საყოველთაო პროგრამებში არ ითვალისწინებდა ყველა სახის დარღვევის (გადაადგილების, მხედველობის, სმენის, ინტელექტუალური (გონებრივი განვითარების) და ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევები) მქონე ბავშვს. ამრიგად, რეკომენდებულია, თვითმმართველობამ სპეციალიზებული პროგრამების შემუშავებამდე უზრუნველყოს საყოველთაო პროგრამების გაუმჯობესება. მაგალითად, სკოლამდელ დაწესებულებებში გაიზარდოს შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევების მქონე ბავშვების მხარდაჭერა, ან სამედიცინო მომსახურებების, ან მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამების გაფართოება შშმ ბავშვების ოჯახების მიერ დასახელებული მედიკამენტების გათვალისწინებით და სამედიცინო მომსახურებებით. ხოლო თუ საყოველთაო პროგრამებში შეუძლებელია შშმ ბავშვების ბაზისური საჭიროებების გათვალისწინება, მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს სპეციალიზებული პროგრამები.

კვლევის შედეგების გაანალიზებისას, თუ აღმოჩნდება, რომ ბაზისური საჭიროებების უზრუნველსაყოფად მიღებული თანხა არ არის საკმარისი ბავშვების გარკვეული ჯგუფისთვის, მაშინ თვითმმართველობის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით უნდა განისაზღვროს, თუ რა ოდენობის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დახმარება იქნება საჭირო ბავშვების კეთილდღეობის მდგრადობისთვის და რა ფორმით უნდა მოხდეს დახმარების გაცემა. მაგალითად, ფულადი დახმარება შეიძლება გაიცეს კვებისთვის, თუ მუნიციპალიტეტში კვების ვაუჩერის განაღდება დიდ სირთულეებს შექმნის; ასევე, სეზონური ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შესაძენად ოჯახებმა შეიძლება წელიწადში ერთხელ, მაქსიმუმ ორჯერ, მიიღონ ფინანსური დახმარება. შეიძლება გამოიყოს არაპირდაპირი ფინანსური დახმარებაც – დამატებითი კვების ვაუჩერი (თუ შესაძლებელია კვების ვაუჩერის განაღდება არსებულ მარკეტებში ან აფთიაქში – ხელოვნური კვებისთვის), ჰიგიენური საფენების ვაუჩერი, კომუნალური გადასახადების ვაუჩერი და ა.შ.

კვლევის შედეგად თვითმმართველობამ შეიძლება მიიღოს ინფორმაცია, რომ შშმ ბავშვები სრულყოფილად ვერ იყენებენ დამხმარე საშუალებებს, რადგან სახელმწიფო პროგრამა არ მოიცავს დამხმარე საშუალებების შეკეთების ან სმენის აპარატის ბატარეის შესაძენ თანხებს. თვითმმართველობამ ბავშვების მშობლებთან და სამინისტროსთან თანამშრომლობით, შეიძლება, შეიმუშაოს ერთჯერადი დახმარების პროგრამა, რაც გააუმჯობესებს შშმ ბავშვების მიერ დამხმარე საშუალებების გამოყენებას. აღნიშნული მუნიციპალური პროგრამა შეავსებს სახელმწიფო პროგრამას.

ასევე, შესაძლებელია, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამაც, რომელიც მოიცავს სახლში არსებული ფიზიკური ბარიერების შემცირებას, რათა ბავშვმა შეძლოს დამოუკიდებლად მოძრაობა სახლიდან გარეთ და პირიქით; ასევე, სახლში უსაფრთხოდ მოძრაობა, მათ შორის, საპირფარეშოს გამოყენება და დაბანა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლებელია, შემუშავდეს საშუალო ღირებულების ფინანსური დახმარების პაკეტი, რომლის მეშვეობითაც თავად ოჯახი უზრუნველყოფს სახლის გარემოს ადაპტირებას ან აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება, განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული კომპანიის მიერ, რაც პროგრამის ადმინისტრირებას

უფრო მოქნილს გახდის. აღნიშნული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფინანსური დახმარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების, განსაკუთრებით კი – მოზარდების დამოუკიდებლობას.

ფულადი და არაფულადი დახმარებების პროგრამების შემუშავებისას თვითმმართველობა ითვალისწინებს ყველა ასაკობრივ ჯგუფს და ყველა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს. სამიზნე ჯგუფების პრიორიტეტების განსაზღვრისას შეიძლება დამატებით გათვალისწინებული იყოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა – სოციალურად დაუცველი ოჯახი, მარტოხელა მშობლის ოჯახი, მრავალშვილიანი ოჯახი და ა.შ.

## სოციალური მომსახურებების შექმნა და გაუმჯობესება

სოციალური მომსახურებები ერთ-ერთი მთავარი შესაძლებლობაა შშმ ბავშვებისთვის/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის, შეიძინონ და გაიუმჯობესონ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარები (თვითმოვლა, კომუნიკაცია, ახალ გარემოსთან შეგუება, თანატოლებთან ურთიერთობა და თამაში და სხვა), ჩაერთონ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და შეძლონ საკუთარი პოტენციალის და ინტერესების რეალიზება. სოციალური მომსახურებები მიმართული უნდა იყოს ბავშვის და, ასევე, მისი ოჯახის მხარდაჭერაზე. მომსახურებები ხელს უნდა უწყობდნენ შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების ჩართულობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში და, ასევე, მათ სოციალურ ინკლუზიას; შესაბამისად, მომსახურებების მიზნის და ამოცანების შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს ეს მოთხოვნები.

არსებული სოციალური მომსახურებების გაუმჯობესება და ახალი მომსახურებების შექმნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბავშვების საჭიროებების სპექტრზე, რომლის განსაზღვრაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კვლევის შედეგების ანალიზი, ასევე, შეხვედრები შშმ ბავშვების მშობლებთან, მომსახურებების მიმწოდებლებთან, განათლების სპეციალისტებთან (განსაკუთრებით, განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების რეგიონულ გუნდთან). სოციალური მომსახურებები შეიძლება ითვალისწინებდნენ შშმ ბავშვის/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვის მხარდაჭერას როგორც კომპლექსური და გრძელვადიანი მომსახურების ფარგლებში, ასევე – ცალკეული თერაპიის მეშვეობით. ბავშვებს მომსახურებები შეიძლება მიეწოდოთ: მომსახურების ცენტრში, სახლში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა, მათთვის სასურველ, ადგილებში. მომსახურებები შეიძლება მოიცავდეს მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ბინაზე მოვლის კომპონენტსაც.

სოციალური მომსახურებების დაგეგმვამდე მუნიციპალიტეტი, პირველ რიგში, ითვალისწინებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს; მაგალითად „კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მუნიციპალიტეტს აკისრებს უშუალო ვალდებულებას პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიწოდების თაობაზე, რომელიც ძალაში შედის 2025 წლიდან. აღნიშნული მომსახურების სტანდარტები შემუშავებული და დამტკიცებულია სამინისტროს მიერ. სამინისტრო უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერას პერსონალური ასისტენტების გადამზადების შესაძლებლობით და მონიტორინგის სისტემის შექმნით. თვითმმართველობას უშუალო ვალდებულებების განხორციელების გარდა შეუძლია სოციალური მომსახურებების შექმნა და გაუმჯობესება. კანონი

“შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ” გამოყოფს მუნიციპალიტეტების როლს დამოუკიდებელი ცხოვრების და სოციალური ინკლუზიის ხელშემწყობი მომსახურებების განვითარების შესახებ. აღნიშნული მომსახურებების განვითარება არ წარმოადგენს კანონით უშუალოდ დავალებულ საქმიანობას, თუმცა ბავშვის უფლებათა კოდექსის და შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონის მიხედვით შეიძლება დელეგირებული იქნას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან დარგობრივი ზედამხედველობის მეშვეობით. შესაბამისად, ახალი მომსახურებების განვითარება შესაძლებელია სამინისტროს მხარდაჭერით.

თვითმმართველობამ კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ასევე, შშმ ბავშვების მშობლებთან, განათლების დაწესებულებების სპეციალისტების და სოციალური მომსახურებების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად, სოციალურ მომსახურებებზე მუშაობა შეიძლება განახორციელოს ორი მიმართულებით:

## არსებული სოციალური მომსახურებების გაუმჯობესება და გაფართოება

კვლევის შედეგების ანალიზის ეტაპზე თვითმმართველობა პირველ რიგში აფასებს იმ სოციალურ მომსახურებებს, რომლებიც არსებობენ მუნიციპალიტეტში. შეფასება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- რამდენად პასუხობს არსებული მომსახურებები ყველა ასაკობრივი ჯგუფის და ყველა სახის დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებებს;
- რომელ ასაკობრივ ჯგუფს ან გარკვეული დარღვევის მქონე ბავშვების ჯგუფს ვერ ემსახურებიან არსებული მომსახურებები და რატომ;
- შესაძლებელია თუ არა არსებული მომსახურებების მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ მომსახურების მოდიფიცირება და/ან გაფართოება მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ბავშვების საჭიროებების მიხედვით; რა სახის რესურსია საჭირო მომსახურების/მომსახურებების მოდიფიცირებისა და ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდისთვის;

შესაძლებელია, კვლევამ ცხადყოს, რომ არსებულმა სოციალურმა მომსახურებებმა უნდა გააუმჯობესონ მომსახურების არამხოლოდ ფორმატი, არამედ მომსახურების მიწოდების გზებიც. მაგალითად, მაღალმთიან მუნიციპალიტეტში აბილიტაცია/რეაბილიტაციის მომსახურების მიწოდება დიდთოვლობის დროს შეიძლება განხორციელდეს სახლში ვიზიტის საფუძველზე.

## მუნიციპალიტეტის პროგრამით დაფინანსებული მომსახურების გაუმჯობესების და გაფართოების მაგალითი:

კვლევის შედეგებმა გამოკვეთა, რომ მაღალია მოთხოვნა ისეთ მომსახურებაზე, რომელიც სასკოლო ასაკის შშმ ბავშვებს ესაჭიროებათ. აუცილებელია მეტი მხარდაჭერა ფუნქციონირების და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესების და, ასევე, ქცევითი სირთულეების მართვის კუთხით. იმის გათვალისწინებით, რომ განათლების უფლება არის პრიორიტეტული, ამიტომ პირველ რიგში არსებულმა მომსახურებამ არ უნდა ჩაანაცვლოს ან შეზღუდოს განათლების უფლება. შესაბამისად, მომსახურება უნდა

ითვალისწინებდეს ბავშვის განათლების უფლებას. შესაძლებელია, მუნიციპალიტეტმა სკოლასთან/სკოლებთან ერთად შექმნას დღის ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვებს საჭირო პროგრამებით. ასევე შესაძლებელია გარკვეული თერაპიების უზრუნველყოფაც სკოლასთან არსებული დღის ცენტრის ბაზაზე. მომსახურების ამგვარი ცვლილებით შშმ ბავშვები შეძლებენ საჯარო სკოლაში განათლების მიღებას, რაც, აგრეთვე, მნიშვნელოვნად მიეხმარება სკოლის მასწავლებლებს, გაიუმჯობესონ შშმ ბავშვებთან მუშაობის ცოდნა და გამოცდილება. აღნიშნული მომსახურება გააუმჯობესებს შშმ ბავშვების ჩართულობას განათლების სისტემაში, ასევე, არ დაიღლებიან ყოველდღიური დამატებითი მგზავრობით სკოლიდან დღის ცენტრში ან პირიქით; ასევე, გაუმჯობესდება მშობლების მხარდაჭერაც, რადგან მათ არ მოუწევთ ბავშვის მიყვანა დღის ცენტრში სკოლიდან ან პირიქით. სკოლასთან არსებული შშმ ბავშვების დღის ცენტრის მომსახურების შექმნა შესაძლებელი იქნება სკოლის, რესურს-ცენტრის, მუნიციპალიტეტის და სახელმწიფოს თანამშრომლობის შედეგად. სკოლამ შესაძლებელია, გამოყოს ფართი, რომლის რემონტს და აღჭურვას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. ასევე შესაძლებელია, რომ მუნიციპალიტეტმა დააფინანსოს იმ ბავშვების ტრანსპორტირება, რომლებიც არაადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვერ მგზავრობენ. რესურს-ცენტრის მიერ მოხდეს მშობლებთან აქტიური მუშაობა იმ კუთხით, რომ ბავშვების განათლებას და მომსახურების მიღებას ხელი შეუწყონ, არ დატოვონ ბავშვები განათლების გარეშე და, ამავდროულად, შეინარჩუნონ დასაქმებაც. ხოლო სპეციალისტთა ხელფასები, მომსახურების ადმინისტრირების და ბავშვების კვების თანხა შეიძლება, დაიფაროს დღის ცენტრების სახელმწიფო ქვეპროგრამის ვაუჩერებით.

## ახალი სოციალური მომსახურებების განვითარება

არსებული მომსახურებების შეფასების შემდგომ მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს, თუ რა სახის ახალი მომსახურებები არის საჭირო, რათა უზრუნველყოფილი იქნას შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებები. ახალი მომსახურებების დაგეგმვამდე თვითმმართველობა სამინისტროდან და პარტნიორი ორგანიზაციებიდან იღებს შემდეგ ინფორმაციას:

- ხომ არ არსებობს ისეთი სოციალური მომსახურება/მომსახურებები, რომლებიც კომპლექსურად პასუხობენ ყველა დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებებს; მაგალითად, ადრეული ჩარევის მომსახურება გათვლილია ყველა სახის დარღვევის მქონე 7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის; შესაბამისად, ასეთი მომსახურების შექმნა უფრო ოპტიმალურია ბავშვებისთვის, მათი ოჯახებისთვის და თვითმმართველობისთვისაც. ასევე აბილიტაცია/რეაბილიტაციის მომსახურება მოიცავს რამდენიმე სახის თერაპიას და რაციონალურია ასეთი მომსახურების განვითარება კომპლექსური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. დღის ცენტრის მომსახურება მოიცავს როგორც დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების შესწავლას, ასევე სოციალური და წინაპროფესიული უნარების განვითარებას 6-18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის;
- თუ ბავშვების მნიშვნელოვან რაოდენობას მხოლოდ ერთი სახის თერაპია ესაჭიროება, მაშინ თვითმმართველობამ უნდა გაანალიზოს, თუ რა სახის თერაპიის საჭიროებაა წარმოდგენილი კვლევის შედეგად. ასევე, მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე ადგენს, თუ როგორ შეიძლება მათ უზრუნველყონ ცალკეული თერაპიები და როგორ უნდა მოხდეს მათი დაფინანსება,

მაგალითად, ფიზიკური თერაპია ან მეტყველების თერაპია;

თვითმმართველობის და სამინისტროს თანამშრომლობით შეიძლება განვითარდეს და გაფართოვდეს ყველა ის საჭირო მომსახურება, რომელთაც აფინანსებს სამინისტრო „სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში; კერძოდ, როგორ მოხდეს სოციალური მომსახურებების დელეგირება. მაგალითად, მუნიციპალიტეტმა შეიძლება გამოყოს ფართობი და უზრუნველყოს გარემონტების და აღჭურვის ხარჯები, დააფინანსოს ბავშვების ტრანსპორტირება და მომსახურების ცენტრის კომუნალური ხარჯი; ხოლო ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილი მომსახურების ვაუჩერებით მოხდეს მომსახურების პროგრამული და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება. სოციალური მომსახურებების ეფექტიანი და ურთიერთშემავსებელი ვერტიკალური და ჰორიზონტალური დაგეგმვა მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებებს.

შესაძლებელია, თვითმმართველობამ შეიმუშაოს გაერთიანებული სოციალური მომსახურებების ფორმატი მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლისთვის. მაგალითად, თუ სოფელში ცხოვრობს მხოლოდ რამდენიმე შშმ ბავშვი და შეუძლებელია ცალკე მომსახურების შექმნა ერთ სოფელში, ასეთ შემთხვევებში თვითმმართველობამ შეიძლება, შექმნას გაერთიანებული მომსახურება რამდენიმე სოფლისთვის. ასევე, შესაძლებელია, თვითმმართველობამ განიხილოს მომსახურების შეძენა მეზობელი მუნიციპალიტეტისგან. ასეთი მიდგომა ოპტიმალურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მომსახურების საჭიროება არ აქვს ბევრ ბავშვს ან სანამ მუნიციპალიტეტში შეიქმნება მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები. ასევე, შესაძლებელია, რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიერ შეიქმნას ერთი კომპლექსური მომსახურებების ცენტრი, რომელიც მოიცავს თერაპიების და ოჯახის კონსულტირების სხვადასხვა პროგრამების ფართო სპექტრს.

მომსახურების განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოსაძიებლად მუნიციპალიტეტმა შესაძლოა თანამშრომლობისთვის მიმართოს კერძო სექტორს და დონორ ორგანიზაციებს. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია და საზოგადოებასთან თანამშრომლობის სამსახური ფლობდნენ ინფორმაციას ბიზნეს-სექტორის სოციალური პასუხისმგებლობისა და საქართველოში არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პრიორიტეტების შესახებ. მნიშვნელოვანია პროფესიულ ასოციაციებთან და გამოცდილ მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მუნიციპალიტეტში არსებული ნაკლები გამოცდილების მქონე მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მხარდასაჭერად. აღნიშნული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სამინისტროსთან თანამშრომლობით.

სოციალური მომსახურებების ადმინისტრირებისას მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ სასურველია ყველა სახის მომსახურების მიწოდება არ ხდებოდეს მხოლოდ ერთი ორგანიზაციის მიერ. აღნიშნული მნიშვნელოვნად ამცირებს მომსახურების ხარისხის მდგრადობას, არ იძლევა არჩევანის საშუალებას და მუნიციპალიტეტსაც ართმევს შესაძლებლობას, შეადაროს სხვადასხვა გამოცდილება და არ გახდეს იძულებული, დააფინანსოს მხოლოდ ერთი ორგანიზაციის მომსახურება/მომსახურებები დაბალი ხარისხის შემთხვევაშიც კი. მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად, ასევე, საჭიროა სახელმწიფო სტანდარტების გათვალისწინებაც. დღესდღეობით, სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულია ადრეული ჩარევის, დღის ცენტრების მომსახურების, აუტიზმის მქონე პირთა მომსახურების მინიმალური სტანდარტები.

## ახალი სოციალური მომსახურების შექმნის მაგალითი

კვლევის შედეგად თვითმმართველობამ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ესაჭიროებათ შინმოვლა. აღნიშნულის საპასუხოდ, თვითმმართველობამ სამინისტროსთან თანამშრომლობით, შესაძლებელია, განსაზღვროს მომსახურების ფორმატი (სამინისტროს მიერ შემუშავებული მოდელის მიხედვით) და სამიზნე ჯგუფი. ასევე, მოიძიოს გამოცდილი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში არსებული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების გადამზადებას და შემდგომ პროფესიულ მხარდაჭერას. სამინისტრომ და გამოცდილმა მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციამ/ორგანიზაციებმა შეძლება დახმარება გაუწიონ თვითმმართველობას მომსახურების განფასებაში, მონიტორინგის ინსტრუმენტის შემუშავებასა და მუნიციპალიტეტის შესაბამისი პერსონალის გადამზადებაში.

მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს სამიზნე ჯგუფს: მაგალითად, ბავშვებს, რომელთაც ფუნქციონირების მძიმე დარღვევების და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ესაჭიროებათ მოვლა, რომელიც მოიცავს მათი ფუნქციონირების გაუმჯობესებას, საექთნო მოვლას (ნაწოლების დამუშავება, სტომის გასუფთავება და სხვა), ფიზიკურ თერაპიას, დამხმარე საშუალებების გამოყენებას და სხვა. მუნიციპალიტეტი კვლევის შედეგებზე დაფუძნებით განსაზღვრავს სამიზნე ჯგუფის რაოდენობას, რომელიც მომსახურების პირველი წლისთვის შესაძლებელია არ იყოს დიდი და შემდგომ, მტკიცებულებაზე დაფუძნებით მოხდეს რაოდენობის ზრდაც. სამიზნე ჯგუფი უნდა მოიცავდეს ყველა ასაკის ბავშვს და ყველა დარღვევის მქონე ბავშვს, რომელთაც ესაჭიროებათ მოვლა.

მომსახურების ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს: საექთნო მოვლას; კვებაში დახმარებას; მშობლისთვის იმის სწავლებას, თუ როგორ შეიძლება შეუწყოს ხელი ბავშვს დამოუკიდებლად კვებაში, ტუალეტის გამოყენებაში და სხვა; სპეციალისტების მიერ ბავშვის ფუნქციონირების უნარების გაუმჯობესებას – სიარული, ნატიფი მოტორიკის გაუმჯობესება, კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება, დამხმარე საშუალებების გამოყენების ტრენინგი, მშობლების დროებით გამოთავისუფლება მოვლისგან, რათა მათ შეძლონ გარკვეული დროის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება. მომსახურების ფარგლებში ასევე უნდა განისაზღვროს სპეციალისტების შემადგენლობა და კვალიფიკაცია, მომსახურების მოცულობა – სპეციალისტების სესიების რაოდენობა და მოვლის საათები თვის განმავლობაში.

## დარღვევების მიხედვით განსაზღვრული სპეციალიზებული მომსახურებები

კვლევის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს ცალკეული თერაპიების და მომსახურებების საჭიროება; მაგალითად, მეტყველების თერაპია, ფიზიკური თერაპია, ორიენტაცია-მობილობის მომსახურება უსინათლო პირებისთვის ან ბრაილის ფონტის შესწავლა, ჟესტური ენის თარჯიმნების გადამზადება და სხვა. აღნიშნული მომსახურებების ფორმატი და სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა შესაძლებელია კვლევის შედეგებზე დაფუძნებით და სამინისტროსა და პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

## შშმ ბავშვებისთვის/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი და სოციალური ინკლუზიის პროგრამების შემუშავება

გრძელვადიანი სოციალური მომსახურებების გარდა, ადგილობრივმა თვითმმა-

რთველობამ შეიძლება დააფინანსოს შშმ ბავშვებისთვის, განსაკუთრებით, შშმ მოზარდებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების და სოციალური ინკლუზიის ხელშემწყობი მოკლევადიანი პროგრამებიც (კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ). პირველ რიგში, მუნიციპალიტეტი აფასებს საყოველთაო პროგრამებს, მაგალითად, სოციალურად დაუცველი ბავშვების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში სწავლების პროგრამა, ხელოვნების სკოლებში სწავლების და სპორტულ სკოლებში სწავლების პროგრამებს შშმ ბავშვების საჭიროებების უზრუნველყოფის პერსპექტივით. თვითმმართველობა განსაზღვრავს, თუ რამდენად უნდა მოხდეს აღნიშნულ პროგრამებში გონივრული მისადაგების პრინციპის დამკვიდრება და როგორ შეიძლება აღნიშნულმა პროგრამებმა უპასუხონ შშმ ბავშვების საჭიროებებს, რა დამატებით ცოდნა სჭირდებათ მასწავლებლებს ან სპორტის ინსტრუქტორებს და სხვა.

თვითმმართველობამ შეიძლება უზრუნველყოს საზაფხულო ბანაკები შშმ მოზარდებისთვის, რაც მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების და თანატოლებთან ურთიერთობის გამოცდილების მიღებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული პროგრამები შეიძლება განახორციელონ შშმ პირთა ორგანიზაციებმა, რომლებსაც აქვთ თანასწორთა განათლების და მხარდაჭერის პროგრამების გამოცდილება.

### შშმ ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების პროგრამა

რამდენიმე მუნიციპალიტეტი წარმატებით ახორციელებს შშმ ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების პროგრამას და ყოველწლიურად გამოყოფს გარკვეული ოდენობის ვაუჩერებს, რაც მშობლებს აძლევს საშუალებას, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, შეარჩიონ სასურველი სასტუმრო ზაფხულის განმავლობაში. მრავალი სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის მოცემული პროგრამა წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას, რომ გავიდნენ სახლიდან დასვენების მიზნით.

### მშობლების და ოჯახის წევრების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება

შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე მშობლების მხარდაჭერის მიზნით, მუნიციპალიტეტმა შეიძლება დააფინანსოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს მშობლების ინფორმირებას და გაძლიერებას. მაგალითად, მუნიციპალიტეტმა ყოველწლიურად შეიძლება გამოაცხადოს კონკურსი შშმ ბავშვების მშობელთა ორგანიზაციებისთვის, რათა მათ უზრუნველყონ სხვა მშობლების ინფორმირება, გაძლიერება და სხვადასხვა სახის მხარდაჭერა. მსგავსი პროგრამებით შშმ ბავშვების მშობლები სწავლობენ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას, მათი უფლებების დაცვას, მომსახურებების დანიშნულებას და სხვა. მშობლებთან აქტიური მუშაობა შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრების მომსახურების ნაწილიც.

### ბარიერების აღმოფხვრაზე ორიენტირებული პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების დამოუკიდებელ ცხოვრებას და სოციალურ ინკლუზიას

შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია ბარიერებისგან თავისუფალი გარემო

და საზოგადოება. სოციალური პროგრამების შექმნის პარალელურად, თვითმმართველობამ უნდა გაითვალისწინოს შშმ ბავშვების წინაშე არსებული ბარიერები და ხელი შეუწყოს მათ აღმოფხვრას. მაგალითად, გარემოში არსებული ფიზიკური ბარიერების შემცირება გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტში და გათვალისწინებული იქნას „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“ (2020). დამოკიდებულებითი ბარიერების შემცირება შესაძლებელია სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების გზით. შშმ ბავშვების და მათი ოჯახების ინფორმირება მათი უფლებების და რესურსების შესახებ შესაძლებელია მუნიციპალიტეტის სამსახურების ინტერსექტორული მუშაობით – ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, განათლება და სხვა; ინფორმირებისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკების (კანონი სოციალური მუშაობის შესახებ) და სახელმწიფო რწმუნებულის წარმომადგენლების ჩართვა.

## სოციალური პროგრამების ინდიკატორები

სოციალური პროგრამების ინდიკატორების განსაზღვრა ხორციელდება საყოველთაო მეთოდოლოგიის მიხედვით. რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების განსაზღვრა ხდება თითოეული პროგრამის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია ინდიკატორების აღსრულების დამადასტურებელი წყაროების მითითებაც.

შშმ ბავშვების პროგრამების შემთხვევაში **რაოდენობრივი ინდიკატორების** მაგალითები შეიძლება იყოს: სამიზნე ჯგუფის ბავშვების რაოდენობა მომსახურების ფარგლებში, ასევე, ყველა სახის დარღვევის მქონე ბავშვის, გოგონების და ბიჭების რაოდენობა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში); მომსახურების შემთხვევაში: დღეების რაოდენობა თვეში, წელიწადში; თერაპიული კურსების რაოდენობა წელიწადში; გადამზადებული პროფესიონალების რაოდენობა; გადამზადებული მშობლების და ოჯახის წევრების რაოდენობა; ასევე, რამდენი ბავშვი ჩაერთო სკოლამდელ ან ზოგადი განათლების დაწესებულებაში მომსახურების მხარდაჭერით და სხვა.

მომსახურების წარმატებით უზრუნველყოფის შეფასებისთვის ასევე მნიშვნელოვანია **თვისებრივი/ხარისხობრივი ინდიკატორების** განსაზღვრა. თვისებრივი/ხარისხობრივი ინდიკატორების მაგალითები შეიძლება იყოს მომსახურების სპეციალისტების და პერსონალის კვალიფიკაცია; პერსონალის მომზადების სატრენინგო პროგრამის აღწერა; ბავშვებთან მუშაობის მეთოდოლოგია, რომელიც უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო და ადგილობრივ  გამოცდილებას და სხვა.

სოციალური პროგრამების შექმნის პროცესში თვითმმართველობამ შეიძლება მოითხოვოს ინდიკატორების აღსრულების დამადასტურებელი წყაროები. მაგალითად, მომსახურების ყოველთვიური ანგარიშები, რომლებშიც მითითებულია მომსახურების მიმღები ბავშვების რაოდენობა, ბავშვებისთვის განხორციელებული ღონისძიებები, ბავშვებთან მუშაობის მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა და მისი, როგორც საუკეთესო გამოცდილების, დამადასტურებელი ინფორმაცია, მომსახურების პერსონალთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სხვა.

## სოციალური პროგრამების მიმწოდებელი ორგანიზაციების ვალდებულებები

შშმ ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევის მქონე ბავშვების სოციალური პროგრამების ფორმატის შემუშავებისას მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს შემდეგ ვალდებულებებს:

- მომსახურების განმახორციელებელი ორგანიზაციის როლი და პასუხისმგებლობები; ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელიც მოწმობს მომსახურების განხორციელების შესაძლებლობას – შენობის შესახებ ინფორმაცია, მომსახურების გამოცდილების დამდასტურებელი ინფორმაცია,
- მომსახურების სპეციალისტების და პერსონალის კვალიფიკაცია და შემადგენლობა;
- მომსახურების აღწერას და ღონისძიებებს – სხვადასხვა სახის თერაპიები, მოვლის კომპონენტები (რეგულარული თუ საერთო);
- მომსახურების მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- მომსახურების საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების მითითებით.



## ნაწილი III.

# მუნიციპალური სოციალური პროგრამების/ ქვეპროგრამების ბიუჯეტირება



პროგრამები თავისი ხანგრძლივობის მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად: **მიმდინარე**, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა და მუდმივად ხორციელდება. ასეთი პროგრამების ხარჯი წლიდან წლამდე იცვლება მხოლოდ ინფლაციის და ბენეფიციართა რაოდენობის ცვალებადობის გამო; **მრავალწლიანი** – ემსახურება კომპლექსური საკითხების გადაწყვეტას ან ახალი სისტემის თუ მომსახურების დანერგვას, აქ შედეგების მიღწევას მრავალი წელი სჭირდება, ასეთი პროგრამების ხარჯის დადგენა დამოკიდებულია მის ტიპზე და შეიძლება იცვლებოდეს წლიდან წლამდე (მაგალითად, პირველ წელს შეიძლება დიდი იყოს ძირითადი საშუალებების შესყიდვის ბიუჯეტი, რაც მომდევნო წლებში აღარ იქნება საჭირო და ა.შ); **ერთწლიანი** – ეს არის სპეციფიკური პროგრამა, რომლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია ერთ წელიწადში (მიწის რეგისტრაციის პროგრამა) ან ორიენტირებულია ისეთ პრობლემებზე, რომელთაც დროებითი ხასიათი აქვს (მაგალითად, პანდემიის გავლენით დაზარალებული ბიზნესის წახალისება). მოკლევადიანი პროექტების ხარჯის დათვლა ხდება სპეციფიკური კლასიფიკატორების მიხედვით და ძალზე ხშირად ეს სუბსიდირების პროგრამებია.

პროგრამები იყოფა ძირითად მიმართულებებად ანუ **ქვეპროგრამებად**. ქვეპროგრამა არის კონკრეტული შედეგების მისაღწევად აუცილებელ ღონისძიებათა ერთობლიობა. შინაარსობრივად, ქვეპროგრამებიც იმავე ტიპებად იყოფა, როგორც პროგრამები და მათი ღირებულების დათვლის მეთოდიც ანალოგიურია. ქვეპროგრამა, დაკავშირებულია **შუალედურ შედეგებთან** და მისი განხორციელების შედეგად უნდა მივიღოთ ის კონკრეტული მდგომარეობა, რაც ხელს შეუწყობს მთლიანად პროგრამის მიზნების შესრულებას. მაგალითად, თუ მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამის ამოცანაა მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესება, სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა, სოციალურად დაუცველი ჯგუფების ინტეგრაცია და უფლებების რეალიზაცია, მაშინ სოციალურად დაუცველი მოსწავლეების შემწეობის მუნიციპალური ქვეპროგრამის მიზანი იქნება სკოლის მოსწავლეებს შორის სოციალური უთანასწორობის შერბილება, რაც გაზრდის სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. ეს კი, თავისთავად, ხელს უწყობს პროგრამის მიზნის მიღწევას. პროგრამების ჩაშლა ქვეპროგრამებად აუცილებელია საჯარო ფინანსების მართვის ხარისხის ამაღლების, გამჭვირვალობის და საჯარო დანახარჯების შედეგიანობის უზრუნველსაყოფად. თითოეულ ქვეპროგრამაზე ივსება სპეციალური ფორმა.

განვიხილოთ ქვეპროგრამების ღირებულების დათვლის მაგალითები სოციალურად დაუცველი ბავშვების და მათი ოჯახების შემთხვევაში.

***მაგალითი 1***

მუნიციპალიტეტს უნდა, რომ შექმნას სოციალურად დაუცველი ბავშვების და მათი ოჯახების საჭიროებაზე მორგებული საკუთარი სოციალური პოლიტიკა ამ მიმართულებით. შესაბამისად, მუნიციპალური ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურმა შესაბამისი დაფინანსების ბიუჯეტში შეტანისთვის მიმართა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს. ამ ორი სამსახურის კონსულტაციის საფუძველზე უნდა დადგინდეს, თუ რა პრიორიტეტს განეკუთვნება ეს მოთხოვნა. საუბარია პოლიტიკის შემუშავებაზე, შესაბამისად ეს არის პირველი პრიორიტეტი (მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები). ამ პრი-

ორიტეტის ქვეშ რამდენიმე პროგრამაა, მათ შორის 0101 ქვეპროგრამული კოდი „საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა“. საჭიროებაზე მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავება მოითხოვს თვითმმართველობის მოხელეთა შრომას (ანალიზს, შესწავლას, პოლიტიკის შემუშავებას), საჭიროებების შესწავლას, კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან. შესაბამისად, თავდაპირველ ეტაპზე მერიის შესაბამის სამსახურთან უნდა დადგინდეს, რა ოდენობის ადამიანური რესურსია საჭირო ამ ამოცანის შესასრულებლად. აქედან გამომდინარე, დასადგენია ჩართული ადამიანის შრომის ანაზღაურება თითოეულ დღეზე საშუალო ხელფასთან მიმართებით (ლარი 38,6X247 სამუშაო დღე = ლარი 9,543 წელიწადში). ამის შემდეგ ხდება თითოეული თანამშრომლის სახელფასო ფონდის შეკრება და ფორმირდება ამ ქვეპროგრამის შრომის ანაზღაურების ფონდი. ამას ემატება დამსაქმებლის ანარიცხი საპენსიო ფონდში და სხვა დაკავშირებული სოციალური ხარჯები ასეთის არსებობის შემთხვევაში (თანამშრომელთა დაზღვევა და ა.შ.). პოლიტიკის შექმნისთვის აუცილებელია საჭიროებათა კვლევა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ჯანდაცვის და სოციალური განყოფილების თანამშრომლების მიერ, ასევე შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა შეიძინოს აღნიშნული მომსახურება. თუკი მუნიციპალიტეტი გადაწყვეტს ამ მომსახურების შეძენას, მაშინ, პირველ რიგში, სოციალური სამსახურის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ წარმოდენა, თუ რა ჯდება ეს მომსახურება და იგი შეიტანება ბიუჯეტის მუხლში „საქონელი და მომსახურება“. ქვეპროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება ოფისის ხარჯები, რაც ასევე დაითვლება მუნიციპალიტეტის საშუალო ოფისის ხარჯებიდან ერთ მოხელეზე გადაანგარიშებით. თუ მუნიციპალიტეტში ოფისის წლიური ხარჯი ერთ მოხელეზე არის 450 ლარი, ხოლო ამ ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 მოხელე, მაშინ ქვეპროგრამის ოფისის ხარჯი იქნება 4,500 ლარი. ეს თანხაც საქონელსა და მომსახურებაში გაიწერება. შესაბამისად, ამ ქვეპროგრამის ხარჯის დათვლისას უნდა ვიცოდეთ, რამდენი მოხელე იქნება საჭირო მისი განხორციელებისთვის, რა სახის მომსახურება და საქონელი დაგვჭირდება და რა იქნება ამ ყველაფრის ღირებულება მომავალი სამი წლის მანძილზე. შესაბამისად, შეიქმნება შემდეგი სახის ცხრილი რომელიც შემდეგ გადავა ბიუჯეტის დოკუმენტში.

***ცხრილი 1***

| 01.01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 01.01.09 | მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |
| | | 2022 ფაქტი | 2023 გეგმა | სულ | საკუთარი შემოსავლიდან | სახელმწიფო ბიუჯეტიდან |
| **01.01.09.01** | **მოწყვლად ოჯახებში მყოფ ბავშვთა სოციალური დაცვის პოლიტიკის შემუშავება** | | | | | |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 15 | 15 | 15 | 15 | 0 |
| | **ხარჯები სულ** | **0** | **269,5** | **269,5** | **269,5** | **0** |
| | შრომის ანაზღაურება | 0 | 228,4 | 228,4 | 228,4 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 0 | 36,2 | 36,2 | 36,2 | 0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 4,9 | 4,9 | 4,9 | 0 |

ხარჯების დათვლის შემდეგ, უკვე ხდება ქვეპროგრამის გადატანა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში, სადაც ხარჯები ჯამდება პრიორიტეტების მიხედვით და შეივსება შემდეგი ცხრილი:

***ცხრილი 2***

| პროგ-რამული კოდი | დასახელება | დასა-გეგმი წელი | მ.შ. ბიუ-ჯეტიდან მიღებული დაფინან-სება | მ.შ. სა-კუთარი სახ-სრები | დასა-გეგმი წელი +1 | დასა-გეგმი წელი +2 | დასა-გეგმი წელი +3 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ------- | | | | | | | |
| 01.01.09.01 | მოწყვლად ოჯახებში მყოფ ბავშვთა სოცი-ალური დაცვის პოლიტიკის შემუ-შავება | 269,9 | 0 | 269,9 | 307,6* | 350,6* | 399,6* |
| -------------- | | | | | | | |
| სულ პრი-ორიტეტის დაფინან-სება | | ----- | | | | | |

* მატება ინფლაციის მაჩვენებლის გათვალისწინებით

მას შემდეგ, რაც ცნობილი და შეთანხმებულია ქვეპროგრამის განხორციელების ხარჯი, ***ცხრილი 1*** პირდაპირ გადადის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში, კერძოდ, ბიუჯეტის ასიგნებათა ცხრილში. ეს მეთოდი ასევე გამოიყენება ამ ტიპის პროგრამების ხარჯების და-სათვლელად. რაც შეეხება ღონისძიებათა ხარჯებს ის შესულია ქვეპროგრამის ხარჯში და მისი დაშლა კლასიფიკატორების მიხედვით ხდება განმახორციელებელი ორგანიზაციების ბიუჯეტებში.

***მაგალითი 2***

მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულმა საჭიროებათა კვლევამ აჩვენა, რომ სოციალურად დაუცველ ბავშვებს და მათ ოჯახებს არ აქვთ საშუალება, შეიძინონ ბავშვის პირადი ჰიგიენის საგნები, რაც იწვევს ბავშვის ხშირ ავადობას და პრობლემებს განვითარებასა და განათლებაში. მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტი ასახავს მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ ნებას, მიაწოდოს სოციალურად დაუცველ ბავშვებს პირადი ჰიგიენის საგნები. ამის გაკეთება ორი ფორმით შეიძლება: ა) ბავშვის ოჯახისთვის შესაბამისი ფულადი რესურსის გადაცემით და ბ) ბავშვისთვის შესაბამისი საქონლის მიწოდებით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა უნდა შექ-მნას შესაბამისი ქვეპროგრამა 06.02 პროგრამული კოდის ქვეშ. ორივე ფორმის შემთხვევაში ეს იქნება სუბსიდირების ქვეპროგრამა. იმისათვის, რომ შევძლოთ ამ პროგრამის ღირებუ-ლების დათვლა, აუცილებელია, მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის

სამსახურმა მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურს მიაწოდოს ორი ძირითადი მონაცემი: ა) ბენეფიციართა ოდენობა და ბ) საჭირო პირველადი ჰიგიენის ჩამონათვალი და ოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში. მუნიციპალიტეტი ბაზრის შესწავლის საფუძველზე ადგენს, რა არის ამ ქვეპროგრამის ღირებულება ერთ ბენეფიციარზე და რა არის ქვეპროგრამის მთლიანი ღირებულება. როგორც წესი, სუბსიდირებას აქვს აქვს სოციალური გასაცემელის სახე, რომელიც განიკარგება ძირითადი ადმინისტრაციული მომსახურების ფარგლებში (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯების ფარგლებში).

ამ პროგრამის ბენეფიციარებზე საჭირო საგნების ღირებულების ეკვივალენტის სოციალური გასაცემელის სახით გაცემა ზოგავს ადმინისტრაციულ ხარჯებს და გამოყოფილ ასიგნებებს მთლიანად მიმართავს ბენეფიციარისკენ. თუმცა ფულადი სახით გაცემის შემთხვევაში არის რისკი, რომ ცალკეულ შემთხვევაში საჭირო საქონელი არ მივიდეს ბენეფიციარამდე და გაცემული ფული სხვა დანიშნულებით იქნას გამოყენებული.

დახმარების მატერიალური სახით გაცემის შემთხვევაში (ხელზე მიწოდება, ვაუჩერების გადაცემა) საჭირო საქონელი გარანტირებულად მიდის ბენეფიციარამდე, თუმცა საჭიროა საქონლის შესყიდვის პროცედურების ორგანიზება, კონტროლი პროდუქციის გაცემაზე, რაც ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს და ვერ იძლევა იმის მყარ გარანტიას, რომ გადაცემული საქონელი ბენეფიციარს მოხმარდება.

სოციალური გასაცემელის შემთხვევაში ივსება ცხრილი 2, სადაც 06.02. პროგრამის ქვეშ, შესაბამისი რიგითობის ქვეპროგრამის გასწვრივ 4 წლიან ჭრილში მიეთითება თანხის ოდენობა თითოეული წელიწადის გრაფაში.

მატერიალური სახით დახმარების გადაცემის შემთხვევაში ივსება ცხრილი 1, სადაც 06.02. პროგრამის ქვეშ, შესაბამისი რიგითობის ქვეპროგრამის გასწვრივ, 4 წლიან ჭრილში მიეთითება იმ საქონლის ღირებულება, რაც ბენეფიციარებს უნდა გადაეცეს. ასეთი საქონლის შეძენა თუ საჭიროებს სპეციფიკურ პროცედურას და საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურებას (პროდუქციის შესყიდვის ხარჯი), მაშინ დამატებით ივსება ცხრილი 2.

მას შემდეგ, რაც ცნობილი და შეთანხმებულია ქვეპროგრამის განხორციელების ხარჯი, ***ცხრილი 1*** პირდაპირ გადადის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში, კერძოდ, ბიუჯეტის ასიგნებათა ნაწილში.

***მაგალითი 3***

მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულმა საჭიროებათა კვლევამ აჩვენა, რომ სოციალურად დაუცველ ბავშვებს სჭირდებათ ფსიქოლოგის მომსახურება. თავისთავად ცხადია, რომ ეს იქნება მომსახურების მიწოდების ქვეპროგრამა 06.02 პროგრამული კოდის ქვეშ. ზოგადად მომსახურების მიწოდების პროგრამების/ქვეპროგრამების ღირებულების დათვლა ძალზე რთულია, ვინაიდან აქ მომსახურების ფასი მრავალი კომპონენტისგან შედგება. მუნიციპალიტეტის საფინანსო და საბიუჯეტო სამსახურმა ამ ქვეპროგრამის ღირებულების დათვლა რომ შეძლოს, აუცილებელია, ფლობდეს ქვემოჩამოთვლილ ინფორმაციას:

- ინფორმაცია ბენეფიციართა ოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია ამ მომსახურების სტანდარტის შესახებ (თუ ასეთი სტანდარტი მიღებულია ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ), სადაც დაკონკრეტებული იქნება, თუ რას მოიცავს ეს მომსახურება, რა არის მისი მოცულობა, მი-

წოდების ფორმები, პერიოდულობა და საჭირო მასალები;

- რა არის ამ მოსახურების შესყიდვის ფასი ბაზარზე;
- არის თუ არა შესაძლებელი ამ მომსახურების არასაბაზრო გზით მიღება (არასამთავრობო სექტორი, დონორების დაფინანსება).
- ასევე, საჭიროა თუ არა რაიმე კაპიტალური ხარჯის გაღება იმისთვის, რომ ეს მომსახურება იყოს შესაძლებელი (ამ შემთხვევაში, მაგალითად, მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი ფართის რემონტი თითოეულ ბავშვზე მორგებული გარემოს შესაქმნელად).

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი ინფორმაცია ჰქონდეს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს. შესაბამისად, როდესაც მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური წარადგენს მოთხოვნას ასეთი ქვეპროგრამის ღირებულების დათვლაზე, მან უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეპროგრამის ფორმას (საქართველოს მთავრობის №283-ე დადგენილების მე-4 დანართი) თან ახლდეს მისი ღირებულების დათვლისთვის საჭირო ინფორმაცია. ზოგადად, ნებისმიერი მომსახურების მიწოდებისთვის აუცილებელია, არსებობდეს ამ მომსახურების სტანდარტი, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი ღირებულების დათვლისთვის, არამედ, მისი ხარისხის უზრუნველყოფისთვის. სტანდარტების შემუშავებასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელია კანონით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ორგანოები.

ამის შემდეგ სოციალურმა განყოფილებამ უნდა მოიძიოს ინფორმაცია, არის თუ არა შესაძლებელი ამ მომსახურების მიღება არასაბაზრო გზით, ე.ი. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობები, დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები. თუ ასეთი საშუალება არსებობს, მაშინ მუნიციპალიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს, თანადაფინანსებით შევიდეს ამ პროექტებში. ამიტომ 06.02 პროგრამული კოდის ქვეშ იქმნება ქვეპროგრამა „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ინიციატივების თანადაფინანსება“, ექსპერტული შეფასებით განისაზღვრება ამ ქვეპროგრამის საპროგნოზო დაფინანსება და ამ დაფინანსების ათვისება ხდება წარდგენილი მოთხოვნების მიხედვით, საკონკურსო წესით, კომისიური წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

თუ არასაბაზრო გზით ამ მომსახურების მიღება შეუძლებელია, მაშინ მუნიციპალიტეტს რჩება ორი გზა: ა) შეისყიდოს ეს მომსახურება ბაზარზე. თუ ესეც შეუძლებელია (არ არის მომწოდებელი), მაშინ ბ) თავად მიაწოდოს ეს მომსახურება.

**მუნიციპალიტეტის მიერ მომსახურების მიწოდება ძირითადად ხდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო, არაკომერციული პირების მიერ**. არ ვიცით რა ამ მაგალითში მოყვანილი სტანდარტი, ჩვენ არ შეგვიძლია, მოვახდინოთ ღირებულების დათვლის ზუსტი მოდელირება. თუმცა შეგვიძლია, ვისაუბროთ მისი დათვლის წესზე. მომსახურების დათვლისას:

ა) პირველად დგინდება სტანდარტის ღირებულების კომპონენტები (შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, კაპიტალური ხარჯები და ა.შ.)

ბ) კომპონენტების დადგენის შემდეგ ხდება თითოეული კომპონენტის განფასება, ანუ ღირებულების დათვლა ერთ ბენეფიციარზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში. მიღებული ციფრების ჯამი არის ერთეულის ღირებულება (ანუ მომსახურების ღირებულება ერთ ბენეფიციარზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში).

გ) ერთეულის ფასის გამრავლებით ბენეფიციართა რაოდენობაზე დადგინდება ამ კონ-

კრეტული ქვეპროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსების ოდენობა კონკრეტული წლისთვის.

დ) ასევე დგინდება ერთეულის ფასის კორექციის კოეფიციენტი (ინფლაციის და ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით) მომდევნო სამი წლის ღირებულების დათვლისთვის.

ამ სამუშაოთა ჩატარების შემდეგ მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო სამსახური ავსებს ზემოთ მოყვანილ ცხრილებს და ახდენს ხარჯის ასახვას მომდევნო წლის ბიუჯეტში ***ცხრილი 1***-ში მოცემული ფორმატის მიხედვით.

**როცა მომსახურების შეძენა ხდება ბაზარზე**, აქ არის ორი მიდგომა: **ა) ტენდერის წესით შერჩეული მიმწოდებელი** და **ბ) ვაუჩერული სისტემა**. ორივე ამ შემთხვევაში საჭიროა, ვიცოდეთ ერთეულის ფასი და მომსახურების საპროგნოზო ღირებულება, შესაბამისად, აქაც საჭიროა იგივე სამუშაოთა ჩატარება, რაც მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების დათვლისას.

**ტენდერის წესით მიმწოდებლის შერჩევის დროს**, შესყიდვა უნდა მოხდეს საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" დადგენილი წესით. ტენდერის თავდაპირველ ღირებულებად უნდა განისაზღვროს მომსახურების მიწოდების წლიური საპროგნოზო მოცულობა და გაიმარჯვებს ის მომწოდებელი, რომელიც ყველაზე დაბალ ფასს შესთავაზებს მუნიციპალიტეტს. სოციალური მომსახურების სატენდერო წესით შესყიდვას თან ახლავს რისკი, რომ ყველაზე დაბალი ფასი ვერ უზრუნველყოფს მიწოდებული მომსახურების მაღალ ხარისხს. ასევე **მნიშვნელოვანია მომსახურების სტანდარტის დოკუმენტის სრულფასოვანი გაცნობა, რათა სწორად ჩამოყალიბდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები სერვისის მიმწოდებლებისთვის.**

**ვაუჩერული სისტემის ამოქმედების შემთხვევაში**, მომსახურების მიწოდების ღირებულება ერთ ერთეულზე ასახულია ვაუჩერის ღირებულებაში და იგი გაიცემა ბენეფიციარზე, რომელიც თავად ირჩევს, თუ რომელ მიმწოდებელთან შეიძინოს მომსახურება. როგორც წესი, ვაუჩერი ერთწლიანი და პირობითია (ანულირდება გამოუყენებლობის შემთხვევაში და ა.შ). **ვაუჩერის სისტემის მოქმედების დროს დგება მიწოდებული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი, შესაბამისად, აუცილებელია მიმწოდებელი ორგანიზაციების ლიცენზირება/აკრედიტაციის სისტემის არსებობა**. აქ აუცილებელია, განიმარტოს, რომ ვაუჩერის სისტემა არ არის მომსახურების ღირებულების გათვლის ცალკე მეთოდი. ვაუჩერის შემთხვევაში გათვლა ხდება 1 ბენეფიციარზე და მრავლდება ბენეფიციართა საერთო რაოდენობაზე პროგრამის მთლიანი ღირებულების დასადებად. ვაუჩერი არის მომსახურების ღირებულების გაცემის ფორმა, როცა თანხა უშუალოდ მიბმულია კონკრეტულ ბენეფიციარზე და ის წყვეტს, თუ რომელი ავტორიზებული მომწოდებლიდან შეიძინოს მომსახურება. ვაუჩერი შეიძლება მოიცავდეს მომსახურების სრულ ღირებულებას ან მის ნაწილს (მაგალითად 75%-იან დაფინანსებას ბიუჯეტიდან და 25% თანადაფინანსებას ბენეფიციართა მიერ)

როგორც წესი, სოციალურ სფეროში მოქმედი **მიმწოდებლების აკრედიტაცია** ხდება ამ სფეროს მართვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ. ვაუჩერული სისტემის პირობებში ასევე მნიშვნელოვანია მომსახურების ხელმისაწვდომობა. თუ ვაუჩერით სარგებლობა რამდენიმე ასეული კილომეტრით დაცილებულ მიმწოდებელთანაა შესაძლებელი, მაშინ ცხადია, რომ ასეთი ვაუჩერი მომსახურების ხარისხიან მიღებას ვერ უზრუნველყოფს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას, თუ ბაზრიდან მომსახურების შესყიდვის რომელი მეთოდი იყოს გამოყენებული არსებული პირობებისა და კონიუნქტურის გათვალისწინებით. თუკი მომსახურების მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტის მიერ, მაშინ ცხრილი 1 მთლიანად უნდა გადავიდეს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის ასიგნებათა ცხრილში. ბაზრიდან მომსახურების შესყიდვისას შეიძლება მიეთითოს მხოლოდ მომსახურების ღირებულება.

## ასიგნებათა ასახვა ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური მის მიერ შემუშავებული მომავალი წლების საფინანსო რესურსის საპროგნოზო მაჩვენებლებს ინფორმაციის სახით წარუდგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს. საფინანსო სამსახური, მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მიერ შედგენილი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მხედველობაში მიღებით, სამუშაო ჯგუფში ასევე წარადგენს საკუთარ პროგნოზს მომავალი წლების გადასახდელების განაწილების შესახებ. სამუშაო ჯგუფი იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების ფარგლებში, **არაუგვიანეს 15 აგვისტოსი**, ამზადებს წინადადებებს ასიგნებების ზღვრული მოცულობების განსაზღვრის შესახებ. ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვრება მომავალი და +3 წლისთვის წლიური ბიუჯეტის პრიორიტეტების მიხედვით. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებისა და წლიური ბიუჯეტის ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვრება მერის პრიორიტეტების დოკუმენტით.

ადგილობრივი ბიუჯეტის მე-3 თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების შესახებ. ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ასიგნებებს როგორც ყველა პროგრამასა და ქვეპროგრამაზე, ასევე ასიგნებებს პროგრამული კოდი 01 00 პრიორიტეტიდან დაფინანსებული ყველა ღონისძიებებისათვის. მაგ. სარეზერვო ფონდი, ვალდებულებების მომსახურება და ა.შ. **სოციალური პროგრამები ადგილობრივ ბიუჯეტში აისახება 06.02 პროგრამული კოდის ქვეშ.**

| | |
|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა |
| 06 02 | სოციალური დაცვა |

საქართველოს მთავრობის №283-ე დადგენილების მეოთხე დანართში წარმოდგენილ პროგრამული ბიუჯეტის ფორმატს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, პროგრამათა რაოდენობა და მათი რიგითობა, ისევე როგორც ქვეპროგრამებისა, შეიძლება შეიცვალოს მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით. მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ **პროგრამები ნათლად და მკაფიოდ იყოს ერთმანეთისგან გამიჯნული, ასევე პროგრამები უნდა იყოს დაშლილი ქვეპროგრამებად**. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია, გაერთიანდეს ერთი პრიორიტეტის, ან ერთი პროგრამის ქვეშ მოქცეული პროგრამები ან ქვეპროგრამები. ასეთი შემთხვევა შესაძლებელია იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება მოცემული პროგრამების/ქვეპროგრამების ხარჯების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მაგ.: თუ სოციალურ მომსახურებას

ახორციელებს ააიპ და ვერ ხერხდება ააიპ-ის ადმინისტრაციული ხარჯებისა და მის მიერ ჩატარებული შშმ პირთა დახმარების ღონისძიებების ხარჯების გამიჯვნა. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია შშმ პირთა დაწესებულებების ხელშეწყობა (06 02 0X) და შშმ პირთა აბილიტაციის ღონისძიებები (06 02 0XX) ქვეპროგრამების გაერთიანება ერთ ქვეპროგრამად.

იმ შემთხვევაში, თუ არ არის შესაძლებელი გაიმიჯნოს სხვადასხვა ქვეპროგრამას მიკუთვნებული ხარჯები და ეს ქვეპროგრამები წარმოადგენენ სხვადასხვა პროგრამის ქვეპროგრამას, მაშინ ამ სახის ხარჯი უნდა გატარდეს იმ ქვეპროგრამაში, რომლის მიზნების შესრულებისათვის მეტი რესურსი იხარჯება. ასეთი შემთხვევა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიუჯეტიდან ასიგნებები იხარჯება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებით კერძო კომპანიის მიერ. თუ ამ სახის სამუშაოებს ახორციელებს მუნიციპალური ააიპ, სსიპ ან შპს, ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს ასიგნებების გამიჯვნა და შესაბამის პროგრამას/ქვეპროგრამას მიკუთვნება.

ბიუჯეტის მესამე თავში 06.02. პროგრამული კოდის ქვეშ ქვეპროგრამებზე გამოყოფილი ასიგნებანი უნდა აისახოს შემდეგი ცხრილით

| პროგ-რამული კოდი | დასახელება | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| 06 02 | სოციალური მხარდაჭერის პროგრამა | 984 000 | 986 000 | 1 022 000 | 1 054 000 |
| 06 02 01 | სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება | 60 000 | 66 000 | 70 000 | 70 000 |
| 06 02 02 | დღის ცენტრის დაფინანსება | 45 000 | 45 000 | 45 000 | 45 000 |
| 06 02 03 | დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება | 15 000 | 20 000 | 20 000 | 20 000 |
| 06 02 04 და ა.შ. | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება | 215 000 | 215 000 | 225 000 | 230 000 |

ამ ცხრილს უნდა მოსდევდეს მთავრობის 283-ე დადგენილების მეოთხე დანართში მოცემული ქვეპროგრამის აღწერის ფორმა, რომლის მეექვსე ხაზში მიეთითება მუნიციპალური ბიუჯეტიდან ქვეპროგრამაზე გამოყოფილი ასიგნებანი, ხოლო მეშვიდე ხაზში მიეთითება ქვეპროგრამის მთლიანი ღირებულება. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ მთავრობის 283-ე დადგენილებაში მოცემულ ფორმებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ და არის მთელი რიგი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები, სადაც ქვეპროგრამების აღწერის ფორმაში პროგრამის ღირებულება მითითებული არ არის და იგი მხოლოდ ასიგნებათა ცხრილში იძებნება.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდამჭერი პროგრამების დაგეგმვის სპეციფიკა**

ნაწილი IV

# მუნიციპალური პროგრამების მონიტორინგი და შეფასება



პროგრამების დაგეგმვის სისწორისა და შესრულების კონტროლი ხორციელდება პროგრამების **მონიტორინგისა** და **შეფასების** შედეგად. ამასთან, პროგრამების შესრულების **მონიტორინგი** საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტს, რომ შეამოწმოს ქვეპროგრამის მიმდინარეობა (შესრულების პროგრესი), სერვისის მომწოდებლების მიერ ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება, ხოლო პროგრამების შეფასება აანალიზებს დაგეგმვის სისწორეს, ზომავს, თუ რამდენად მიიღწევა პროგრამის მიზანი, რამდენად კმაყოფილია მოსარგებლე.

მონიტორინგის და შეფასების შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ის გამოწვევები, რაც ვერ იქნა გათვალისწინებული პროგრამების დაგეგმვის დროს, გამოიკვეთოს პროგრამების/ქვეპროგრამების გაუმჯობესების, გაფართოების ან ადგილობრივ გარემოებებზე ადაპტირების საჭიროება და შესაძლებლობები. სწორედ ამიტომ, მუნიციპალური სოციალური პროგრამების მონიტორინგი და შეფასება არის სოციალური პროგრამირების ციკლის მნიშვნელოვანი (საბოლოო) ეტაპი და მოითხოვს მეთოდოლოგიურ, თანმიმდევრულ და კომპლექსურ მიდგომას პროცესისადმი.

## <u>მუნიციპალური სოციალური პროგრამების მონიტორინგის და შეფასების პრინციპები</u>

პროგრამების მონიტორინგის და შეფასების პროცესი უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს და მიდგომებს:

- პერიოდულობა
- მიუკერძოებლობა და ობიექტურობა
- მტკიცებულებაზე დამყარებული შეფასება
- ინკლუზიურობა
- გამჭვირვალობა
- პერსონალური მონაცემების დაცვა

## <u>რას გულისხმობს სოციალური პროგრამების მონიტორინგი და შეფასება?</u>

პროგრამა არის პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში, ერთი საბოლოო მიზნის მისაღწევად. როგორც წესი, პროგრამა შედგება რამდენიმე ქვეპროგრამისაგან, რომელიც ემსახურება კონკრეტული ამოცანის შესრულებას. **მონიტორინგის** მიზანია, შევაფასოთ რამდენად სრულდება ქვეპროგრამით დასახული ამოცანა, ხოლო **შეფასების** დანიშნულებაა დავინახოთ და გავაანალიზოთ პროგრამით მიღწეული საშუალოვადიანი შედეგი.

***მონიტორინგი არის ქვეპროგრამის შესრულების მართვის და ზედამხედველობის ინსტრუმენტი და ტარდება პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების ეტაპზე.***

**მონიტორინგის მიზანია,** შემოწმდეს სერვისის მიწოდების შესაბამისობა წინასწარ დაგეგმილ რაოდენობასთან და ხარისხთან/დადგენილ სტანდარტებთან. მნიშვნელოვანია, რომ **ქვეპროგრამის დიზაინის და შემუშავების ეტაპზე მკაფიოდ იყოს გაწერილი შესრუ-**

**ლების (რაოდენობრივი, ხარისხობრივი) ინდიკატორები, რადგან ქვეპროგრამის შესრულების კონტროლი ხდება სწორედ ამ ინდიკატორებთან მიმართებით**.

მონიტორინგის ამოცანაა:

- ქვეპროგრამით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების თაობაზე ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- შეგროვებული მონაცემების საფუძველზე მიღწევებისა და გამოწვევების **იდენტიფიცირება**;
- მტკიცებულებებზე დაყრდნობით პროგრამის/ქვეპროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციების ინფორმირება.

მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია როგორც **მიმდინარე ქვეპროგრამების კორექტირებისთვის, ასევე მომავალი წლის ქვეპროგრამების გაუმჯობესებული დაგეგმვისთვის.**

როგორც წესი, **მონიტორინგი** ტარდება თავად მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების მიერ. მონიტორინგის მიზნისთვის სასურველია შეიქმნას მცირე **სამუშაო ჯგუფი** (5-6 თანამშრომლისგან შემდგარი), რომელიც დაკომპლექტებული იქნება იმ მოხელეებით, ვინც ჩართული იყო პროგრამების შემუშავებაში – სოციალური სამსახურის, ბავშვის უფლებათა დაცვის სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო და იურიდიული სამსახურის  წარმომადგენლები.

განასხვავებენ მონიტორინგის რამდენიმე სახეს, მათ შორის: **პროცესის მონიტორინგი, ტექნიკური მონიტორინგი, ხარისხის მონიტორინგი, ფინანსური მონიტორინგი** და ა.შ.  წინამდებარე მეთოდოლოგია იყენებს პროცესის მონიტორინგის, ხარისხის მონიტორინგის, ასევე, ფინანსური შესრულების მონიტორინგის მიდგომებს.

თითოეულ მუნიციპალურ პროგრამას აქვს როგორც საშუალოვადიანი, ასევე გრძელვადიანი მიზანი, რომლის მისაღწევადაც იგეგმება კონკრეტული ქვეპროგრამები და მათი ღონისძიებები. აღნიშნული ქვეპროგრამები გათვლილია კონკრეტული ამოცანის მიღწევაზე, ხოლო პროგრამის საშუალოვადიანი შედეგი იზომება მისი შემადგენელი ქვეპროგრამების ამოცანების შესრულების ჯამით. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, **შეფასების მიზანია,** ხელი შეუწყოს მუნიციპალური სოციალური პროგრამების საშუალოვადიანი  შედეგის გაზომვას და პროგრამის შემადგენელი კომპონენტების (ქვეპროგრამების) განახლება-გაუმჯობესებას.

***შეფასება არის პროგრამის შედეგების გაანალიზების, მისი განახლების და მოდერნიზაციის ინსტრუმენტი.***

პროგრამის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს **პროგრამის მიზნისა და მისი შესრულების ინდიკატორების სწორად ჩამოყალიბებაზე,** რადგან შემდგომში სწორედ ეს ინდიკატორები გვაძლევს საშუალებას, გაიზომოს დანერგილი პროგრამის შესრულება, მისი ეფექტიანობა და მიღებული შედეგი. შესაბამისად, პროგრამის **შეფასება** გულისხმობს ქვეპროგრამების ამოცანების შესრულების ანალიზის შედეგად იმის დადგენას, თუ რამდენად მიაღწია პროგრამამ დაგეგმილ საშუალოვადიან შედეგებს/მიზანს, როგორია პროგრამის სავარაუდო გავლენა  მიზნობრივ ჯგუფზე და რამდენად სწორად არის შერჩეული პროგრამის შემადგენელი ქვეპროგრამები (ხომ არ არის საჭირო ქვეპროგრამის გაუქმება, მოდიფიკაცია, ან ახალი ქვეპროგრამის დამატება).

პროგრამების/ქვეპროგრამების **შეფასების** პროცესი გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას შემდეგ საკითხებზე:

რომელი პროგრამა/ქვეპროგრამა მუშაობს?

- რომელი პროგრამა/ქვეპროგრამა არ მუშაობს და რატომ?
- ხომ არ არის შესაცვლელი პროგრამის შემადგენელი კომპონენტები (ქვეპროგრამები)?
- რა სავარაუდო გავლენა აქვს პროგრამას სამიზნე ჯგუფზე (სადაც ამის დადგენა შესაძლებელია)?

პროგრამის **შეფასება** შეიძლება ჩატარდეს როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომლების (სამუშაო ჯგუფის), ასევე, მოწვეული ექსპერტებისა თუ დაქირავებული საკონსულტაციო ფირმების მიერ. თუ პროგრამის შეფასებას აკეთებენ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, შეფასების პროცესში შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და/ან ექსპერტების მოწვევაც.

შენიშვნა: პროგრამის ფინანსური შესრულების და მენეჯმენტის შეფასება ხორციელდება შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, ხოლო შერჩეულ შემთხვევებში – სახელმწიფო აუდიტის მიერ.

მუნიციპალური პროგრამების მონიტორინგის და შეფასების პროცესი კრავს სოციალური პროგრამირების ლოგიკურ ჯაჭვს – **საჭიროებების იდენტიფიცირება →პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება→პროგრამების შეფასება და კორექტირება.**

## სოციალური პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი

როგორც აღვნიშნეთ, მუნიციპალური სოციალური პროგრამების შესრულების მონიტორინგი და შეფასება არის კომპლექსური და შრომატევადი პროცესი. პროგრამების როგორც მონიტორინგის, ასევე შეფასებისას უმჯობესია გამოყენებული იყოს **მრავალმხრივი მიდგომა** – ინფორმაცია მივიღოთ სხვადასხვა წყაროებიდან (მაგ.: მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური, სერვისის მიმწოდებლები, მოსარგებლეები, არასამთავრობო სექტორი), რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გაერთიანებით.

მრავალმხრივი მიდგომის უპირატესობებია:

- ობიექტურად აფასებს, რამდენად სწორად ხორციელდება დაგეგმილი პროგრამა/ქვეპროგრამა და რამდენად აღწევს დასახულ მიზანს;
- აფასებს სოციალური პროგრამების ეფექტიანობას და რელევანტურობას;
- გამოკვეთს მიმართულებებს სოციალური პროგრამების გაუმჯობესებისთვის;
- ხელს უწყობს სოციალური პოლიტიკის მონაწილეობით დაგეგმვას;
- ქმნის მტკიცებულებას სოციალური პოლიტიკის გავლენის თაობაზე.

***საჭირო მონაცემების/ინფორმაციის მოგროვების მეთოდები და ტექნიკა, რომლებიც მოცემულია წინამდებარე გაიდლაინში, შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც პროგრამების მონიტორინგის, ასევე შეფასებისას.***

**მონიტორინგის პროცესი.** ქვეპროგრამის განხორციელების მონიტორინგი მიმდინარეობს ქვეპროგრამის შესრულების პარალელურად, გარკვეული პერიოდულობით და წინასწარ დადგენილი გრაფიკით. მონიტორინგისთვის აუცილებელია ქვეპროგრამის დოკუმენტაციის, ფინანსური გაანგარიშების და ლიმიტების, არსებული სტანდარტების, საკანონმდებლო

ბაზის შესწავლა და იმის ანალიზი, თუ რამდენად შეესაბამება ქვეპროგრამის განხორციელების მიმდინარეობა ამ დოკუმენტებში მოცემულ პროცესებს, ზღვრულ დანახარჯებს და სტანდარტებს, თუ რამდენად იცავენ მონაწილე მხარეები უფლებამოსილებათა ჩარჩოებს.

ქვეპროგრამის მონიტორინგის ამოცანაა, თავიდან აიცილოს გადახრები ქვეპროგრამის დამტკიცებული მიმდინარეობისგან და, საჭიროების შემთხვევაში, ოპერატიულად გაასწოროს გადაცდომები. მონიტორინგი არის მენეჯმენტის ინსტრუმენტი, იგი არ აძლევს სამართლებრივ შეფასებას აღმოჩენილ ფაქტებს და პროცესებს. ცალკე გამოიყოფა ფინანსური მონიტორინგის ნაწილი, რომელიც მოიცავს ფინანსური ტრანზაქციების შერჩევით შესწავლას და საკასო შესრულების კონტროლს. ფინანსური მონიტორინგი ტარდება გარკვეული პერიოდულობით, ფინანსური მართვის ზემდგომი ორგანოს მიერ (მაგალითად, ბაღების გაერთიანების ფინანსურ მონიტორინგს ახორციელებს მუნიციპალიტეტის ფინანსური სამსახური).

მონიტორინგის ობიექტია არა თავად ქვეპროგრამა, არამედ **მისი განხორციელება** და შესაბამისად – ქვეპროგრამის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო ან ორგანიზაცია. მონიტორინგის შედეგად შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციული აქტი, წერილობითი ინსტრუქცია ან თუნდაც სიტყვიერი მითითება, რომელთა იგნორირება შეიძლება იყოს დისციპლინარული ან სამართლებრივი პასუხისმგებლობის საგანი. მონიტორინგი უნდა მიმდინარეობდეს ისე, რომ არ შეაფერხოს ქვეპროგრამის განხორციელება და/ან განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს (ან კერძო სამართლის იურიდიული პირის) საქმიანობა.

ქვეპროგრამების შესრულების მონიტორინგი სასურველია ჩატარდეს ორ ეტაპად: **პირველ ეტაპზე** უნდა შემოწმდეს ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობა მისი განხორციელების დაწყებიდან 6 თვის შემდეგ, ხოლო **მეორე ეტაპზე** ხდება საბოლოო შესრულების გაზომვა ქვეპროგრამის განხორციელების წლიური მონაცემების საფუძველზე. პროცესის ასეთი განაწილება საშუალებას გვაძლევს პირველ ეტაპზე იდენტიფიცირდეს ქვეპროგრამის შესაძლო გამოწვევები/ხარვეზები (მაგალითად, ბენეფიციართა/მოსარგებლეთა წრე დასაზუსტებელია, ქვეპროგრამაზე მოთხოვნა დაგეგმილზე დაბალი ან მაღალია, გარკვეული გარემოებები უშლის ხელს ქვეპროგრამის განხორციელებას, ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება ხდება უხარისხოდ/არაჯეროვნად და ა.შ.), გამოიკვეთოს არსებული ქვეპროგრამის **მიწოდების გაუმჯობესების ან გაფართოების საჭიროება და შესაძლებლობები.**

**მნიშვნელოვანია: პირველადი შესწავლისას მიღებული მონაცემები გათვალისწინებული უნდა იყოს მიმდინარე ქვეპროგრამის ცვლილების, ან/და მომავალი წლის პროგრამის/ქვეპროგრამის დაგეგმვისას.**

მონიტორინგის **მეორე ეტაპი** საშუალებას მოგვცემს, შევაჯამოთ შესრულების წლიური მაჩვენებლები, გავზომოთ მიღებული შედეგები და შევიტანოთ ეს მონაცემები სოციალური პროგრამების შესრულების წლიურ ანგარიშში, რომელიც შეფასებისთვის წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მონიტორინგის ორივე ეტაპის შედეგები შეიტანება ერთიან ცხრილში.

პროგრამის ფინანსური და ადმინისტრაციული მონიტორინგის და მენეჯმენტის შეფასების ინსტრუმენტია აუდიტი, რომელიც ამოწმებს არა მხოლოდ ხარჯების გეგმის შესრულებას, არამედ პროგრამის ფინანსურ უკუგებას, ფინანსური მართვის სისწორეს, ისევე, როგორც მენეჯმენტის ეფექტიანობას. აუდიტი თავის დასკვნაში წარმოაჩენს და აფასებს აღმოჩენილი ფაქტობრივი გარემოებების გავლენას პროგრამის საბოლოო შედეგებზე და სთავაზობს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორების გზებს. შეფასების ანგარიშისგან განსხვავებით, აუდიტის დასკვნა შეიძლება გამოყენებული იყოს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგომად.

**შეფასების პროცესი**. პროგრამების შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის მიზნის მიღწევა გათვლილია გრძელვადიან ან საშუალოვადიან პერიოდზე, შესაბამისად, მისი შემადგენელი ქვეპროგრამების შესრულების ანალიზის საფუძველზე ვიღებთ ინფორმაციას პროგრამის შუალედური (და არა საბოლოო) შედეგის შესახებ. პროგრამის შემადგენელი ქვეპროგრამების მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციის შეჯამების და ანალიზის საფუძველზე ვადგენთ, რამდენად შედეგიანია თითოეული ქვეპროგრამა და მისი ღონისძიებები, რამდენად სწორად არის შერჩეული პროგრამის კომპონენტები (ქვეპროგრამები) და ასევე, რამდენად ეფექტიანია ეს ქვეპროგრამები პროგრამის საშუალოვადიანი მიზნის მისაღწევად.

**პროგრამის/ქვეპროგრამის შეფასების პროცესისას უნდა მოვიპოვოთ და დავამუშაოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:**

- შესრულების შედეგები (ქვეპროგრამების მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია)
- პროვაიდერების ანგარიშები (სერვისის მიმწოდებლების მიერ მოწოდებული ოფიციალური ანგარიშები)
- დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები პროგრამის ეფექტიანობის შესახებ (ბენეფიციარების/მოსარგებლეების, დამოუკიდებელი ექსპერტების მოსაზრებები ქვეპროგრამების ეფექტიანობის შესახებ)
- დამატებითი ფაქტები (საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციართა/მოსარგებლეთა ინდივიდუალური შემთხვევების, მ.შ. საჩივრების შესწავლა).

პროგრამების მონიტორინგისა და შეფასებისთვის საჭირო მონაცემების მოპოვების მეთოდების შერჩევა ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის ქვეპროგრამაა შესაფასებელი და რა ინდიკატორებია განსაზღვრული ქვეპროგრამის შესრულების გასაზომად შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდეგი ტექნიკა:

- **დაკვირვება/ანალიზი** – ქვეპროგრამის განხორციელების სტატისტიკური (რაოდენობრივი) მონაცემისა და ბენეფიციართა/მოსარგებლეთა წრის ანალიზი. ამ მეთოდით ფასდება, როგორია მოთხოვნა ქვეპროგრამაზე და რამდენად სწორად არის დაგეგმილი მოსარგებლეთა რაოდენობა, ხომ არ ჩამოვრჩებით ან ვაჭარბებთ მოსარგებლეთა დაგეგმილ ოდენობას? რამდენად სწორად არის შედგენილი საპროგნოზო ბენეფიციართა წრე? ხომ არ იკვეთება რამე განსაკუთრებული ტენდენცია (მაგალითად, თუ ქვეპროგრამით სარგებლობს მხოლოდ საპროგნოზო ბენეფიციართა ნაწილი, ვთქვათ, ერთი ასაკობრივი ჯგუფის, ერთი სქესის ან ერთი/რამდენიმე ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი. ეს ნიშნავს, რომ გასაანალიზებელია ამის გამომწვევი მიზეზი: შესაძლებელია, მოსახლეობის ნაწილი არ ფლობდეს ინფორმაციას ქვეპროგრამის შესახებ, ვთქვათ, ენობრივი ბარიერის გამო. შესაძლებელია, სერვისზე ხელმისაწვდომობა გართულებულია კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები პოტენციური ბენეფიციარებისთვის, ვთქვათ, მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის, არაადაპტირებული გარემოს ან სხვა გარემოებების გამო. დაკვირვება ასევე, შესაძლებელია, მოიცავდეს წინა წლებში ანალოგიური ან მსგავსი ქვეპროგრამის შესრულებისა და შედეგების შედარებასაც (***შენიშვნა:*** *მეთოდი გამოიყენება როგორც* ***მონიტორინგის****, ასევე* ***შეფასების*** *პროცესში).*

- **პროგრამის შესრულების ინდიკატორების ანალიზი** წინასწარ განსაზღვრული მონაცემების და ინფორმაციის გამოყენებით, რისთვისაც დადგენილი უნდა იყოს ასეთი მონაცემების და ინფორმაციის წყაროები, ინდიკატორები, მათი ვალიდურობის და სანდოობის შემოწმების მეთოდი და წესი *(**შენიშვნა**: მეთოდი გამოიყენება **შეფასების** პროცესში)*;
- **მიწოდებული მომსახურების ხარისხის შემოწმება** – სერვისის მიმწოდებლების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება შესაძლებელია მიმწოდებელთან ვიზიტით, მათ მიერ წარმოდგენილი პერიოდული ანგარიშების შესწავლით. უნდა დადგინდეს, რამდენად დაცულია სერვისის მიწოდების სტანდარტი/ხარისხი: პირობები სადაც ხორციელდება სერვისი, მომსახურების სისრულე და ხანგრძლივობა, პერიოდულობა, კვალიფიციური პერსონალის ჩართულობა *(**შენიშვნა**: მეთოდი გამოიყენება **მონიტორინგის** პროცესში)*;
- **ჩაღრმავებული ინტერვიუ სერვისის მიმწოდებლებთან** – მნიშვნელოვანია სერვისის მიმწოდებლებთან კომუნიკაცია, რათა მოვისმინოთ მათი აზრი  სერვისის მიწოდების პროცესში არსებული გამოწვევების, აგრეთვე მიღწეული შედეგების შესახებ. სერვისის მომწოდებლებთან კომუნიკაციისას უნდა გავითვალისწინოთ ინტერესთა კონფლიქტის და პროცესის ტენდენციურად შეფასების შესაძლებლობაც, თუმცა, მათი დაკვირვება და არგუმენტირებული მიგნებები ანგარიშგასაწევია და შესაძლებელია შეიცავდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას ქვეპროგრამის გასაუმჯობესებლად *(**შენიშვნა**: მეთოდი გამოიყენება როგორც **მონიტორინგის**, ასევე **შეფასების** პროცესში)*;
- **ბენეფიციართა/მოსარგებლეთა ფოკუს-ჯგუფი** – ეს არის ქვეპროგრამების განხორციელებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო. ფოკუს-ჯგუფი უნდა ჩატარდეს ყოველი კონკრეტული ქვეპროგრამის (განსაკუთრებით, მომსახურების მიწოდების) უშუალო მოსარგებლე ბავშვების და მათი კანონიერი წარმომადგენლების მონაწილეობით. მონაწილეთა შერჩევა უნდა მოხდეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ქვეპროგრამით მოსარგებლეთა ბაზიდან. სასურველია, ფოკუს-ჯგუფი ჩატარდეს ნეიტრალურ ტერიტორიაზე (არა სერვისის მიმწოდებელთან), წინასწარ შედგენილი კითხვების საშუალებით. ფოკუს-ჯგუფის ჩატარების პრინციპებია ნებაყოფლობითობა, კონფიდენციალურობა, ინფორმირებული თანხმობა და მოსაზრების გამოხატვის თავისუფლება. მნიშვნელოვანია, რომ კითხვების ნაწილი განკუთვნილი იყოს უშუალოდ ბავშვებისთვის, ხოლო ნაწილი – მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. კითხვები უნდა იყოს ფორმულირებული იმდაგვარად, რომ ფოკუს-ჯგუფის შედეგად გამოიკვეთოს კონკრეტული ქვეპროგრამის ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, ნაკლოვანებები და მისი გამომწვევი მიზეზები, გაუმჯობესების შესაძლებლობები, მიღწეული შედეგები (***შენიშვნა**: მეთოდი გამოიყენება როგორც **მონიტორინგის**, ასევე **შეფასების** პროცესში*);
- **კმაყოფილების კითხვარი** – იმ ქვეპროგრამის შესაფასებლად, რომლისთვისაც არ ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი, ან ფოკუს-ჯგუფის შედეგად მიღებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებითი რაოდენობრივი მონაცემებით გამყარებას, შესაძლებელია კმაყოფილების მცირე კვლევის ჩატარება წინასწარ შემუშავებული მარტივი კითხვარის მეშვეობით. კვლევაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ კონკრეტული პროგრამის/ქვეპროგრამის მოსარგებლეები. კითხვარი შეიძლება შეიცავდეს დახურულ, ნახევრად

დახურულ ან/და ღია კითხვებს, რომელთა საშუალებითაც დადგინდება ქვეპროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, გავლენა მოსარგებლეზე, ქვეპროგრამის ნაკლოვანებები და მათი გამომწვევი მიზეზები, გაუმჯობესების შესაძლებლობები, მიღწეული შედეგები. რესპონდენტების შერჩევა უნდა განხორციელდეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, წარმომადგენლობითობის მინიმალური ზღვარი არის 1:10 (პირობითად, რეგისტრირებული 100 მოსარგებლიდან გამოიკითხება მინიმუმ 10 მოსარგებლე) *(**შენიშვნა**: მეთოდი გამოიყენება როგორც **მონიტორინგის**, ასევე **შეფასების** პროცესში)*;

- **უკუკავშირი სერვისის მიმწოდებელთან** – სერვისის მიწოდების პირობად შესაძლებელია თავიდანვე განისაზღვროს პროვაიდერისთვის მოსარგებლეების მხრიდან ანონიმური უკუკავშირის წესის დანერგვა. მაგალითად, როდესაც მოსარგებლეები სერვისის ხარისხს აფასებენ ანონიმურად, სერვისის მიწოდების ადგილას განთავსებულ სპეციალურ ყუთში შეფასების შევსებული ფორმის განთავსებით (ამ ფორმით, სერვისის მიმწოდებელიც თავიდანვე საქმის კურსშია, რომ მოსარგებლეთა კმაყოფილება მნიშვნელოვანი საკითხია მუნიციპალიტეტისთვის). *(**შენიშვნა**: მეთოდი გამოიყენება როგორც **მონიტორინგის**, ასევე **შეფასების** პროცესში)*;
- **ფინანსური შესრულების ანალიზი** – მნიშვნელოვანია, შეფასდეს მიმდინარე ფინანსური შესრულება, რამდენად საკმარისია (ან ზედმეტი ხომ არ არის) ქვეპროგრამის წლიური თანხა. შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ ქვეპროგრამაზე მოთხოვნა დაგეგმილზე ნაკლებია, ან დაგეგმილზე მეტია. ასეთ შემთხვევაში საჭიროა გადაიხედოს ქვეპროგრამა და მოხდეს შესაბამისი კორექტირება *(**შენიშვნა**: მეთოდი გამოიყენება **მონიტორინგის** პროცესში)*.

როგორც მონიტორინგის, ასევე შეფასებისას, სამუშაო ჯგუფის მიერ საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციის მოგროვების შემდეგ იწყება მონაცემების ანალიზი. ანალიზი უნდა განხორციელდეს:

- კონკრეტული **ქვეპროგრამის დონეზე** (როგორც პირველადი (6 თვის) და საბოლოო მონიტორინგისას, ასევე შეფასებისას);
- **პროგრამის დონეზე** (წლის შედეგების შეფასებისას);
- ადგილობრივი **სოციალური პოლიტიკის დონეზე** (რამდენიმე წლის შედეგების შეფასებისას) ეს სამომავლო პერსპექტივაში.

1. კონკრეტული **ქვეპროგრამის დონეზე** ძლიერი და სუსტი მხარეების, შესრულების მიმდინარეობის, გამოწვევების, შესაძლებლობებისა და შედეგების ანალიზი ემყარება ზემოაღნიშნული მეთოდებით შეგროვებულ ინფორმაციას. ქვეპროგრამის შუალედური შეფასება მოიცავს: **1) ინდიკატორების შესრულებას; 2) მოსარგებლეზე სავარაუდო გავლენის შეფასებას** (რამდენად დაკმაყოფილდა საჭიროება, გაუმჯობესდა ბავშვის და მისი ოჯახის მდგომარეობა, რამდენად რელევანტურია დახმარება); **3) გამოწვევების აღწერას** (რა აფერხებს, ართულებს ან უშლის ხელს პროგრამის განხორციელებას) და **4) რეკომენდაციებს გაუმჯობესებისთვის**.
2. **პროგრამის დონეზე** შეფასება ეფუძნება პროგრამის ყველა ქვეპროგრამის შესრულების ანალიზს და მოიცავს: **1) პროგრამის ინდიკატორების შესრულების შეფასებას**; **2) სამიზნე ჯგუფებისთვის საშუალოვადიანი შედეგის შეფასებას**; **3) გამოწვევების**

**აღწერას** (რამე კომპონენტი ხომ არ არის ზედმეტი ან პირიქით, აკლია) და **4) რეკომენდაციებს გაუმჯობესებისთვის**. გასათვალისწინებელია, რომ პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამების უმეტესობა არის საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ეფექტიანობისა და შედეგის შეფასებისას **გათვალისწინებული იყოს წინა წლების მონაცემებიც**.

3. **სოციალური პოლიტიკის მიმართულების ანალიზისას** (პოლიტიკის დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში) სასურველია, დადგინდეს სხვადასხვა პროგრამების კორელაცია და ურთიერთგავლენა. ამ კუთხით შედეგების ანალიზისთვის დაგვეხმარება შემდეგი კითხვები:
    1) ახდენს თუ არა და რა გავლენას ახდენს ერთი პროგრამის დანერგვა სხვა პროგრამის კონტექსტზე? აძლიერებს თუ ამცირებს შედეგებს?
    2) თანაბრად ხელმისაწვდომია თუ არა სოციალური პოლიტიკის განხორციელებით მიღებული სარგებელი მიზნობრივი ჯგუფის ყველა წევრისთვის?
    3) რა არის ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტი მიზნობრივ ჯგუფზე და გრძელვადიანი გავლენა მთლიანად ადგილობრივი საზოგადოების კეთილდღეობაზე.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დაიწერება ანგარიში, რომელშიც აისახება პროგრამის შეფასების შედეგები და რეკომენდაციები გაუმჯობესებისთვის.

## პროგრამის შეფასების ანგარიშის სტრუქტურა

| № | თავის დასახელება | რისგან უნდა შედგებოდეს თავი |
|---|---|---|
| 1 | შესავალი | • ინფორმაცია პროგრამის შესახებ;<br>• პასუხისმგებელი პირი/სამსახური;<br>• საანგარიშო პერიოდი;<br>• მონაცემთა წყარო (რა მეთოდებითაა მოძიებული მონაცემები, მაგ. ქვეპროგრამების მონიტორინგის მატრიცა);<br>• სხვა ტექნიკური საკითხები. |
| 2 | შეფასების მიგნებები | • ქვეპროგრამების მონიტორინგის მატრიცის მიხედვით ინდიკატორების (რაოდენობრივი/ხარისხობრივი) შესრულების საბოლოო მაჩვენებლის შეფასება;<br>• ქვეპროგრამების მონიტორინგის მატრიცით განსაზღვრული გამოწვევების შეფასება;<br>• ქვეპროგრამების მონიტორინგის მატრიცით განსაზღვრული რეკომენდაციების შეფასება;<br>• პროგრამის შესრულების პროგრესის აღწერა. |
| 3 | გამოწვევები | • ძირითადი პრობლემები შეჯამებული სახით;<br>• რისკები, რაც შეიძლება ამ პრობლემებმა გამოიწვიოს. |
| 4 | შეჯამება | • სამომავლო ნაბიჯები;<br>• რეკომენდაციები. |

**დანართი №1.** საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის დებულება

**დანართი №2.** საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის პირველადი აღრიცხვის ფორმა (2.1.) და შემაჯამებელი ფორმა (2.2.)

**დანართი №3.1**. საჭიროებათა კვლევის კითხვარი

**დანართი №3.2** კითხვარის მონაცემთა გაერთიანება

**დანართი №4.** საჭიროებათა კვლევის პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების ინსტრუქცია

**დანართი №5**. ქვეპროგრამების მონიტორინგის მატრიცა

**დანართი №6**. ფოკუს-ჯგუფური დისკუსიის გზამკვლევი

**დანართი №7** მცირე ინსტრუქცია რაოდენობრივი კვლევის ინტერვიუერებისთვის და თანხმობის ფორმა

**დანართი №8** ოჯახის მხარდამჭერი პრევენციული პროგრამების განვითარება



## მუნიციპალიტეტის მერის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
### ******** მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ***** მუნიციპალიტეტის საკრებულოს **** წლის ** ****** (თარიღი) #** დადგენილების ** მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეიქმნას ******** მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით, მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) *** *********** – **** მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე/პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალური სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

| ტელევიზორი (დიახ/ არა) | მობილური (დიახ/ არა) | მაცივარი (დიახ/ არა) | სარეცხის მანქანა (დიახ/ არა) | გაზქურა ან ელ. ღუმელი (დიახ/ არა) | წყლის გამაცხელებელი (დიახ/ არა) | გამათბობელი / ღუმელი (დიახ/ არა) | კომპიუტერი ანდა ლაპტოპი (დიახ/ არა) | მაგიდა და სკამები (დიახ/ არა) | ქსელში ჩართული ინტერნეტი (დიახ/არა) | | | ბაღი | სკოლა | ჯანდაცვა | პროფესიული სასწავლებელი | სხვა დაწესებულება | *სხვა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |

## ნაწილი III. ოჯახისა და ბავშვების ძირითადი საჭიროებები

| 3.1. პრიორიტეტიული საჭიროებები (მაქსიმუმ სამი მთავარი), რომლის დაკმაყოფილებაც უძნელდება | | | | | | | | | | * 0-2 წლის ასაკის ბავშვი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბალანსირებული / ჯანსაღი კვება (დიახ / არა) | პირადი ჰიგიენის ნივთები (დიახ / არა) | საცხოვრებლის ნივთები ან/და მეტყნ-ბითი მასალა (დიახ / არა) | ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (დიახ / არა) | ბინის ქირა (დიახ / არა) | კომუნალურების გადასახადი (დიახ/ არა) | საცხოვრებელი პირობები (დიახ / არა) | კულტურულ-გასართობი აქტივობები (დიახ/ არა) | არცერთი (დიახ / არა) | *სხვა | 3.2. ბაგა-ბაღის მომსახურების საჭიროება (დიახ / არა / მიჭირს პასუხის გაცემა) | *3.3. არის თუ არა ხელმი-საწვდომი ბაგა-ბაღის მომსახურება (დიახ/ არა / მიჭირს პასუხის გაცემა) | 3.4. კვებისა და ჰიგიენის ნივთებით უზ-რუნველყოფა (1=სრულად / 2=უმეტესწი-ლად / 3=ნა-წილობრივ / 4=იშვიათად / 5=არადროს) | 3.5. საწოლი ბავშვისთვის (დიახ / არა) |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |

## ნაწილი III. ოჯახისა და ბავშვების ძირითადი საჭიროებები

| * 2-5 წლის ასაკის ბავშვი | | | | | | | * 6-17 წლის ასაკის ბავშვი (მათ შორის მოზარდი / ახალგაზრდა) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3.6. ბაღში რეგისტრა-ცია და სიარული** (დიახ / არა) | *** 3.7. რა მიზეზით არ დადის ბავშვი ბაღში** (1=არ არის ბაღი სიახლოვეს / 2=ჯანმრთელობის მდგომარეობა / 3=ტრანსპორტირების სირთულე / 4=უკმაყოფილება ბაღის მომსახურებით / 5=არ მიმაჩნია მნიშვნელოვნად / 98=სხვა) | ***სხვა** | **3.8. ბაღის მომსახურების გაუმჯობესება** (1=კმაყოფილი ვარ / 2=ჰერსონალის კომპეტენცია / 3=ინფრასტრუქტურის მოწესრიგება / 4-კვების ხარისხი /5= აქტივობები / 6=ტრანსპორტირება / 98=სხვა | ***სხვა** | **3.4. კვებისა და ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა** (1=სრულად / 2=უმეტესწილად / 3=ნაწილობრივ / 4=იშვიათად / 5=არასა დროს) | **3.5. საწოლი ბავშვისთვის** (დიახ / არა) | **3.11. სკოლაში რეგისტრაცია და სიარული** (დიახ / ზოგი / არა) | ***3.12. სკოლაში არსიარულის მიზეზი** (1=საბაზო განათლება დაასრულა /2= ჯანმრთელობა / 3=ტრანსპორტირება / 4=სასკოლო ნივთების არქონა / 5=ჰიგიენის ნივთების არქონა / 6=არაადაპტირებული გარემო / 7=სტიგმა და ნეგატიური დამოკიდებულება / 8=შშმ ბავშვის საჭიროებების არ გათვალისწინება სკოლის მიერ / 9=ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა / 10=საოჯახო მეურნეობა ანდა დასქმება / 98=სხვა) | ***სხვა** | **3.13. სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა** (1=სრულად / 2=უმეტესწილად / 3=ნაწილობრივ / 4=იშვიათად / 5=არადროს) |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |

## ნაწილი III. ოჯახისა და ბავშვების ძირითადი საჭიროებები

| * 6-17 წლის ასაკის ბავშვი (მათ შორის მოზარდი / ახალგაზრდა) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3.14. სა-სკოლო კვება** (1=საჭმელი სახლიდან / 2=კვების თანხა სახლი-დან / 3=მუნ-ციპალური ვაუჩერი ან ბარათი / 4=არ ჭამს სკოლაში) | **3.15. მოზარდი გოგონას ჰიგიე-ნური ნივთებით უზრუნველყოფა** (1=არ არის შესაბამისი / ყოველთვის / 2=უმეტესწილად /3= ზოგჯერ / 4=იშვიათად / 5=არასდროს) | **3.16. სამეცა-დინო კუთხე** (დიახ / არა) | **3.17. საწოლი ბავ-შვებისთვის** (დიახ / არა) | **3.18. სკოლის-შემდგომ არ-ფორმალური განათლების აქტივობებში / წრეებში ჩართულობა** (დიახ / არა) | *** 3.19. სკოლის შემდგომ აქტივობებში არჩართვის ძირითადი მიზეზი** (1=დასახლებაში არ არის ხელმისაწვდომი /2= უფასოდ არ არის ხელმი-საწვდომი / 3=ტრანსპო-რტირების სირთულე / დაბალი ხარისხი / 4=ბა-ვშვის ინტერესებზე არაა მორგებული / 5=ინვენტა-რის სიძვირე / 98=სხვა | ***სხვა** | **3.20. მოზარდი, რომელსაც მე-9 კლასის მერე სკოლაში სწავლა აღარ გაუგრძე-ლებია** (დიახ / არა) | ***3.21. პროფესიულ განათლებსა და შრომით საქმიანობაში ჩართუ-ლობა** (1=არა / 2=დაიწყო და ვეღარ გააგრძელა სწავლა / 3=გადის გადა-მზადების კურსებს სახე-ლმწიფო პროგრამით / 4=გადის კურსებს კერძოდ / 5=დასაქმებულია კონ-ტრაქტით / 6=დასაქმებუ-ლია უკონტრაქტოდ) |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |

## ნაწილი III. ოჯახისა და ბავშვების ძირითადი საჭიროებები

| * 6-17 წლის ასაკის ბავშვი (მათ შორის მოზარდი / ახალგაზრდა) | | * 3.23. შშმ / სსმ ბავშვის სტატუსი (1=შშმ სტატუსის მქონე / 2=არა სტატუსის მქონე, მაგრამ აქვს მდგომარეობა / 3=სსმ ბავშვი) | * 3.24. ინკლუზიური სწავლება სკოლაში (1=სრულად / 2=ნაწილობრივ / 3=არა) | * 3.25. დამხმარე საშუალებების საჭიროება | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| * 3.22. მიუთითეთ ძირითადი მიზეზი პროფესიული განათლების ვერ მიღების (1=არ არის ხელმისაწვდომი / 2=დამატებითი ფინანსური რესურსების საჭიროება / 3=ტრანსპორტირების სირთულე / 4=დაბალი ხარისხი / 5=შშმ ახალგაზრდის საჭიროებები არ არის გათვალისწინებული / 98=სხვა) | *სხვა | | | ეტლი (დიახ/ არა) | საპროთეზო (დიახ/ არა) | სმენის აპარატი (დიახ/ არა) | კოხლეარული იმპლანტი (დიახ/ არა) | სმარტფონი (დიახ/ არა) | ყავარჯნები (დიახ/ არა) | თეთრი ხელჯოხი (დიახ/ არა) | გად. ჩარჩოები (დიახ / არა) | სათვალეები (დიახ / არა) | ჰიგიენური საშუალებები (დიახ/ არა) | სპეციფიკური მედიკამენტები (დიახ / არა) | *სხვა |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |

## ნაწილი III. ოჯახისა და ბავშვების ძირითადი საჭიროებები

| * 3.26. შშმ/სსმ ბავშვისთვის საჭირო მომსახურება, რომელზეც ხელი არ მიუწვდება | | | | | | | | | | | 3.27. ბავშვის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების თვით-შეფასება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადრეული განვითარება / ადრეული ჩარევა (დიახ /არა) | დღის ცენტრი (დიახ/არა) | ბინაზე მოვლა / შინ მოვლა (დიახ/არა) | ქცევითი თერაპია (დიახ / არა) | პერსონალური ასისტენტი (დიახ/არა) | რეაბილიტაცია / აბილიტაცია (დიახ/არა) | დამხმარე საშუალებები (დიახ/არა) | მედიკამენტები (დიახ/არა) | სამედიცინო მომსახურება (დიახ / არა) | მომსახურება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის (დიახ / არა) | *სხვა | 3.27.1. კვება (დიახ / ნაწილობრივ/არა) | 3.27.2. ჰიგიენა (დიახ / ნაწილობრივ/არა) | 3.27.3. ტანსაცმელი (დიახ / ნაწილობრივ/ არა) | 3.27.4. აცრები (დიახ / ნაწილობრივ/არა) | 3.27.5. სამედიცინო მომსახურება (დიახ / ნაწილობრივ/არა) | 3.27.6. მედიკამენტები (დიახ / ნაწილობრივ/არა) |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |

## ნაწილი III. ოჯახისა და ბავშვების ძირითადი საჭიროებები

| 3.27. ბავშვის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების თვითშეფასება | | | | | | | 3.28. ბავშვთა დაცვის აქტუალური საკითხი თემში | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.27.7. სათამაშოები (დიახ / ნაწილობრივ/არა) | 3.27.8. წიგნები (დიახ / ნაწილობრივ/არა) | 3.27.9. დღეების აღნიშვნა (დიახ / ნაწილობრივ/არა) | 3.27.10. გართობა-დასვენების აქტივობები (დიახ / ნაწილობრივ/არა) | 3.27.11. თანატოლებთან ურთიერთობა (დიახ / ნაწილობრივ/ არა) | 3.27.12. ერთად თამაში (დიახ / ნაწილობრივ/ არა) | 3.27.13. მოსმენა და საუბარი (დიახ / ნაწილობრივ/ არა) | ბავშვთა სიღარიბე (დიახ / არა) | ბავშვთა შრომა (დიახ / არა) | ადრეული ქორწინება (დიახ / არა) | ძალადობა (დიახ / არა) | ბულინგი (დიახ /არა) | განათლების დაბალი ხარისხი (დიახ / არა) | ბავშვთა მენტალური ჯანმრთელობა (დიახ / არა) | შშმ ბავშვების მდგომარეობა (დიახ / არა) | *სხვა |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |

| ნაწილი IV. პრიორიტეტული მხარდაჭერა და კომუნიკაციის შეფასება | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **4.1. პრიორიტეტიული მხარდაჭერა** *(ციფრებით ასახეთ მინიჭებული პრიორიტეტი)* | | | | | | | | | | | | | | | | **4.2. მუნიციპალიტეტისთვის მიმართვის გამოცდილება** (დიახ / არა) | ***4.3. ამ გამოცდილების შეფასება** (1=კარგი / 2=ნეიტრალური / 3=ცუდი) | **4.4. მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის სასურველი ფორმა** (1=ვიზიტი მერიაში / 2=ვიზიტი ჩემს ოჯახში / 3=ცხელი ხაზი / 4=წერილობითი / 5=ინტერნეტი / 98=სხვა) |
| პროფესიული გადამზადება | დასაქმება | ეკონომიკური საქმიანობა | სოფლის მეურნეობა | ფულადი დახმარება | ფსიქოლოგის მომსახურება | ტრენინგები / სწავლება მშობლებისთვის | საბინაო პირობების გაუმჯობესება | კვება და ჰიგიენა | ბაგა-ბაღის მომსახურება | წრეებსა და ცენტრებში ჩართულობა | შშმ ბავშვს სპეციალისტის დახმარება | დასვენება / განტვირთვა (შშმ) | მშობლის დახმარება ბავშვზე ზრუნვაში | სხვა | *სხვა | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# საჭიროებათა კვლევის პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების ინსტრუქცია

საჭიროებათა კვლევის ჩატარებისას მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს მოუწევთ პირის პერსონალური მონაცემებისა და პირადი ხასიათის ინფორმაციის მოძიება/დამუშავება. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი განხორციელდეს კანონის მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვით.

წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონს. ინსტრუქცია განკუთვნილია მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის და მისი მიზანია ხელი შეუწყოს საჭიროებათა კვლევის ჩატარების პროცესში რესპონდენტთა პერსონალური მონაცემების დაცვას.

## ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რა მნიშვნელობაც განმარტებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად. ტერმინთა განსხვავებული ინტერპრეტირება დაუშვებელია.

გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**პერსონალური მონაცემი** – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

**განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი** – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

**ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი** – მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იძლევა;

**ბიომეტრიული მონაცემი** – ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებული,

მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევის მახასიათებელთან (როგორიცაა, მაგალითად: სახის გამოსახულება, ხმის მახასიათებელი ან დაქტილოსკოპიური მონაცემები) დაკავშირებული მონაცემი, რომელიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა;

**გენეტიკური მონაცემი** – მონაცემთა სუბიექტის შეძენილი ან მემკვიდრეობით მიღებული გენეტიკური მახასიათებელი, რომელიც ბიოლოგიური მასალის ანალიზით მისი ფიზიოლოგიის ან ჯანმრთელობის შესახებ უნიკალურ ინფორმაციას იძლევა;

**მონაცემთა დამუშავება** – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

**მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავება** – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;

**მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავება** – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე;

**მონაცემთა ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავება** – მონაცემთა დამუშავება ავტომატური საშუალებებისა და არაავტომატური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით;

**მონაცემთა სუბიექტი** – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

**მონაცემთა სუბიექტის თანხმობა** – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება;

**მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა** – თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ;

**დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი** – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას (მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული პირი);

**თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები** – დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ორი ან ორზე მეტი პირი, რომლებიც ერთობლივად განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს;

**დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი** – ფიზიკური პირი,იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით.(მუნიციპალიტეტი) დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ

მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი;

**მონაცემთა მიმღები** – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა;

**მონაცემთა მიმღების კატეგორია** – მონაცემთა მიმღების კლასიფიკაცია/დაჯგუფება საქმიანობის სფეროს ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით;

**პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** – დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი;

**მონაცემთა დაბლოკვა** – მონაცემთა დამუშავების (გარდა შენახვისა) დროებით შეჩერება;

**ვიდეომონიტორინგი** – საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა);

**აუდიომონიტორინგი** – საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხმოვანი სიგნალის მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, აუდიოკონტროლი ან/და აუდიოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა);

**პროფაილინგი** – მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას;

**მონაცემთა დეპერსონალიზაცია** – მონაცემთა იმგვარი დამუშავება, როდესაც შეუძლებელია მონაცემთა სუბიექტთან მათი დაკავშირება ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებს ან/და დროს საჭიროებს;

**მონაცემთა ფსევდონიმიზაცია** – მონაცემთა იმგვარი დამუშავება, როდესაც დამატებითი ინფორმაციის გამოყენების გარეშე შეუძლებელია მონაცემების კონკრეტულ მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირება და ეს დამატებითი ინფორმაცია შენახულია ცალკე და ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მეშვეობით მონაცემების იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან დაკავშირება არ ხდება;

**ინციდენტი** – მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას;

**საჯარო დაწესებულება** – (მუნიციპალიტეტი, ჩვენს შემთხვევაში)

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს მუნიციპალიტეტის მიერ პერსონალური მონაცემების ავტომატური, ნახევრად ავტომატური, ან არაავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავების პროცედურებს.

**პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლები და პრინციპები:**

პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველია:

- არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა (ერთი ან რამდენიმე მიზნით დამუშავებაზე);
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა მუნიციპალიტეტის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის (მ.შ. მუნიციპალიტეტის) ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიზნებისთვის;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის დასაბუთების ვალდებულება ეკისრება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.

პერსონალური მონაცემების დაცვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- **სამართლიანობა, კანონიერება, გამჭვირვალეობა** – პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, პიროვნების ღირსების შეულახავად მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ
- **მკაფიოდ განსაზღვრული, კონკრეტული, ლეგიტიმური მიზნის არსებობა** – აუცილებელია, არსებობდეს კონკრეტული მიზანი, რისთვისაც ხდება მონაცემთა დამუშავება. სხვა მიზნებით მონაცემების გამოყენება დაუშვებელია

- **პროპორციულობა და ადეკვატურობა** – მონაცემები უნდა დამუშავდეს იმ მინიმალური მოცულობით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად; თავად მონაცემებიც, ამ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს
- **ნამდვილობა და სიზუსტე** – მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს, ასევე, უნდა გადამოწმდეს ინფორმაციის წყაროს სანდოობა, გასწორდეს ან წაიშალოს მცდარი და არაზუსტი მონაცემები
- **მონაცემების შენახვის ვადის განსაზღვრა** – მონაცემების შენახვა დასაშვებია მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.
- **მონაცემების უსაფრთხოების დაცვა** – ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღება, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა მაქსიმალურ დაცვას

## მუნიციპალიტეტის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი

მუნიციპალიტეტს უფლება აქვს კანონით დადგენილი ფორმით შეაგროვოს და დაამუშაოს შემდეგი სახის პერსონალურ მონაცემები: სახელი, გვარი, სქესი, დაბადების თარიღი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, ქვეყანა, ფაქტობრივი და რეგისტრაციის მისამართი, ტელეფონის ნომერი, პირადი და სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართი; ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობა/პროფესია, სამუშაო ადგილი, თანამდებობა, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

პერსონალური მონაცემების დამუშავება გულისხმობს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით პირის პერსონალური მონაცემების შეგროვებას, შენახვას, დაბლოკვას, შეცვლას, აღდგენას.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების განხორციელებისას, საჭიროებაზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით კანონიერად მოიძიებს, ფლობს და ამუშავებს მოცულობით ინფორმაციას მოქალაქეთა ჯანმრთელობის, სოციალური თუ ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

იმ კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს, ან შენახული უნდა იქნას დეპერსონალიზებული ფორმით, პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით (მაგალითად სტატისტიკური მონაცემების სახით, ან მონაცემების შემცველი დოკუმენტები დაიშტრიხოს ისე, რომ შეუძლებელი გახდეს მათი კონკრეტულ სუბიექტთან დაკავშირება).

მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისთვის აუცილებელია, რომ კონკრეტულად იყოს ჩამოყალიბებული ამ მონაცემების შეგროვების მიზანი. ძირითადად პერსონალური მონაცემები გროვდება და მუშავდება პირისთვის სოციალური მომსახურების დაგეგმვის/გაწევის, მოქალაქეთა განცხადებების განხილვის, დასაქმების, ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის განხორციელების, კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულების მიზნით.

დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

მუნიციპალიტეტი ვალდებულია, დანიშნოს ან განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებია:

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირება მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევა;
- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობა, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი;
- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღება, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენა და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;
- მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს (შეასრულონ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის თანამშრომელმა ან სხვა პირმა (პირებმა) მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უფლება აქვს, შეასრულოს სხვა ფუნქციაც, თუ ეს არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს.

კანონი უშვებს შესაძლებლობას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა ან დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირებმა შეიძლება დანიშნონ ან განსაზღვრონ საერთო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.  აგრეთვე დასაშვებია რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულებისთვის საერთო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა ან განსაზღვრა, ამ დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და ზომის გათვალისწინებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა (განსაზღვრავს დამნიშნავი) მონაცემთა დაცვის სფეროში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით ანგარიშვალდებული უნდა იყოს მაქსიმალურად მაღალი დონის მმართველობის სტრუქტურის წინაშე.

მუნიციპალიტეტში დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა და დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყონ იგი შესაბამისი რესურსებით, აგრეთვე უზრუნველყონ მისი დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებისას.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნოს ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით (10 სამუშაო დღის ვადაში პ.მ.დ.ს.-ს ინფორმირების ვალდებულება).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დროებითი არყოლისას ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტისას, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებამოსილებით აღჭურვოს სხვა პირი.

## მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა

ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე, აუცილებელია წერილობითი თანხმობა მონაცემთა სუბიექტისგან. როდესაც საქმე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას ეხება, კანონი უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს და მათი დამუშავებისთვის განსხვავებულ საფუძვლებს ადგენს. მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (მ.შ. ალერგიულობა, ქრონიკული დაავადებები). ასეთ შემთხვევაში, ზეპირი თანხმობა საკმარისი არ არის და სავალდებულოა სუბიექტის თანხმობა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის მიღებას გეგმავს დოკუმენტით, რომელიც აგრეთვე სხვა საკითხებს შეეხება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ამ დოკუმენტში თანხმობის შესახებ ტექსტი ჩამოაყალიბოს მკაფიო, მარტივი და გასაგები ენით და გამოყოს იგი დოკუმენტის სხვა ნაწილებისგან.

მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მიღებამდე დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მის მიერ თანხმობის გამოხმობის უფლების შესახებ.

არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება – მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

არასრულწლოვანის, მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მონაცემთა დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.

## თანხმობაზე უარი და თანხმობის გამოხმობის უფლება

- მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება.
- მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და გაანადგუროს დამუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 5 დღის ვადაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი.

- მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს.
- მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თანხმობა გამოიხმოს იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა.
- მონაცემთა სუბიექტს თანხმობის გამოხმობამდე უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

**განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს შორის არის:**

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პალიატიური მზრუნველობის, მომსახურების, სამედიცინო მოწყობილობების და პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის მიზნებით საქართველოს კანონმდებლობის ან ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტთან დადებული ხელშეკრულების (თუ ამ მონაცემებს ამუშავებს პირი, რომელსაც პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ეკისრება) შესაბამისად;

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და მომსახურების მართვისთვის საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად;

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით;

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მიზნით;

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება უწყებათაშორისი კოორდინაციის ინსტიტუციური მექანიზმის ფუნქციონირებისთვის – ბავშვის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან უსაფრთხოებისთვის ან/და ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის ან მისი უფლებისთვის მიყენებული ზიანის ან მოსალოდნელი რისკების შემცველი შემთხვევის გამოვლენის ან/და მართვის მიზნებისთვის და სხვა კანონიერი მიზნებისთვის.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის დასაბუთების ვალდებულება ეკისრება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.

## მონაცემთა უსაფრთხოება

1. პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შეძლოს მონაცემთა დამუშავების კანონთან შესაბამისობის დადასტურება.
2. მუნიციპალიტეტი ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები (მათ შორის, მონაცემთა ფსევდონიმიზაცია, მონაცემებზე წვდომის აღრიცხვა, ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმები (კონფიდენციალურობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა) და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას მონაცემთა დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის, განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან.
3. მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს მონაცემთა კატეგორიები, მოცულობა, მონაცემთა დამუშავების მიზანი, ფორმა, საშუალებები და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეები, აგრეთვე პერიოდულად შეაფასოს მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ეფექტიანობა და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად ადეკვატური ზომების მიღება ან/და არსებულის განახლება.
4. მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ, მონაცემთა შეგროვების, შეცვლის, მათზე წვდომის, მათი გამჟღავნების (გადაცემის), დაკავშირებისა და წაშლის თაობაზე ინფორმაციის) აღრიცხვა. ასევე, არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ ინფორმაციის) აღრიცხვა.
5. მუნიციპალიტეტი და ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში ან რომელსაც აქვს მონაცემებზე წვდომა, ვალდებულია, არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.
6. მუნიციპალიტეტი ვალდებულია, თანამშრომელთა უფლებამოსილებების შესაბამისად, განსაზღვროს მათი მონაცემებზე წვდომის ფარგლები და განახორციელონ ადეკვატური ღონისძიებები თანამშრომელთა მიერ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტების თავიდან ასაცილებლად, გამოსავლენად და აღსაკვეთად, მათ შორის, უზრუნველყონ თანამშრომელთა ინფორმირება მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხების შესახებ.

## მონაცემთა დამუშავება უფლებამოსილი პირის მეშვეობით

წინამდებარე დოკუმენტის პირობებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი გარკვეული მონაცემების დამუშავებისას შესაძლოა წარმოადგენდეს მონაცემთა დამმუშავებელს და მისი სახელით, ან მისთვის მონაცემების დამუშავება ხდებოდეს უფლებამოსილი პირის მიერ.

უფლებამოსილი პირზე ასევე ვრცელდება ვალდებულება, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების მაქსიმალურ დაცვას.

## მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა:

- მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;
- მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;
- მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
- მონაცემთა სუბიექტის ამ თავით გათვალისწინებული უფლებების შესახებ;
- მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;
- მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;
- ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე.

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თავად აირჩიოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ფორმა. ამასთანავე, თუ მონაცემთა სუბიექტი სხვა ფორმით არ მოითხოვს ინფორმაციის მიწოდებას, მას ინფორმაცია მიეწოდება იმავე ფორმით, რომლითაც მოხდა ინფორმაციის მოთხოვნა.

# ᲥᲕᲔᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲐ

| | | შესრულების შეფასების ინდიკატორები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროგ-რამა (ჩაწერეთ პროგ-რამული კოდი) | ქვეპროგრამა (ჩაწერეთ კონკრეტული ქვეპროგ-რამა) | რაოდენობრივი ინდიკატორის შეს-რულების სამიზნე მაჩვენებელი (რიცხვი) | რაოდენობრივი ინდიკატორის შეს-რულების მაჩვენებელი 6 თვეში (რიცხვი) | რაოდენობრივი ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი 12 თვეში(რიცხვი) | რაოდენობრივი ინდიკატორის შეს-რულების საბოლოო მაჩვენებელი (პროცენტი) | ხარისხობრივი ინდიკატორი სრუ-ლდება: (მიუთითეთ:სრულად/ნა-წილობრივ/არ სრულდება) 6 თვე | ხარისხობრივი ინდიკატორი სრუ-ლდება: (მიუთითეთ:სრულად/ნა-წილობრივ/არ სრულდება) 12 თვე | გამოვლენილი ხარვეზები (მიუთი-თეთ 6 თვე/12 თვე) | რეკომენდაცი-ები (მიუთითეთ 6 თვე/12 თვე) | ქვეპროგრამის ზოგადი შეფა-სება (12 თვე) |
| 0603 | 060304 სოციალურად დაუც-ველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღე-ბელი წრეების დაფინან-სების ქვეპროგრამა | 15 | 5 | 7 | 46.67% | ნაწილო-ბრივ | ნაწილო-ბრივ | 1. მუნიციპალური ტრანსპორტის გრა-ფიკის ცვლილების გამო ბენეფიციარები მიმდებარე სოფლე-ბიდან ვერ ახერხებენ სერვისით სარგებ-ლობას. | 1. ტრანსპორტით უზრუნველყოფის კომპონენტის და-მატება; 2. მეცადი-ნეობის/ვარჯიშის ცხრილის მორგება მუნიციპალური ტრა-ნსპორტის გრაფიკზე. | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |

# ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების კვლევა ფოკუს ჯგუფური დისკუსიის გზამკვლევი

## რა არის ფოკუს ჯგუფური დისკუსია?

ფოკუს ჯგუფური დისკუსია (იგივე, ფოკუს ჯგუფი) არის თვისებრივი (ხარისხობრივი) მონაცემების შეგროვების მეთოდი, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი თემის წევრები იკრიბებიან სპეციფიკურ საკითხებზე სამსჯელოდ. განსხვავებით რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტებიდან, ფოკუს ჯგუფის კითხვები არის ღია სახის, რათა უზრუნველყოს დისკუსია და მონაწილეთა მოსაზრებების გაგება შესასწავლ საკითხთან მიმართებით.

ფოკუს ჯგუფური დისკუსია, საშუალოდ, მიმდინარეობს 1.5 საათიდან – 2 საათამდე და მასში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს 6–12 მონაწილემ. მნიშვნელოვანია, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეები შერჩეულ იქნან ჰომოგენურების ნიშნით, რაც გულისხმობს ერთგვაროვან მახასიათებლებს, იქნება ეს ასაკი, სქესი, სტატუსი/იერარქია და სხვა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ჯგუფში საუბრისას თავი იგრძნონ კომფორტულად. საუკეთესო შემთხვევაში, სასურველია, მონაწილეები არ იცნობდნენ ერთმანეთს, თუმცა თემის დონეზე საჭიროებათა კვლევის სპეციფიკისთვის, ნაკლებად მოსალოდნელია ჯგუფების ამგვარი შემადგენლობის მიღწევა.

ფოკუს ჯგუფზე სადისკუსიო კითხვების რაოდენობა, სასურველია, არ აღემატებოდეს 12 კითხვას. მიიჩნევა რომ 10 კითხვა არის კარგი, ხოლო 8 – იდეალური ფოკუს ჯგუფისთვის. უშუალოდ ფოკუს ჯგუფების რაოდენობა განისაზღვრება კვლევის დიზაინიდან და მასშტაბიდან გამომდინარე. ფოკუს ჯგუფური შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან. თემში ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების უკეთ დასადგენად, შეიძლება ამგვარ ჯგუფებად განისაზღვროს შემდეგი:

- მშობლები / მზრუნველი პირები;
- სკოლის პედაგოგები;
- ბაღის აღმზრდელები;
- პედიატრები/ოჯახის ექიმები;
- ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები (ზრუნვის სააგენტოდან, მანდატურის სამსახურიდან და სხვ.);
- ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის ან სოციალური სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- თავად ბავშვები / მოზარდები (14-17 წლის);
- და სხვა.

რაც არ უნდა მასშტაბური იყოს კვლევა, ერთი და იგივე საკვლევ საკითხთან მიმართებით, ერთი და იმავე ინსტრუმენტით (სადისკუსიო გეგმით), ერთ კონკრეტულ სამიზნე ჯგუფთან (მაგ. მშობლები / მზრუნველი პირები), რეკომენდებულია, მაქსიმუმ 3-4 ფოკუს ჯგუფის განხორციელება. მეტის ჩატარება შეიძლება მივიდეს პასუხების „გაჯერების" ეტაპამდე, როცა ახალი პასუხები აღარ ამოდის.

**როდის გამოიყენება ფოკუს ჯგუფები?** ფოკუს ჯგუფები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც საჭიროებათა მოკვლევისა და დაგეგმვის ეტაპზე, ასევე მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე.

⇒ საჭიროებათა მოკვლევისა და დაგეგმვის ეტაპზე, ფოკუს ჯგუფის მიზანი შეიძლება იყოს ადგილობრივი კონტექსტის უკეთ შესწავლა და ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებების შეკრება. ამ ეტაპზე ფოკუს ჯგუფები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას აქტუალური საკითხების გამოსავლენად, მათი პრიორიტეტიზაციისთვის, ასევე – ადგილობრივი გადაწყვეტის გზების ძიებისთვის.

⇒ მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე, ფოკუს ჯგუფის მიზანი შეიძლება იყოს იმის გამორკვევა, თუ რამდენად პასუხობს არსებული პროგრამები / მომსახურებები ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს და რამდენად კმაყოფილი არიან მიღებული მომსახურებით. ამასთან, არის თუ არა პროგრამებში ცვლილებების საჭიროება და რომელ კომპონენტებს მიემართება იგი.

**ზოგადი მითითებები ფოკუს ჯგუფის განხორციელებისთვის**

თემში ნებისმიერი შეხვედრის, მათ შორის ფოკუს ჯგუფების, ორგანიზებას თავისი ეტაპები აქვს. ფოკუს ჯგუფური შეხვედრა არ უნდა აგვერიოს სათემო შეხვედრაში, საგანმანათლებლო ანდა სხვა ნებისმიერი ტიპის შეხვედრაში. მნიშვნელოვანია, რომ იგი დაიგეგმოს და განხორციელდეს შემდეგი ძირითადი ეტაპების, პრინციპებისა და მიდგომების დაცვით:

**მოსამზადებელი ეტაპი**

- ფოკუს ჯგუფის წარმართვისთვის, მნიშვნელოვანია, მოდერატორისა და თანა-მოდერატორის არსებობა. მოდერატორი პასუხისმგებელია შეხვედრის გაძღოლასა და დისკუსიის მართვაზე, ხოლო თანა-მოდერატორი კი საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტასა და ჩანაწერების მომზადებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მოდერატორს ჰქონდეს ჯგუფის მართვის გამოცდილება და იცნობდეს ფოკუს ჯგუფის გაძღოლის პრინციპებს.
- ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეთა შერჩევა და მობილიზება ხორციელდება წინასწარ, საჭიროებათა კვლევის დიზაინიდან და მიზნებიდან გამომდინარე. მოსამზადებელ ეტაპზე, მონაწილეებს სრულყოფილი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს კვლევის მიზნებთან და ფორმატთან დაკავშირებით. ამასთან, მათგან მიღებულ უნდა იქნას ინფორმირებული თანხმობა მონაწილეობის თაობაზე.
- ფოკუს ჯგუფის ჩატარებამდე, გასათვალისწინებელია, ფიზიკური გარემოს მოწყობა და მომზადება იმგვარად, რომ მონაწილეებმა თავი იგრძნონ უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში. ყავა-ჩაის შეთავაზება მონაწილეებისთვის წარმოადგენს ამგვარი გარემოს შექმნის ერთ-ერთ წინაპირობას. შესაბამისი რესურსების არსებობის პირობებში, ასევე, შესაძლებელია, სხვა წამახალისებლების გამოყენება.
- გასათვალისწინებელია მონაწილეთა სპეციფიკური საჭიროებები, მაგალითად, როგორიცაა: ტრანსპორტირება, ბავშვის მოვლა, შშმ პირის მონაწილეობისთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა და სხვ. აღნიშნული ხელს შეუწყობს მათი დასწრებასა და მონაწილეობას.
- მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12 მონაწილეს (სასურველია, 8

მონაწილე), წინააღმდეგ შემთხვევაში გართულდება დისკუსიის კონტროლი და ჯგუფის მართვა. მნიშვნელოვანია, მონაწილეები განთავსდნენ წრეზე და ამ წრის ნაწილი იყოს მოდერატორი და თანა-მოდერატორიც.

- საჭიროებათა კვლევის მიზნებისთვის, ფოკუს ჯგუფის განხორციელება რეკომენდებულია ნახევრადსტრუქტურირებული სადისკუსიო გეგმის გამოყენებით. ეს მიდგომა იძლევა შესაძლებლობას ერთის მხრივ შეხვედრას ჰქონდეს გარკვეული სტრუქტურა და ძირითადი მიმართულება, მეორეს მხრივ კი მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას, წამოწიონ მათთვის აქტუალური საკითხები საკვლევ თემასთან მიმართებით.
- სამიზნე ჯგუფებისა და კვლევის დიზაინის შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სადისკუსიო გეგმის (დანართი N1) გადახედვა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, მისი მორგება კვლევის დიზაინსა და სამიზნე ჯგუფის სპეციფიკაზე.

**განხორციელების ეტაპი**

- დასაწყისში მონაწილეებს წარუდგინეთ საკუთარი თავი და გააცანით ფოკუს ჯგუფის მიზნები. ასევე, უზრუნველყავით, რომ მონაწილეებმა თავადაც წარმოადგინონ საკუთარი თავი და გაეცნონ ერთმანეთს;
- კიდევ ერთხელ მიიღეთ თანხმობა მონაწილეობასა და ჩანაწერების მომზადებაზე. ნათლად განუმარტეთ, რომ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობით ისინი არ იღებენ რაიმე პირდაპირ სარგებელს;
- შეთანხმდით მონაწილეობის წესებზე, როგორიცაა: ყველას აზრის პატივისცემა; მონაწილეებისთვის აზრის დასრულების შესაძლებლობა; არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხი და მნიშვნელოვანია მათი მოსაზრებების გაგება საკვლევ საკითხთან მიმართებით; კონფიდენციალურობა და სხვ.
- მიჰყევით სადისკუსიო გეგმას (დანართი N1) და დასვით ღია ტიპის კითხვები, რათა წაახალისოთ მონაწილეთა მხრიდან საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა. თუკი შეამჩნევთ, რომ მონაწილეები რომელიმე კითხვის დასმისას გრძნობენ უხერხულობასა და დისკომფორტს, გადადით მომდევნო კითხვაზე.
- გაითვალისწინეთ, რომ სადისკუსიო გეგმა არის ნახევრადსტრუქტურული სახის და იძლევა ზოგად ჩარჩოს ფოკუს ჯგუფის მსვლელობისთვის. ჯგუფის მოდერატორს, ჯგუფის დინამიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, აქვს უფლება, გამოტოვოს რომელიმე კითხვა (თუკი იგი მგრძნობიარე ან/და არარელევანტურია) ან დასვას დამატებითი კითხვა, რომელიც სასარგებლო იქნება კვლევის მიზნებისთვის.
- წაახალისეთ თითოეულის მონაწილეობა და ჩართულობა. თუკი შეამჩნევთ, რომ რომელიმე მონაწილე არ საუბრობს ან/და ერთ მონაწილეს აქვს დომინირებული სადისკუსიო სივრცე, იკითხეთ „რას ფიქრობენ ჯგუფის სხვა წევრები?“
- დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და მორიდებული მონაწილეების წასახალისებლად, შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვების შემდეგი ფორმულირება: „შეგიძლიათ მეტი მითხრათ ამის შესახებ?“; „შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი?“; „დამეხმარეთ, უკეთ გავიგო თქვენი ნათქვამი...“.
- მიიღეთ მონაწილეთა ნათქვამი განსჯისა და თავდაცვის გარეშე – მოისმინეთ ღიად

და გულწრფელად, იმ შემთხვევაშიც კი თუკი არ ეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას. ნუ გამოხატავთ თქვენს ნეგატიურ დამოკიდებულებას პასუხებზე. ზოგადად, შეინარჩუნეთ ნეიტრალურობა პასუხების მიმართ.

- თავი შეიკავეთ პირადი მოსაზრებების გამოხატვისგან. მოდერატორის მოვალეობაა, შეაგროვოს მონაწილეების შეხედულებები და გამოცდილება. მოდერატორის მოსაზრება არ უნდა იყოს განხილვის ნაწილი და არ უნდა იმოქმედოს მასზე.
- მოახდინეთ პერიფრაზირება ან/და შეჯამება გრძელი, ბუნდოვანი კომენტარების. ეს აჩვენებს მონაწილეებს, რომ მოდერატორი აქტიურად ისმენს. ასევე, ეხმარება მოდერატორს, რომ დააზუსტოს რამდენად სწორად გაიგო მონაწილის ნათქვამი.
- თუკი ფოკუს ჯგუფის დისკუსიისას მონაწილეები შეეხებიან მგრძნობიარე საკითხებს/ტრავმულ გამოცდილებას, არ დააძალოთ მათ ჯგუფის წინაშე დეტალების მოყოლა. შეგიძლიათ უთხრათ, რომ ცალკე გაესაუბრებით აღნიშნულზე და შეხვედრის დასრულების შემდეგ გამონახეთ დრო ამისთვის. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია დაგჭირდეთ გადამისამართება.
- ფოკუს ჯგუფის დასასრულს, ჰკითხეთ მონაწილეებს, დამატებით ხომ არ არის რაიმე საკითხი, რაზეც თავად სურთ ყურადღების გამახვილება. დაბოლოს, აუცილებლად გადაუხადეთ მადლობა დათმობილი დროისთვის.

**<u>დოკუმენტირებისა და ანალიზის ეტაპი</u>**

- მოამზადეთ ფოკუს ჯგუფის დეტალური ტრანსკრიპტი ანდა ჩანაწერი დანართი N2-ის შესაბამისად, რაც დაგეხმარებათ, რომ ფოკუს ჯგუფის შედეგები თავიდანვე სტრუქტურული სახით იქნას ასახული. გაითვალისწინეთ, რომ სადისკუსიო გეგმაში ცვლილებების შეტანამ შეიძლება გამოიწვიოს ფოკუს ჯგუფის ჩანაწერის ფორმაში (დანართი N2) ცვლილების საჭიროებაც. ფოკუს ჯგუფის დასრულებისთანავე გადახედეთ ჩანაწერებს და უზრუნველყავით დეტალების შევსება, რათა რაიმე მნიშვნელოვანი არ იქნას დავიწყებული / გამორჩენილი. ფოკუს ჯგუფის ჩანაწერის მომზადების ეტაპზე, ეცადეთ, არ მოახდინოთ რესპონდენტთა მოსაზრებების ინტერპრეტაცია.
- ფოკუს ჯგუფებით ანალიზისთვის, დაახარისხეთ მოპოვებული მონაცემები საკვლევი საკითხების კატეგორიების შესაბამისად. უზრუნველყავით მონაცემების გაანალიზება თემატური ანალიზის მიდგომით, ასევე მათი წაკითხვა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების პერსპექტივიდან. შეადარეთ სხვადასხვა ფოკუს ჯგუფების (სამიზნე ჯგუფების) პასუხები ერთმანეთს: რა საერთო და რა განსხვავებები იყო ამ პასუხებს შორის? ვინ (რომელი ჯგუფი) რაზე ამახვილებს ყურადღებას? ამრიგად, გაანალიზეთ ფოკუს ჯგუფების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და ასახეთ იგი საჭიროებათა კვლევის ანგარიშის დოკუმენტში.
- მონაცემების შეჯამებასა და ძირითადი დასკვნების გაკეთებამდე, მოპოვებული თვისებრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაუსვით შემდეგი კითხვები საკუთარ თავს:
  - რა არის ძირითადი იდეები/საკითხები/მოსაზრებები, რომელიც საერთო იყო ყველა ჯგუფისთვის?
  - რომელია მონაწილეთა ის ციტატები, რომლებიც სრულყოფილად აჯამებს / ამყა-

რებს ამ მოსაზრებებს?

- რა იყო ყველაზე გავრცელებული პასუხები თითოეულ საკვლევ საკითხთან მიმართებით?
- იყო თუ არა განსხვავებული პასუხები მონაწილეთა ქვე-ჯგუფებს შორის (მაგ. ასაკი, სამიზნე ჯგუფი და სხვ.)?
- იყო თუ არა ისეთი პასუხები, რომლებიც ერთად იყო ნახსენები და განხილულ იქნა ერთ ჭრილში?
- როგორ შეიძლება ეს მიგნებები გამოყენებულ იქნას პროგრამების, მომსახურებების, პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნებისთვის?

- ფოკუს ჯგუფის შედეგების ანგარიშის მომზადებისას უზრუნველყავით მონაწილეთა მოსაზრებების „ციტატების" სახით ასახვა დოკუმენტში. აღნიშნული გაამდიდრებს კვლევის ანგარიშის დოკუმენტს და, ასევე, უკეთეს წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს / გადაწყვეტილების მიმღებს მონაწილეთა (სამიზნე ჯგუფების) პერსპექტივებზე.
- მონაცემთა ხარისხსა და თქვენი ანალიზის სანდოობაში დასარწმუნებლად, შეიძლება გამოყენებულ იქნას ვალიდაციის სხვადასხვა წყაროები. იგი მოიცავს მონაცემთა ტრიანგულაციას, რაც გულისხმობს კვლევის სხვადასხვა მეთოდებით მიღებული შედეგების შეჯერებას, მკვლევრის/ანგარიშის ავტორის ანალიზისა და ინტერპრეტაციის სხვა სპეციალისტებთან/ექსპერტებთან გადამოწმებას, დაინტერესებულ მხარეთა/მონაწილეთა უკუკავშირს.

**ეთიკური საკითხები:**

- ფოკუს ჯგუფზე მოწვეულ ნებისმიერ პირს უფლება აქვს, უარი თქვას მონაწილეობაზე ან შეწყვიტოს ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა ნებისმიერ დროს. მოდერატორმა პატივი უნდა სცეს მონაწილის ამ უფლებას.
- მონაწილეთა კონფიდენციალური / პერსონალური ინფორმაცია, მათი სახელები, გვარები და სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, არ უნდა მოხვდეს ფოკუს ჯგუფის ჩანაწერებში და საჭიროებათა კვლევის დოკუმენტის ანგარიშში. დოკუმენტები უნდა იქნას მომზადებული იმგვარად, რომ გამორიცხავდეს მონაწილის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.
- ბავშვებთან/მოზარდებთან (14-17 წლის) ფოკუს ჯგუფი შესაძლებელია, მათი და მათი მშობლების/მეურვის წერილობით ინფორმირებული თანხმობით. მნიშვნელოვანია, მათთან სადისკუსიო გეგმის კითხვები ფორმულირებულ იქნას იმგვარად, რომ არ მოითხოვდეს პერსონალური/პირადი გამოცდილებების თხრობას, არამედ ყურადღებას ამახვილებდეს თემში არსებულ ზოგად მდგომარეობაზე.

*<u>ფოკუს ჯგუფის დანართი №1</u>.*

**<u>ფოკუს ჯგუფის სტრუქტურა / სადისკუსიო გეგმა</u>**

**<u>(ნიმუში)</u>**

**მისალმება / გაცნობა**

- მოდერატორებისა და მათი როლის გაცნობა
- ფოკუს ჯგუფის მიზნებისა და ფორმატის გაცნობა
- მონაწილეთა გაცნობა
- შეთანხმება მონაწილეობასა და სამუშაო წესებზე

**ნაწილი I. ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ძირითადი გამოწვევები ადგილობრივ თემში**

- რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი/აქტუალური საჭიროებები / საკითხები თქვენს თემში მცხოვრები ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახებისთვის?
- 0-5 წლამდე ასაკის / 6-13 წლის ასაკის / 14-18 წლის ასაკის ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის რა საკითხებია განსაკუთრებით აქტუალური/მწვავე, მნიშვნელოვანი და რატომ?
- რომელ ჯგუფებს გამოყოფდით თემში, რომლებისთვისაც ყველაზე რთული არის ბავშვების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება დამოუკიდებლად (დახმარების გარეშე) და რატომ?

**ნაწილი II. თემის რესურსები/შესაძლებლობები ამ პრობლემების გადასაწყვეტად**

- რა რესურსები / შესაძლებლობები / პროგრამები არსებობს ამ საკითხების გადასაწყვეტად? რა მუშაობს კარგად და რისი ცვლილება არის საჭირო?
- რა ბარიერები / გამოწვევები არსებობს, რაც ხელს უშლის ამ პრობლემების / საკითხების გადაწყვეტას, თქვენი აზრით?

**ნაწილი III. პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება**

- რა არის ბავშვებთან და მათ ოჯახებთან დაკავშირებული მთავარი/პრიორიტეტული საკითხები, რაზეც გსურთ რაიმე პროგრამის არსებობა ანდა გაუმჯობესება ადგილობრივ თემში?
- კონკრეტულად რა ტიპის პროგრამების / მომსახურებების არსებობა დაეხმარებოდა ბავშვებსა და ბავშვიან ოჯახებს, რომ უკეთ გაუმკლავდნენ ზემოთ დასახელებულ გამოწვევებს?
- თუკი რესურსები არ არის საკმარისი რომ პროგრამა / დახმარება ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის, რა გზები მიგაჩნიათ სამართლიანად მისი განაწილებისთვის?

**დასრულება**

- დამატებით ხომ არ არის ბავშვებსა და ოჯახებთან დაკავშირებული რაიმე საკითხი რაზეც ისურვებდით ყურადღების გამახვილებას და არ მოხვდა ჩვენს დისკუსიაში?

*ფოკუს ჯგუფის დანართი №2.*

## ფოკუს ჯგუფის შეხვედრის ჩანაწერი

**(ნიმუში)**

| | |
|---|---|
| სამიზნე ჯგუფი | |
| მონაწილეთა რაოდენობა | |
| ჩატარების თარიღი | |

**დისკუსიის შედეგები**

| | |
|---|---|
| ძირითადი გამოწვევები (მათ შორის, ასაკობრივად ჩაშლილი) | |
| რესურსები / შესაძლებლობები | |
| ბარიერები / ხელისშემშლელი ფაქტორები | |
| გადაწყვეტის გზები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის | |

*<u>გზამკვლევის დანართი №7</u>*

## ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების კვლევა მუნიციპალიტეტში

### მცირე ინსტრუქცია რაოდენობრივი კვლევის ინტერვიუერებისთვის

### (მერის წარმომადგენლებისთვის)

**კვლევის მიზანი**: გამოკითხვა ტარდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახებთან და მისი ამოცანაა ადგილობრივ თემში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების მოკვლევა, სამომავლოდ მუნიციპალური სოციალური პროგრამების უკეთ დაგეგმვის მიზნით.

კვლევის ძირითადი ეთიკური პრინციპები:

- ***ნებაყოფლობითი მონაწილეობა***: კვლევაში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი, რაც გულისხმობს იმას, რომ რესპონდენტს შეუძლია უარი განაცხადოს მონაწილეობაზე თავიდანვე ანდა შეწყვიტოს ნებისმიერ დროს.
- ***კონფიდენციალურობა***: კითხვარი ივსება კოდირებული სახით (მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის, მათ შორის სახელი, გვარის, პირადი ნომრის, საკონტაქტო ინფორმაციის მითითების გარეშე). კვლევის ანგარიშში არ მოხვდება რესპონდენტის პერსონალური ინფორმაცია, შეუძლებელი იქნება იმის განსაზღვრა, თუ ვინ რა თქვა. პასუხები დამუშავდება განზოგადებული/შეჯამებული სახით.
- ***პერსონალური მონაცემების დაცვა***: ინფორმაციის შეგროვებაზე, ანალიზსა და პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**ზოგადი გასათვალისწინებელი საკითხები:**

- რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტით (კითხვარით/ანკეტით) გამოკითხვა ტარდება მხოლოდ სრულწლოვან პირთან (18 წლის ზემოთ), რომელიც არის ბავშვის მშობელი / მეურვე-მზრუნველი / კანონიერი წარმომადგენელი;
- შევსებული ანკეტა/კითხვარი გამოიყენება მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის და არ ნიშნავს, რომ კვლევაში მონაწილე ოჯახზე/ბავშვზე საქმის წარმოება იწყება მუნიციპალიტეტის ან/და სხვა რომელიმე სახელმწიფო უწყების / სამსახურის მიერ;
- ოჯახის მხრიდან, მუნიციპალიტეტის რომელიმე სამსახურის კომპეტენციაში შემავალი საკითხის  გადაწყვეტის საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ინტერვიუერის მიერ ოჯახისთვის ამ სამსახურის საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდება ან მშობლის/მეურვის  წერილობითი თანხმობით ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სამსახურისთვის.
- იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს სიცოცხლესა ანდა ჯანმრთელობას ემუქრება მყისიერი/მომეტებული საფრთხე, ინტერვიუერს ვალდებულება აქვს, იმოქმედოს  კანონმდებლობის (მათ შორის „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების პროცედურების“) შესაბამისად. მხოლოდ ასეთ დროს შეიძლება წარმოიშვას მიღებული ინფორმაციის შესაბამის მხარესთან გაცემის ვალდებულება.

| |
|---|
| ! ინტერვიუს დაწყებამდე გააცანით რესპონდენტს საკუთარი თავი, კვლევის მიზნები და ეთიკური პრინციპები. მხოლოდ მათი თანხმობის შემთხვევაში შეუდექით კითხვების დასმას. |

***კითხვარის სტრუქტურა:*** კითხვარი შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისგან, რომლებიცაა:

- ***ნაწილი I. ოჯახთან დაკავშირებული ზოგადი სოციალურ-დემოგრაფიული ინფორმაცია*** – მოიცავს კითხვებს მშობლების/მზრუნველი პირების, ოჯახის წევრების რაოდენობის, განათლება-დასაქმებისა და ოჯახის შემოსავლების შესახებ;
- ***ნაწილი II. ოჯახის საცხოვრებელსა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია*** – მოიცავს კითხვებს ოჯახის საცხოვრებელთან და მის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ასევე თემში სხვადასხვა დაწესებულებამდე ტრანსპორტირების საჭიროების შესახებ;
- ***ნაწილი III. ოჯახისა და ბავშვის ძირითადი საჭიროებები (მათ შორის თვით-შეფასების კომპონენტი)*** – მოიცავს კითხვებს, რომელიც მიემართება ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახის საჭიროებებს. ეს ნაწილი ასევე დაყოფილია რამდენიმე ქვე-ბლოკად, ბავშვის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და შშმ ბავშვების სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენის მიზნით;
- ***ნაწილი IV. პრიორიტეტული მხარდაჭერა მშობლების / მზრუნველების პერსპექტივით და მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის გამოცდილების შეფასება*** – მოიცავს კითხვებს, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ მშობლებს/მზრუნველებს რა მიაჩნიათ საუკეთესო გზად მათი ოჯახების მხარდაჭერის, ამასთან აფასებს მათ გამოცდილებას მერიასთან თანამშრომლობის კუთხით.

***კითხვარის შევსების ინსტრუქცია:***

- წინასწარ კარგად გაეცანით კითხვარს, მის თითოეულ კითხვას და კითხვის ინსტრუქციას, რომელიც მოცემულია ე.წ. „ფრჩხილებში" (). თითოეული კითხვის გასწვრივ მოცემული ინსტრუქციის დაცვა მნიშვნელოვანია.
- კოდის მინიჭება კითხვარისთვის შეიძლება განხორციელდეს შემდეგი პრინციპით – ინტერვიუერის  კოდი (ორნიშნა), რომელსაც თითოეულ ინტერვიუერს ანიჭებს სამუშაო ჯგუფი და ოჯახის კოდი (სამნიშნა), რომელსაც თავად ინტერვიუერი ანიჭებს გამოკითხულ ოჯახებს თანმიმდევრობის მიხედვით. ამრიგად, თითოეული შევსებულ კითხვარს ექნება ხუთნიშნა კოდი – (მაგ.) 01-001 (სადაც 01 არის ინტერვიუერის კოდი, ხოლო 001 კი გამოკითხული ოჯახის კოდი).
- თითოეული კითხვა აუცილებლად დასვით და მოინიშნეთ რესპონდენტის პასუხი, თუკი მასზე არ არის შესაბამისი მითითება გამოტოვების შესახებ. ამგვარი მითითების გარეშე გამოტოვებული კითხვები, მოგვიანებით, მონაცემთა დამუშავების ეტაპზე, ქმნის სირთულეებს. როცა რესპონდენტი გპასუხობთ, რომ „არ იცის" ან „უჭირს პასუხის გაცემა", მიაწერეთ ეს შესაბამის კითხვასთან, თუ ჩამონათვალში არ გვხვდება.
- ფიფქი * – სიმბოლოთი აღნიშნული კითხვების/ბლოკების გამოტოვება შესაძლებელია, თუ კითხვა/ბლოკი არ არის რელევანტური კონკრეტული ოჯახისთვის. მაგალითად:
  - **კითხვა** – *2.8. „ოჯახში, შშმ ბავშვის/პირის ბავშვის/სრუწლოვანი პირის ყოლის შემთხვევაში, მიუთითეთ სველი წერტილი, ადაპტირებულია (მორგებულია) თუ არა?" – უნდა იქნა გამოტოვებული, თუ შშმ ბავშვი/პირი არ არის ოჯახში.

- **ბლოკი** – * „0-2 წლამდე ასაკის ბავშვი“ – უნდა იქნას გამოტოვებული თუ ამ ასაკის ბავშვი არ არის ოჯახში.

- როგორც უკვე აღინიშნა, კითხვარში თითოეულ კითხვას აქვს მისი მცირე ინსტრუქცია, რომელიც შეიძლება იყოს შემდეგი: „მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი“, „მონიშნეთ მაქსიმუმ 3 პასუხი“, „მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი“ და ა.შ. მნიშვნელოვანია, ფრჩხილებში მოცემული ინსტრუქციის ზედმიწევნით დაცვა თითოეულ კითხვასთან მიმართებით. ყურადღება მიაქციეთ:
  - *3.1. კითხვას „რა მიგაჩნიათ თქვენი ოჯახის (განსაკუთრებით ბავშვების) მთავარ საჭიროებად/ებად, რომლის დაკმაყოფილებაც გიძნელდებათ?“*, სადაც უნდა მოინიშნოს მაქსიმუმ 3 პასუხი / საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებაც ყველაზე მეტად უძნელდებათ ოჯახებს.
  - *3.8. კითხვას „თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს ბავშვთა დაცვის აქტუალურ/მწვავე საკითხს თქვენი მუნიციპალიტეტისთვის?“,* სადაც ასევე უნდა მონიშნოს მაქსიმუმ 3 პასუხი. ამასთან, აღსანიშნავია რომ ერთადერთი კითხვაა, რომელიც ეხება არა კონკრეტულ ოჯახში არსებულ მდგომარეობას, არამედ რესპონდენტის შეფასებით მთელს თემში (მუნიციპალიტეტში) არსებულ სიტუაციას.
  - *3.27. კითხვას – მესამე ნაწილში ასევე ინტეგრირებულია მშობლების / მზრუნველების მიერ ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილების თვით-შეფასების კომპონენტი*. მშობლების/მზრუნველების მიერ ბავშვის/ების საჭიროებების დაკმაყოფილების თვით-შეფასების ხორციელდება 3 სიხშირიან სკალაზე და ძირითადი კითხვის ფორმულირება შემდეგია: „ბოლო 1 (ერთი) წლის განმავლობაში, რამდენად ახერხებთ/ახერხებდით, ჩამოთვლილი საჭიროებების დაკმაყოფილებას ბავშვის/ებისთვის?“. შესაძლო პასუხების ვარიანტები კი არის: „ყოველთვის/დიახ, ზოგჯერ, იშვიათად/არა.“ თითოეული დებულების გასწვრივ, უნდა მოინიშნოს მხოლოდ ერთი პასუხი.
  - *4.1. კითხვას „გთხოვთ, დაასახელოთ ის მიმართულება/ მხარდაჭერა, რომელიც დაგეხმარებოდათ როგორც მშობელს თქვენი შვილების საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებაში?“*, სადაც უნდა მონიშნოს ყველა შესაბამისი, ხოლო შემდეგ უნდა მოხდეს პრიორიტეტიზაცია და მონიშნულს გვერდით უნდა მიეწეროს პრიორიტეტის აღმნიშვნელი ციფრი, სადაც 1 ნიშნავს ყველაზე პრიორიტეტულს, 2 რიგით მეორე პრიორიტეტულს და ა.შ.;

- ინტერვიუების პროცესში აკონტროლეთ დრო, ნუ დარჩებით დიდხანს ოჯახში. თუმცა, ასევე ნუ დააჩქარებთ რესპონდენტს, მიეცით დრო ფიქრისთვის;
- ხელი შეუწყვეთ რესპონდენტს რომ თავი კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნონ, თუმცა დახმარების მიზნით ნუ შესთავაზებთ/ამოურჩევთ პასუხებს თავად;
- ინტერვიუს დასასრულს აუცილებლად გადაუხადეთ მადლობა დათმობილი დროისა და მონაწილეობისთვის.

*საჭიროებების კვლევის დანართი №1*

**ინფორმირებული თანხმობის ფორმა კვლევაში (გამოკითხვაში) მონაწილეობის შესახებ**

ძვირფასო მშობლებო/მზრუნველებო,

თქვენ მოწვეული ხართ ოჯახების/შინამეურნეობების გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ და რომლის მიზანია თემში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების მოკვლევა, სამომავლოდ ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახებისთვის მუნიციპალური სოციალური პროგრამების უკეთ დაგეგმვის მიზნით.

**გასაუბრების ხანგრძლივობა**: 20-30 წუთი

**გამოკითხვის პერიოდი**: მარტი-მაისი, 2024 წელი

**კვლევის ეთიკური საკითხები:**

- კვლევაში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი. შეგიძლიათ თავიდანვე უარი განაცხადოთ მონაწილეობაზე ანდა შეწყვიტოთ ნებისმიერ დროს.
- კითხვარი ივსება კოდირებული სახით და თქვენი პასუხები არის კონფიდენციალური, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლევის ანგარიშში არ მოხვდება თქვენი სახელი და გვარი, სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია და შეუძლებელი იქნება იმის განსაზღვრა, თუ ვინ რა თქვა. პასუხები დამუშავდება განზოგადებული/შეჯამებული სახით.
- ინფორმაციის შეგროვებაზე, ანალიზსა და პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- ისეთ შემთხვევაში, თუ თქვენს ან/და სხვის სიცოცხლესა ანდა ჯანმრთელობას ემუქრება მყისიერი/მომეტებული საფრთხე, მკვლევარს/ინტერვიუერს ვალდებულება აქვს, იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხოლოდ ასეთ დროს შეიძლება წარმოიშვას მიღებული ინფორმაციის შესაბამის მხარესთან გაცემის ვალდებულება.

გავეცანი ამ ინფორმაციას და თანახმა ვარ, მივიღო მონაწილეობა გამოკითხვაში, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

მშობლის / მეურვე-მზრუნველის სახელი, გვარი ______________________

ხელმოწერა _________________

თარიღი ____________________

*__ბზამკვლევის დანართი №8__*

## ადგილობრივი თვითმმართველობა ბავშვთა კეთილდღეობისთვის

### ოჯახის მხარდამჭერი პრევენციული პროგრამების განვითარება ადგილობრივ დონეზე

__შესავალი__

პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი პროგრამული მიდგომები და მომსახურებები მრავალგვარია და იგი ვარირებს საყოველთაო პროგრამებიდან ინდივიდუალურ ინტერვენციამდე. ეფექტიანი პროგრამირებისთვის ერთის მხრივ მნიშვნელოვანია, რომ ახალი პროგრამული მიმართულებები გამოპასუხებაში იყოს კვლევით გამოვლენილ საჭიროებებთან, ხოლო, მეორეს მხრივ, პროგრამის შინაარსი (ძირითადი კომპონენტები / მახასიათებლები) და ხარისხი იყოს შესაბამისი დასახული მიზნების მისაღწევად. მნიშვნელოვანია აქცენტირება იმაზე, რომ ბავშვთა კეთილდღეობა და დაცვა არის მრავალსექტორული და კომპლექსური პროცესი. სანამ დავიწყებთ მუშაობას ეფექტიანი, თემზე დაფუძნებული სისტემის შექმნაზე, აუცილებელია გავიგოთ ბავშვთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურობა. ბავშვთა კეთილდღეობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა რისკ და დამცავი ფაქტორები. ამრიგად, ოჯახების გაძლიერებაც არის კომპლექსური საკითხი და მოითხოვს გადაწყვეტის კომპლექსურ გზებს.

სფეროში არსებული ლიტერატურის / კვლევების მიხედვით მნიშვნელოვანია, ოჯახის გაძლიერების პროგრამები აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- პროგრამები / ინტერვენციები მჭიდრო კავშირში/ თანხვედრაში იყოს ეროვნულ და ადგილობრივი სოციალური დაცვის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან, ისევე, როგორც შესაბამისობაში იყოს ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტთან.
- პროგრამები / ინტერვენციები მოითხოვს ძლიერ მენეჯმენტს და ადამიანურ რესურსებს, რომლებსაც სჭირდებათ სათანადოდ მომზადება, კვალიფიციური და კომპეტენტური კადრი, ნათელი სახელმძღვანელო მითითებებითა და ძლიერი ორგანიზაციული მხარდაჭერით.
- პროგრამებთან / ინტერვენციებთან მიკუთვნებულობის განცდა უნდა ჰქონდეს ადგილობრივ თემსა და სამიზნე ჯგუფებს, დაგეგმვასა და განხორციელებაში მათი თანამონაწილეობის გზით.
- პროგრამებს / ინტერვენციებს სჭირდებათ ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერა, როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებიდან. მხარდაჭერა საჭიროა არამხოლოდ ფინანსურად და ლოჯისტიკურად, არამედ შინაარსობრივად, რომ ოჯახის გაძლიერება არის პრიორიტეტი.
- პროგრამებს / ინტერვენციებს სჭირდებათ „გამოცდა და ტესტირება", შესაბამისად, პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია მათი საპილოტე რეჟიმში განხორციელება. პროგრამები უნდა შეფასდნენ მათ მიზნებთან შესაბამისობაში. არ არის აუცილებელი, რომ გამოყენებულ იქნას სამეცნიერო კვლევები, შესაძლებელია თვისებრივი კვლევებით განხორციელდეს პროგრამული შეფასება.
- პროგრამები / ინტერვენციები ინტეგრირებული უნდა იყოს სოციალური და ბავშვთა დაცვის სისტემებსა და სერვისებთან. ცალკეული აქტივობები / ცალკეულ საჭიროებაზე მიმართული პროგრამები ნაკლებად მოსალოდნელია, რომ უპასუხებენ პრობლემებს, რომლებიც თავისი ბუნებით ჰოლისტური/კომპლექსური ხასიათისაა.

- პროგრამები / ინტერვენციები მნიშვნელოვანია, იყოს ბავშვზე ცენტრირებული, რაც ნიშნავს ბავშვის უფლებების პატივისცემას, არადისკრიმინაციულ მიდგომას. ოჯახის მხარდამჭერი პროგრამები მნიშვნელოვანია, ითვალისწინებდეს და პასუხობდეს ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს. ამასთან, იყოს მოქნილი ცვალებადი საჭიროებების მიმართ.

ამ ძირითადი პირობების არარსებობის შემთხვევაში, ოჯახის გაძლიერების პროგრამები / ინტერვენციები ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იყოს ეფექტიანი და მდგრადი.

**ოჯახის გაძლიერების პრევენციული მოდელი**

უმნიშვნელოვანესია, რომ მუნიციპალიტეტებმა შეარჩიონ ისეთი პროგრამები / ინტერვენციები, რომლის საჭიროებაც დასტურდება საჭიროებათა კვლევით და რომლებიც ეფუძნება საუკეთესო ხელმისაწვდომ მტკიცებულებებს. ამასთან, უზრუნველყოს ადგილობრივ კონტექსტზე მისი მორგება. როგორც მინიმუმ, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- პროგრამის / ქვე-პროგრამის (მისი ძირითადი კომპონენტებისა და აქტივობების) მკაფიოდ განსაზღვრული აღწერა (ლოგიკური ჩარჩო);
- ნათელი განმარტება/დასაბუთება იმ გარემოს/კონტექსტის/პრობლემის, რაშიც ხორციელდება პროგრამა და განმახორციელებლების, ვინც იყენებს პროგრამას;
- იდენტიფიცირება იმ სამიზნე ჯგუფების / ინდივიდების, ვინც შეიძლება ისარგებლოს პროგრამით / ქვე-პროგრამით;
- „კონკრეტული მოსალოდნელი შედეგები და მისი გაზომვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები.

**სამსაფეხურიანი პრევენციული მიდგომა**

ნებისმიერ საზოგადოებაში გამოიყოფა ბავშვიანი ოჯახების სამი ძირითადი ჯგუფი: 1). ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ რაიმე მნიშვნელოვანია სირთულეები; 2). ოჯახები, რომლებიც არიან რისკის ქვეშ / გარკვეული მოწყვლადობის მატარებელი და 3). ოჯახები, რომლებიც უკვე დგანან გარკვეული გამოწვევების წინაშე. ბუნებრივია, სხვადასხვა ჯგუფში მყოფ ბავშვს/ოჯახს სხვადასხვაგვარი მხარდაჭერა სჭირდება და შესაბამისად, უნდა დაიგეგმოს მისაწოდებელი ინტერვენციებიც.

ბავშვთა დაცვასა და კეთილდღეობაში პრევენციული მიდგომა ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაშვებას ეყრდნობა, რომ არ არსებობს ერთი საყოველთაო / უნივერსალური სტრატეგია, რომელიც ეფექტიანია ბავშვთა სიღარიბის, ბავშვთა მიმართ ძალადობისა თუ ბავშვიანი ოჯახების კომპლექსურ საჭიროებებთან გასამკლავებლად. როგორც წესი, საჭიროა სტრატეგიათა და მიდგომათა ერთობლიობა;

ამრიგად, ბავშვთა დაცვასა და კეთილდღეობაში პრევენციის მოდელი მოიცავს სამ ძირითად საფეხურს. ქვეყანაში მოქმედი სოციალური დაცვის პოლიტიკის, სისტემებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეიძლება განახორციელოს ბავშვთა კეთილდღეობის ხელშემწყობი პრევენციული პროგრამები და მომსახურებები, პრევენციის შემდეგ სამ ძირითად საფეხურზე:




**პირველი საფეხური – საყოველთაო პრევენცია**

| **საყოველთაო პრევენცია მიმართულია ყველა ბავშვსა და ბავშვიან ოჯახზე და მიზნად ისახავს როგორ ბავშვებისა და მათი ოჯახების, ასევე, ფართო საზოგადოების, მომსახურების მიმწოდებლების, გადაწყვეტილების მიმღები პირების ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის საკითხებზე.** | |
|---|---|
| **ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და ინტერვენციის მაგალითები** (მოცემული მაგალითები არასრულია / გათვალისწინებულია ადგილობრივი კონტექსტიც). | **ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პასუხისმგებელი სამსახურები** |
| ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული საინფორმაციო კამპანიები / სათემო მობილიზაცია ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის საკითხებზე; | ბავშვთა განყოფილება |
| ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომელიც მიმართულია მწვანე, უსაფრთხო და ადაპტირებული ფიზიკური გარემოს (გზები, სასმელი წყალი, სკვერები, სათამაშო მოედნები, ტრანსპორტირება და სხვ.) შექმნისთვის; | ინფრასტრუქტურის სამსახური |
| სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა როგორც ფინანსური, ასევე გეოგრაფიული თვალსაზრისით და, ამავდროულად, შესაბამისი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა. | ააიპ „ბაღების გაერთიანება“ |

პირველი საფეხურის ინტერვენციები სასურველია, დაგეგმოს ფართო, ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე საინფორმაციო / საგანმანათლებლო კამპანიების ნაწილად. ამასთან, უმ-

ნიშვნელოვანესია რომ იგი იყოს ინტეგრირებული განათლების, ჯანდაცვისა და სოციალურ სისტემებში, რომლებიც წარმოადგენენ წამყვან სექტორებს საყოველთაო პრევენციისთვის.

გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ ამგვარი ცნობიერების ამაღლების კამპანიები დაიგეგმოს ადგილობრივი თემის დონეზეც. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი ახორციელებს საინფორმაციო კამპანიას, მნიშვნელოვანია, არსებობდეს კარგად გაწერილი კამპანიის სტრატეგია და დეტალური სამოქმედო გეგმა, სადაც აღწერილი იქნება როგორც მიზნები, ასევე მიზნის მიღწევის გზები და შემოთავაზებული სტრატეგიები ქცევის ცვლილებისთვის (ცვლილებების თეორია). ამრიგად, პირველი დონის ინტერვენციების და კამპანიების დაგეგმვას, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა დონეზე, სჭირდება ნათლად გაწერილი დასაბუთება და ლოგიკური ჩარჩო. აქვე, აღსანიშნავია, რომ მისი შედეგების შეფასება შედარებით რთულია და მოითხოვს დიდ ძალისხმევას ამ მიმართულებით.

გასათვალისწინებელია, რომ მუნიციპალიტეტი შეიძლება უკვე ახორციელებდეს საყოველთაო პრევენციის რომელიმე პროგრამულ მიმართულებას, მაგალითად, ბაღების მომსახურება ადრეული ასაკის ბავშვებისთვის. საჭიროებათა კვლევამ შეიძლება გამოავლინოს ამ კუთხით არსებული გამოწვევები, როგორიცაა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ან/და მომსახურების დაბალი ხარისხი. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს გამოვლენილ სირთულის გადაწყვეტაზე – ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, ხარისხის გაუმჯობესება და სხვა.

**მეორე საფეხური – მიზნობრივი პრევენცია**

<table>
<tr><td colspan="2">მიზნობრივი პრევენცია მიმართულია იმ ბავშვებისა და ოჯახებისაკენ, რომელსაც აქვთ ერთი ან რამდენიმე მოწყვლადობა/რისკ ფაქტორი (თუმცა არა კომპლექსური – ძლიერი მხარეები გადაწონის რისკებს). ამ შემთხვევაში, ბავშვებსა და მათ ოჯახებს, ინფორმირებასთან და ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა, რათა თავიდან აირიდონ პრობლემების ესკალაცია.</td></tr>
<tr><td>ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და ინტერვენციის მაგალითები (მოცემული მაგალითები არასრულია / გათვალისწინებულია ადგილობრივი კონტექსტიც).</td><td>ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პასუხისმგებელი სამსახურები</td></tr>
<tr><td>კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფების მხარდაჭერა ფულადი გადარიცხვების / მატერიალური დახმარების გზით, ბავშვის განვითარების ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მნიშვნელოვანია, რომ გასაცემელი იყოს ადეკვატური;<br>ბავშვზე ზრუნვის დღის მომსახურებები / დღის ცენტრები / პერსონალური დამხმარე ან/და გახანგრძლივებული კლასები;<br>სოციალური საცხოვრისები ან/და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე მიმართული პროგრამები;<br>ფსიქო-სარეაბილიტაციო / თერაპიული პროგრამები ბავშვის განვითარების ხელშეწყობისთვის;<br>მშობელთა მხარდაჭერა, მშობელთა განათლება და მშობელთა ჯგუფები ბავშვის განვითარებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე;<br>ეკონომიკური უსაფრთხოებისა და გაძლიერების პროგრამები – დასაქმება / თვითდასაქმების ხელშეწყობა, მათ შორის, პროფესიული განათლება და მცირე გრანტები/აგრო გრანტი.</td><td>სოციალური და ჯანდაცვის სამსახური<br><br>ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება<br><br>დამხმარე მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციები</td></tr>
</table>

მეორე დონის პროგრამებში მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფების ნათლად გამოყოფა და შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრა პროგრამაში ჩართვისთვის. პროგრამის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ის გარემოება, რომ პილოტირების შემდგომ ეტაპზე,

თუ პროგრამა აჩვენებს წარმატებას, იგი უნდა მისწვდეს უფრო ფართო სამიზნე ჯგუფს, ყველას ვინც კრიტერიუმს/ებს აკმაყოფილებს.

აღსანიშნავია, რომ მეორე საფეხურის პროგრამები წარმატებით გამოიყენება ხოლმე მესამე საფეხურზეც. მეტიც, იგი ერთგვარი შემავსებელია მესამე საფეხურის ინტერვენციების, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვის / ოჯახი შეიძლება სარგებლობდეს პირველი და მეორე საფეხურის მომსახურებებით, თუმცა, ამასთან, ჩართული იყოს მესამე დონეზე და იღებდეს დამატებით მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია, სპეციალისტის ჩართულობა მომსახურების გამოყენების საჭიროების შესაფასებლად და მიზანშეწონილობის დასადგენად მესამე საფეხურის კონკრეტულ შემთხვევაში.

### მესამე საფეხური – ინდივიდუალური პრევენცია

**ინდივიდუალური პრევენცია** მიმართულია იმ ბავშვებისა და ოჯახებისაკენ, რომელთაც აქვთ კომპლექსური საჭიროებები (რისკები გადაწონის ძლიერ მხარეებს) ან/და სადაც ფიქსირდება ოჯახში ძალადობის გამოცდილება. ინდივიდუალური პრევენციის მიზანია დროულად მოხდეს ჩარევა მსგავსი ტიპის შემთხვევებში, რათა შემცირდეს თანმხლები და შემდგომი გართულებები. მესამე დონის ინტერვენციები უნდა იქნას მიწოდებული იმ ბავშვებისა და ოჯახებისთვის, რომლებსაც აქვთ სერიოზული/კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომელიც თავის მხრივ ქრონიკულ მდგომარეობაშია გადასული და რომელსაც ვერ ვუპასუხებთ მხოლოდ პირველი და მეორე საფეხურის ინტერვენციებით.

| **ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და ინტერვენციის მაგალითები** (მოცემული მაგალითები არასრულია / გათვალისწინებულია ადგილობრივი კონტექსტიც). | **ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პასუხისმგებელი სამსახურები** |
|---|---|
| ყოვლისმომცველი / მრავალკომპონენტიანი ოჯახის მხარდაჭერის / გაძლიერების პროგრამა;<br><br>შემთხვევის მართვა სოციალური მუშაკის მიერ, მულტიგუნდის ჩართულობით და ოჯახში ვიზიტებით;<br><br>კრიზისული ინტერვენციის მომსახურება სოციალური მუშაკის მიერ, მულტიგუნდის ჩართულობით. | ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება<br><br><u>დამხმარე</u>:<br>მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციები |

ინდივიდუალური პრევენციის ეტაპზე მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის შეფასება და დასკვნა, მულტიგუნდის გადაწყვეტილებასთან ერთად. ამ ეტაპზე, უნდა მოხდეს იმ ბავშვიანი ოჯახების გამოკვეთა, სადაც საჭიროებები კომპლექსურია და უფრო ინტენსიური / გრძელვადიანი მუშაობა ანდა კრიზისული ინტერვენციაა საჭირო მათთან, რათა თავიდან იქნას აცილებული პრობლემათა ესკალაცია.

საჭიროებათა კვლევის შედეგებზე დაფუძნებით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეიძლება განავითაროს, როგორც კონკრეტული სამიზნე ჯგუფის ცალკეულ საჭიროებაზე საპასუხო პროგრამა (მეორე საფეხური), ასევე ოჯახის მხარდაჭერის ყოვლისმომცველი პროგრამული მიდგომა თავისი ქვე-პროგრამებით (მესამე საფეხური), რომლის მიზანი იქნება, რომ პროგრამა პასუხობდეს ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალურ საჭიროებას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ოჯახთან და ბავშვთან (იქ სადაც ძლიერი მხარეები გადაწონის რისკებს) მათი ცალკეული საჭიროების დაკმაყოფილება შეიძლება სრულად ან მეტწილად აგვარებდეს პრობლემას, ხოლო ზოგ შემთხვევაში (იქ, სადაც რისკები გადაწონის ძლიერ მხარეებს) კი პრობლემების ესკალაციის თავიდან ასარიდებლად, საჭიროა, კომპლექსური პროგრამული მიდგომის არსებობა და

შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების ჩარევა. ამრიგად, მესამე საფეხურზე განსაზღვრული ოჯახების მხარდაჭერის / გაძლიერების პროგრამა (ქვე-პროგრამები) მნიშვნელოვანია, იყოს აგებული იმგვარად, რომ იძლეოდეს მრავალმხრივი ინტერვენციის შესაძლებლობას.

**ოჯახის გაძლიერების ყოვლისმომცველი პროგრამა და მისი ძირითადი კომპონენტები**

ოჯახის გაძლიერების ყოვლისმომცველი პროგრამა, ადგილობრივი კონტექსტისა და სტრუქტურების გათვალისწინებით, შეიძლება აგებული იყოს და მოიცავდეს შემდეგ ქვე-კომპონენტებს:[1]

- **შემთხვევის მართვა / სოციალური მუშაობა (ბავშვთა განყოფილების სოციალური მუშაკი):** შემთხვევის მართვა არის სოციალური მუშაობის ერთ-ერთი წამყვანი მეთოდი, რომელიც გამოიყენება სოციალური მუშაკების მიერ იგი ეფუძნება ბავშვთან და ოჯახთან მუშაობის ინდივიდუალურ მიდგომას, პირდაპირი მხარდაჭერითა და სხვადასხვა მომსახურებებთან დაკავშირების გზით, ერთობლივად შემუშავებულ სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით.
- **ფსიქოლოგის მომსახურება / მხარდაჭერა (ბავშვთა განყოფილების ფსიქოლოგი)**: ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიები /სესიები როგორც ბავშვებისთვის, ასევე მშობლებისთვის (საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია შესაძლებელი იყოს სპეციალიზებული ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსება / შესყიდვა მოქნილი ფონდის ფარგლებში).
- **სამართლებრივი დახმარება (ბავშვთა განყოფილების იურისტი / სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი):** იმ ოჯახების იურიდიული მხარდაჭერა, რომელსაც სჭირდებათ სამართლებრივი კონსულტაციები ანდა სამართლებრივი საკითხების / დოკუმენტების მოგვარება და შესაბამის უწყებებთან კომუნიკაცია ამ საკითხებზე;
- ბავშვის/ოჯახის ინდივიდუალური საჭიროების საპასუხო **მოქნილი ფონდის** (ფულადი/მატერიალური დახმარება ან ვაუჩერული დაფინანსება) არსებობა:
  - განათლებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებები (მაგ. საკანცელარიო/განმავითარებელი ნივთებით, სეზონის შესაბამისი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის უზრუნველყოფა და სხვ.);
  - კვებასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული საჭიროებები (მაგ. საკვები პროდუქტები და ჰიგიენური ნივთები);
  - საცხოვრებელთან/ საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებული საჭიროებები (მაგ. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება – ბინის ქირა, სარემონტო სამუშაოები, ძირითადი მოხმარების ნივთები/ავეჯი/ტექნიკა და სხვ.);
  - სხვა ნებისმიერი საჭიროება, რომელიც დაკავშირებულია ბავშვის ფუნდამენტურ უფლებებთან და რომლის დაუკმაყოფილებლობაც ზრდის ზიანის რისკს ან/და შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ოჯახთან დაშორება.

- **ეკონომიკური მხარდაჭერა და გაძლიერება**: დასაქმებასა და თვითდასაქმებაში ხელშეწყობა, მათ შორის მცირე გრანტები მცირე მეწარმეობის თუ აგრო (სოფლის

1 ქვე-კომპონენტების ჩამონათვალი არასრულია

მეურნეობის განვითარების) ბიზნესის წამოწყების მიმართულებით, რათა ოჯახებს გაუჩნდეთ შემოსავლის მომტანი საქმიანობა ანდა გაეზარდოთ შემოსავალი, რაც ამცირებს ფინანსურ სტრესს;

- **ზრუნვის დამხმარე მომსახურებები**: დღის ცენტრები / ბავშვზე ზრუნვის მხარდამ-ჭერი სერვისები / სპეციალიზებული მომსახურებების შესაბამისი საჭიროების მქონე ბავშვებისა და მათი მზრუნველებისთვის (მაგ. „ამოსუნთქვის“ სერვისი).
- **მშობელთა განათლება და მხარდაჭერა**: მშობელთა ჯგუფები / ტრენინგები და მათთან მუშაობა ბავშვის განვითარების ძირითად საკითხებზე, პოზიტიური მშო-ბლობის ხელშეწყობისა და მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით.

მნიშვნელოვანია, ოჯახის გაძლიერების მრავალკომპონენტიან პროგრამაში ჩართვა ხდებოდეს სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, მულტიგუნდური / კომისიური გა-დაწყვეტილებით. ამასთან, ოჯახთან მუშაობა წარიმართოს მის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებზე დაფუძნებით, ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებული სამოქმედო გეგ-მით.

მესამე საფეხურზე, სოციალური მუშაკის შეფასება და შემთხვევის მართვა წარმოადგენს პროგრამაში ოჯახის მონაწილეობის მნიშვნელოვან წინაპირობას. ოჯახის მხარდაჭერის ყოვლისმომცველი პროგრამის სამიზნე კი არიან თემში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები კომ-პლექსური საჭიროებებით, იქ, სადაც რისკები გადაწონის ძლიერ მხარეებს.

### ადგილობრივ დონეზე დანერგვის შესაძლებლობა

ოჯახის გაძლიერების ყოვლისმომცველი პროგრამისა და მისი ქვე-კომპონენტების და-გეგმვა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული როგორც ადგილობრივ კონტექსტზე (მოქმედ პროგრამებზე), საჭიროებათა კვლევით გამოკვეთილ პრობლემებსა და საჭიროებებზე, ასევე არსებულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებზე, მათი დამატებით მობილიზაციის შესაძ-ლებლობაზე. ოჯახის მხარდაჭერის ყოვლისმომცველი პროგრამის განხორციელების სამი ძირითადი გზა აქვს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს:

- მუნიციპალიტეტებში, სადაც უკვე არის განვითარებული მეორე საფეხურის / მიზ-ნობრივი პრევენციის გარკვეული ინტერვენციები / მომსახურებები (მაგ. დღის ცე-ნტრები, ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა და სხვ.), ისინი ამატებენ ისეთ ქვე-პროგრამებს, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი და შემთხვევის მართვის პი-რობებში უზრუნველყოფენ მომსახურებათა კოორდინირებულ მიწოდებას შესაბა-მისი საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახებისთვის.
- მუნიციპალიტეტებში, სადაც არ არის განვითარებული მეორე საფეხურის პრევენ-ციული პროგრამები, უზრუნველყოფენ ოჯახის გაძლიერების პროგრამის შედგენას იმ ძირითადი კომპონენტებით, რაც აუცილებელია, რომ გამოეპასუხოს თემში მცხო-ვრები კომპლექსური საჭიროების მქონე ოჯახების გამოწვევებს და ამასთან, ითვა-ლისწინებენ ადრეული ინტერვენციის საჭიროების მქონე იმ ოჯახებს, რომლებიც სა-ჭიროებენ სპეციფიკურ პროგრამულ მხარდაჭერას, მაგრამ არა ინტენსიურ ჩარევას.
- საწყის ეტაპზე, შეზღუდული რესურსების პირობებში, მუნიციპალიტეტმა ასე შეი-ძლება შეარჩიოს მცირე კომპონენტიანი პროგრამული მიდგომა (მაგ. შემთხვევის მართვა + მოქნილი ფონდის არსებობა + მშობელთა განათლება), ხოლო შემდგომ

უზრუნველყოს სხვა საჭირო კომპონენტების ეტაპობრივი დამატება, დამატებით რესურსების მობილიზებასთან ერთად.

მუნიციპალიტეტს სტრუქტურული მოწყობის გათვალისწინებით, მას შეუძლია შეარჩიოს მომსახურებათა მიწოდების კომბინირებული მიდგომა. მაგალითად, თავად უზრუნველყოს შემთხვევის მართვა, ფსიქოლოგის მომსახურება და სამართლებრივი დახმარება, ხოლო სხვა სახის მომსახურების (მაგ. დღის ცენტრი, მშობელთა განათლება და სხვ.) შესყიდვა განახორციელოს მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციიდან.

იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი გადაწყვეტს, რომ თავად ახორციელებს რომელიმე მომსახურებას გარე შესყიდვის გარეშე, მნიშვნელოვანია თანამშრომელთა სათანადოდ მომზადება/ტრენინგი და ნათელი სამუშაო ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა განახორციელონ აღნიშნული სამუშაო. ამასთან, მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, შეიმუშაოს მომსახურების მიწოდების ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები.

### სასიცოცხლო ციკლი და პროგრამირება ბავშვთა კეთილდღეობისთვის

ადგილობრივ დონეზე სოციალური პროგრამების, მათ შორის ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა მიმართული, დანერგვის დროს გასათვალისწინებელია მთელი სასიცოცხლო / განვითარების ციკლის მიდგომა. ეს ნიშნავს, სოციალური დაცვის პროგრამები უნდა იყოს დაგეგმილი იმგვარად, რომ პასუხობდეს თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის დამახასიათებელ განვითარების საკითხებს.

სოციალურ დაცვაში ეს მიდგომა სათავეს იღებს შემდეგი მოსაზრებიდან – ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, ადამიანები აწყდებიან განსხვავებულ გამოწვევებს თუ რისკებს, შესაბამისად, ისინი დგანან განსხვავებული მოწყვლადობის/ების წინაშე. სოციალური დაცვის პოლიტიკა და სისტემა კი უნდა იყოს მგრძნობიარე ამ რისკებს/მოწყვლადობებისადმი და სათანადოდ პასუხობდეს მათ.

სასიცოცხლო ციკლის მიდგომის თანახმად, ბავშვებს აქვთ განსხვავებული საჭიროე-




ბები მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. შესაბამისად, დეპრივაცია / ძირითად საჭიროებათა დაუკმაყოფილებლობა 9 თვის ასაკში (მაგ. არასრული აცრები, არაადეკვატური კვება) განსხვავდება 14 წლის ბავშვის საჭიროებათა დეპრივაციისაგან / დაუკმაყოფილებლობისგან (მაგ. ბავშვთა შრომაში ჩართვა, სკოლის მიტოვება).

უკეთესი ილუსტრაციისთვის, ორსულობისა და ადრეული ბავშვობის ეტაპზე მნიშვნელოვანია სათანადო პრე და პოსტ ნატალური ზრუნვა, მაშინ როცა შემდგომ ეტაპზე სასკოლო განათლება და მასთან დაკავშირებული საკითხები შემოდის, ხოლო ახალგაზრდობის ეტაპზე კი უფრო აქტუალურია პროფესიული ორიენტაცია და შრომის ბაზარზე შესვლისთვის მომზადება.

დაბადების რეგისტრაცია
პრე და პოსტ ნატალური ზრუნვა

ჯანმრთელობის კვლევა / დაზღვევა

ადეკვატური კვება/ნუტრიცია
ადრეული ზრუნვა / განათლება (ბაღები / დღის ცენტრები)

ძალადობის პრევენცია

პროფილაქტიკური გამოკვლევები ჯანმრთელობის

სასკოლო განათლება (სასიცოცხლო და სოციალური უნარები)

ადეკვატური კვება / ნუტრიცია

ძალადობის პრევენცია

პროფესიული და უმაღლესი განათლება

მომზადება შრომის ბაზარზე შესასვლელად / დასაქმების ხელშეწყობა (სახიფათო შრომისგან დაცვა)

ადრეული ქორწინების/ ორსულობის თავიდან არიდება

**სხვა რისკებთან (მაგ. ბუნებრივი კატასტროფები) გამკლავება**